საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 40 (842) | სამშაბათი, 15 მარტი, 1994 წელი | ფასი 4000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძე:

ზევრ შემთხვევაში ვლინდება არა მარტო ეროვნული სიძულვილი, სეპარატიზმი, ექსტრემიზმი, არამედ ფაშიზმის აშკარა ელემენტები. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ იხაროს ფაშიზმის ყლორტებმა, რომ გაიმარჯვოს ექსტრემიზმმა!

გაეროს უშიშროების საბჭოს 9 მარტის სხდომის ანგარიში

როგორც ცნობილია, ნიუ-იორკში გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია.

გთავაზობთ ამ სხდომის სრულ ანგარიშს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ და უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, რადგან შესაძლებლობა მომეცით გამოვიდე თქვენ წინაშე. მადლობას გიხდით საქართველოს ხალხი თქვენი ძალისხმევისათვის აფხაზეთში მშვიდობის აღსადგენად, სამართლიანობის აღსადგენად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად: ყველა თქვენი რეზოლუცია და ნაბიჯები, რომლებიც გადადგეს გენერალურმა მდივანმა ბატონმა ბუტროს-ბუტროს გალიმ, მისმა პირადმა წარმომადგენელმა ბატონმა ედუარდ ბრუნერმა რუსეთის ფედერაციის შუამავლობით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, აგრეთვე არაფორმალური ჯგუფის „საქართველოს მეგობრების" აქტიური მონაწილეობით, უთუოდ შეუწყობს ხელს ამ დიადი მიზნების მიღწევას.

მე აქ გამოვდივარ იმ იმედით აღსავსე, რომ გამოიჩენთ სიბრძნეს, სურვილსა და სიმტკიცეს დაეხმაროთ ჩემს ქვეყანას და მის ხალხს მოიპოვონ ნათელი სასიცოცხლო პერსპექტივა. დღეს იგი მათ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ახლო და შორეულ მომავალში, თუ სამართლიანად არ გადაიჭრა განდევნილთა მშობლიურ მიწაზე მშვიდობიანი დაბრუნების საკითხი, თუ არ შეიქმნა მათი უსაფრთხოების მტკიცე და საიმედო გარანტიები, თუ ღირსეულად და ურთიერთმისაღებად არ გადაიჭრა მთლიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი.

იმედები მიმტკიცდება, როცა თვალს ვავლებ ამ დარბაზს, სადაც ახლო წარსულში მომიხდა მონაწილეობა მიმეღო იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომელთა ჩვენი გაერთიანების ძალებით განხორციელებას მშვიდობა მოჰქონდა საშიში კონფლიქტების რაიონებში. მაგრამ მესმის, რომ მას შემდეგ მსოფლიო სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა და უშიშროების საბჭოს უხდება მოქმედება იმ გარემოებებსა და პირობებში, რომელთა ანალოგები საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს და ვიმედოვნებ, რომ მზად ხართ შეიმუშაოთ და განახორციელოთ კარდინალურად ახალი მიდგომები უამრავი კონფლიქტური აფეთქების მოწესრიგებისადმი, რომლებიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას.

ამ თვალსაზრისით დღევანდელი სხდომა მიგვაჩნია ისტორიულ შანსად — არა მარტო საქართველოსათვის. თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს საფუძველი სხვა შეიარაღებული კონფლიქტების სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების საბაზო მოდელისათვის, რომელიც ითვალისწინებს ყოფილი საბჭოთა კავშირის უზარმაზარ სივრცეებზე ურთულეს სიტუაციას. იგი უთუოდ მისცემს იმპულსს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ფუნქციების, ყველა აფეთქებასაშიშ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების წარმატებულ განხორციელებას.

ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. თქვენი ღრმა კომპეტენტურობის, საკითხის არსის ზედმიწევნით ცოდნის გამო აღარ არის საჭირო დაწვრილებით ჩამოვაყალიბო აფხაზეთში კონფლიქტის ისტორია, ბევრი ვილაპარაკო მისი ფესვებისა და მიზეზების, განვითარების სტადიებისა და ხასიათების შესახებ. გენერალური მდივნის მოხსენებანი უშიშროების საბჭოსადმი, მრავალრიცხოვანი საექსპერტო ნამუშევრები, საქართველოში გაეროს წარმომადგენელთა პატაკები მოვლენათა საკმაოდ ფართო და ზუსტ სურათს იძლევა. მაგრამ ჭეშმარიტების ინტერესებისათვის, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად მახინჯდება, მინდა ვთქვა შემდეგი: ჩვენს ქვეყანაში საქმე გვაქვს უამრავ უბედურებასთან და უამრავ ფრონტზე. ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და მთავარია დამნაშავეობასთან ბრძოლის ფრონტი. ეს იმ პოლიტიკური რეჟიმის მიერ შობილი საყოველთაო კრიზისის მემკვიდრეობაა, რომელზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ. მძლავრ შეიარაღებულ ბანდებს ტერორის ქვეშ ჰყავთ მოსახლეობა, არსებითად თავიანთ ძალაუფლებას ამყარებენ რესპუბლიკის ვრცელ რეგიონებში. მათი მოქმედების მასშტაბი ისეთია, რომ იძულებული ვართ — მინდა პატიოსნად და გულახდილად ვთქვა — მივიღოთ გამოწვევა და ჩვენც საკმაოდ დიდი ძალებით ვიმოქმედოთ.

ამ ბოლო ხანს საქართველოს რიგ რეგიონებში შინაგანი ჯარებისა და პოლიციის ქვეგანაყოფებმა მძიმე ტექნიკის დახმარებით მოაწყვეს დიდი ოპერაციები შეიარაღებული ბანდების წინააღმდეგ, განაიარაღეს ისინი, მოსპეს ბაზები, დააპატიმრეს მესვეურნი.

ასეთივე ვითარება შეიქმნა 1992 წლის აგვისტომდე აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს მიმდებარე რაიონებში. რკინიგზის მაგისტრალზე, რომელიც საქართველოსა და სომხეთს აკავშირებს რუსეთთან, ფაქტობრივად, ერთადერთ და ამიტომ საარსებოდ მნიშვნელოვან არტერიაზე, თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა დივერსიები: აფეთქებდნენ ლიანდაგებს, ხიდებს, ელექტროსადგურებს, საკონტაქტო ხაზებს. არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის კუთვნილი ტვირთით სავსე შემადგენლობების მასობრივ ძარცვას მოჰყვა მილიარდობით მანეთი ზარალი.

დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფების ბაზები განლაგებული იყო აფხაზეთში. ბანდიტთა ჯგუფები, რომლებიც მიმდებარე რაიონებში აწყობდნენ დივერსიებს, მიდიოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე იმ იმედით, რომ რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო მთავრობა იქ მათ წინააღმდეგ არ იმოქმედებდა. იქვე მიჰყავდათ და დაპატიმრებული ჰყავდათ ბანდიტების მიერ ტყვედ აყვანილი ადამიანები, რომელთა შორის იყვნენ მთავრობის წევრებიც: მაგალითად, საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მისი მოადგილეები, ჩემი თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში და სხვები.

ასეთ გარემოებებში მაგისტრალების დაცვა და ბანდიტურ დაჯგუფებათა გაუვნებელყოფა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის საქმე ხდებოდა. რა იყო უჩვეულო და კანონსაწინააღმდეგო იმაში, რომ, აცნობა რა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, მთავრობამ იქ გაგზავნა ჯარის ქვეგანაყოფები? მე მგონი, არაფერი. ხელისუფლებას უფლება აქვს მიმართოს ნებისმიერ საჭირო ღონისძიებებს თავისი იურისდიქციისა და კომპეტენციის ფარგლებში. მაგრამ აფხაზეთში გადაადგილებულ ნაწილებს იქ ცეცხლით შეხვდნენ და მაშინვე გამოაცხადეს,რომ საქართველომ ჩაიდინა აგრესია აფხაზეთის წინააღმდეგ და მოახდინა მისი ტერიტორიის ოკუპაცია.

განა შეიძლება საკუთარი ტერიტორიის ოკუპაცია? არ დავიწყებ ამაზე კამათს.

ჩემს ამოცანას არ შეადგენს არც დისკუსია იმ საკითხებზე, რომელთა დაყენებით დასმა მიზნად ისახავს საქმე დასახული მიზნებისაგან შორეული კალაპოტით წარვმართოთ. მეტისმეტად ხშირად საზოგადოებრივ აზრსა და პოლიტიკოსებს თავს ახვევენ პოლემიკას იმის შესახებ, თუ „ვინ მოვიდა პირველი ამ მიწა-წყალზე", რათა ისტორიის თვითნებური გაგებისა და დამახინჯებების მერყევ კონსტრუქციებზე დააფუძნონ თეზისი „აფხაზეთი საქართველო არ არის". ახლა არ გავცემ პასუხს საეჭვო მტკიცებებს იმის თაობაზე, თითქოს არ ყოფილიყოს იმის არავითარი ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლები, რომ აფხაზეთი მივიჩნიოთ საქართველოს განუყოფელ ნაწილად, არც პასაჟებს, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოსა და მისი აფხაზეთის ავტონომიის თითქოსდა დაკარგული კავშირურთიერთობის შესახებ.

მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო ისტორიისადმი ისეთ დამოკიდებულებას, როცა, არ სჯერდებიან, რომ მას პოლიტიკის ბინძური მსახურის როლი დააკისრეს და ახლა კიდევ მკვლელობათა იარაღით აღჭურავენ.

ამ ძმათამკვლელ ომებს მორგებულმა კი არა, ნამდვილმა ისტორიამ ინება ისე, რომ ამ მიწა-წყალზე ოდითგან მშვიდობით, თანხმობით, სულიერი და სისხლის ნათესაობის კავშირით ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები. და თუ არიან ისტორიკოსები, რომლებმაც მოისურვეს საკამათოდ გახადონ ეს ფაქტი ბრძოლის ველზე, არის ძველი ბერძენი ავტორების მოწმობანიც, ძველი ქართული მატიანეები, არის თანამედროვეობის უაღრესად ავტორიტეტული სწავლულების ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთა დასკვნა უდავოა: აფხაზეთი საქართველოს მიწა-წყლის ისეთივე შემადგენელი ნაწილია, როგორც მისი სხვა ისტორიული კუთხეების მიწები.

და კიდევ მინდა ვთქვა: ჩვენი საერთო ისტორიის კურსის გარდა უნდა იყოს ჩვენი ხალხების აწმყოსა და მომავლის წინაშე ჩვენი საერთო პასუხისმგებლობის კურსი. ყურადღება გავამახვილოთ მასზე და მხოლოდ მასზე.

ასეთია ამოცანა, რომელსაც ვისახავ და რომლის ფარგლებშიც ვაპირებ ჩამოვაყალიბო პრობლემის გადაჭრის გზების ჩემეული ხედვა; ამის თაობაზე ჩვენს წინადადებებს ჩამოვაყალიბებ.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

აშშ, 6-9 მარტი, 1994 წელი

„შეერთებული შტატები აქტიურად უჭერს მხარს თავმჯდომარე შევარდნაძესა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ვიყოთ კეთილმოსურნე მოკავშირენი: წარსულში შევეცადეთ დავხმარებოდით მას და ამ ცდებს წლეულსაც განვაგრძობთ. გვინდა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მხარი დავუჭიროთ ადგილობრივ სამშვიდობო ძალისხმევასა და სხვა საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც მათ შორის საქართველოს ბედსაც განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, გვინდა განვიხილოთ რუსეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები. დიდი ხანია ველოდი ამ შეხვედრას".

ბილ კლინტონი.

GEORGIA
UNITED KINGDOM

ედუარდ შევარდნაძე და ბილ კლინტონი; გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

◻

ფოტორეპორტაჟი მოამზადეს სერგო ედიშერაშვილმა (საქინფორმი), ბადრი ვადაჭკორიამ (პარლამენტის პრესცენტრი), სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნოსთან ერთად.

შეხვედრა რუსეთის სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობასთან

14 მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა რუსეთის სასაზღვრო ჯარების მთავარსარდალს გენერალ-პოლკოვნიკ ანდრეი ნიკოლაევს, რუსეთის სასაზღვრო ჯარების მთავარსარდლის მოადგილეს გენერალ-მაიორ თევდორე ლამოვს, ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო ოლქის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ვიქტორ ზემცოვს, რუსეთის ელჩს საქართველოში ვლადიმერ ზემსკის.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდალი, პოლკოვნიკი ვალერი ჩხეიძე.

განიხილეს საქართველოში განლაგებული რუსეთის სასაზღვრო ჯარების სტატუსის შესახებ ადრე დადებული შეთანხმების რეალიზაციის საკითხები.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

დეპეშა ბიშკეკიდან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სახელზე ბიშკეკიდან მიღებულია ყირგიზეთის პრეზიდენტის დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„უდიდესი მწუხარებით შევიტყვე, რომ გარდაიცვალა თენგიზ აბულაძე, საქართველოს რესპუბლიკის გამოჩენილი შვილი. თენგიზ აბულაძე თანამედროვეობის დიდი ადამიანი, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თანამიმდევრულად იცავდა მაღალი ზნეობისა და სიკეთის, ღირსებისა და თავისუფლების იდეალებს. მისი ცნობილი კინოტრილოგია „ვედრება", „ნატვრის ხე" და „მონანიება" არა მარტო ქართული, აგრეთვე მსოფლიო კულტურის ოქროს ფონდში შევიდა და დემოკრატიისათვის, წინანდელი სისტემის დამყაყებულობისა და კონსერვატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გარდატეხის მომენტი გახდა. ყირგიზეთის რესპუბლიკის ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს, აგრეთვე მთელ ქართველ ხალხს საქართველოს კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის უდროოდ გარდაცვალების გამო. თენგიზ აბულაძის სახელი მარად დარჩება ჩვენს გულში.

ასკარ აკაევი".

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი იყო მორალური და პოლიტიკური წარმატება იმ ქვეყნისა, რომელიც შეუქცევადად დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას

თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენის — ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის შედეგების შეფასებით დაიწყო. აქვე მან ჟურნალისტ ნატო ონიანის თხოვნით, განმარტა თბილისში გავრცელებული ხმების სისწორე, თითქოს ქართული დელეგაცია ცუდად მიიღეს, რომ საქართველოს მიმართ ყურადღება ნაკლები იყო და ასე შემდეგ.

— რაც შეეხება ამ ხმებს: ვფიქრობ, ეს ბოროტი ხმები აბსურდის ღონეზეა. უაზროდ ვთვლი მტკიცებას იმის თაობაზე, რომ კარგად მიგვიღეს. ვინც თვალყურს ადევნებს სატელევიზიო გადაცემებს და მოწოდებულ ინფორმაციას, ვფიქრობ, მტკიცება არ სჭირდება, მიგვიღეს კარგად თუ ცუდად. ზოგი ამტკიცებს, საქართველო მიიღეს კარგად და არა შევარდნაძეო. ზოგი — პირიქით. ბოროტებასაც ხომ აქვს საზღვარი. დავუშვათ, ცუდად მიგვიღეს, ვინ და რატომ უნდა უხაროდეს ის, რატომ უნდა ანიჭებდეს სიამოვნებას?

თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, პრინციპში ეს იყო მორალური და პოლიტიკური წარმატება იმ ქვეყნისა, რომელიც შეუქცევადად დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას. შევარდნაძეს რომ დემოკრატიისათვის ეღალატა, მაშინ, ვიზიტი, ალბათ, საერთოდ არ გამართლდებოდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ჭეშმარიტი დემოკრატიისათვის მებრძოლები, რეფორმატორები, ყველანი, ვინც არიან საქართველოში, — თუ რუსეთში, გმირები არიან და მათ ისე ხვდებიან, როგორც იმსახურებენ. რაც შეეხება ბოროტ ხმებს და ცალკეულ გაზეთებს, რომლებიც ასეთს ანთხევენ, მე მათ დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ისინი, როგორც იტყვიან, თავის თავს თვითონ ამოიჭამენ, მე ისინი კიდეც მებრალებიან, იმდენად უბადრუკი და ულოგიკოები არიან. ხალხი თვითონ გაერკვევა ყველაფერში, დაფიქრდება, შეადარებს. ეს, ასე ვთქვათ, პოლემიკის თვალსაზრისით.

რა მაქვს მხედველობაში, როცა ვიზიტის წარმატებაზე ვლაპარაკობ? ჯერ ერთი, ის შედეგი, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამერიკის ადმინისტრაციასთან დიალოგის დროს. პირველი: მხარდაჭერა აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანის საკითხში, ყველაზე მთავარი, რისთვისაც მე ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრე, და ძალიან გამოკვეთილი და ნათელი მხარდაჭერა ამ აქციის დაფინანსებაში.

მეორე: ჩვენ ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დიდ ქვეყანასთან ურთიერთობისათვის გვაქვს სამართლებრივი ბაზა; ხელი მოეწერა ვაშინგტონის დეკლარაციას, შეთანხმებას ინვესტიციების ურთიერთდაცვის საკითხებზე. ეს ის დოკუმენტია, რომელიც დიდ არხებს ხსნის საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიკური და სხვა სახის თანამშრომლობის განვითარებისათვის. ეს ძალიან საჭირო და აუცილებელია.

მესამე: მიმაჩნია, რომ, როგორც პრეზიდენტთან საუბარში და მის უახლოეს გარემოცვასთან კონტაქტების დროს, ასევე, განსაკუთრებით, კონგრესში, სენატში, ჩვენი მუშაობის პროცესში, ამ დიდი ქვეყნის ხელმძღვანელებსა და კანონმდებლებს გავაგებინეთ, რა არის საქართველო, რა ტკივილები გვაქვს, რა არის აფხაზეთის პრობლემა, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ კონფლიქტის საწყის ეტაპზე, სხვადასხვა სფეროებსა და ჯგუფებში, სხვადასხვა განწყობილება იგრძნობოდა. ამ საკითხშიაც სინათლეა შეტანილი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

თუ შედეგებზე ვილაპარაკებთ, ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ჩემი შეხვედრები მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობასა და სავალუტო ფონდის ლიდერებთან. შეთანხმება, რომ ჩამოვლენ მისიები, პრინციპული დაპირება, რომ თანახმა არიან ფინანსურად აქტიურად დაუჭირონ მხარი საქართველოს, თუკი ჩვენ სტაბილურობას შევინარჩუნებთ, და კიდევ უფრო განვამტკიცებთ მას, იმას ნიშნავს, რომ მომავალში, როგორც იტყვიან, ქვეყნიდან ქვეყანაში აღარ ვიხეტიალებთ რამდენიმე კაპიკის თუ დოლარის სათხოვნელად. ეს ყველაფერი დადგება სხვა საფუძველზე — პროგრამების დაფინანსება, ცალკეული დარგების განვითარება და ა. შ. ყველაფერი ეს იმ ნორმების საფუძველზე აიგება, რომლითაც სხვა სახელმწიფოები სარგებლობდნენ და ახლაც სარგებლობენ. ასევე მნიშვნელოვან შედეგად მიმაჩნია ჩემი შეხვედრა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელთან ბატონ რიბკინთან, რომელთანაც შესანიშნავი საუბარი გაიმართა და მე ახლა უფრო მეტად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ერთობლივად გადავლახავთ იმ ცნობილ სიძნელეებს, რომელთა წინაშეც ორივე ქვეყანა აღმოჩნდა დიდი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

და ყველაზე მთავარი შედეგი: ეს იყო უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც საშუალება მომეცა, მეთქვა ის, რაც უნდა ეთქვა საქართველოს ხელმძღვანელს აფხაზეთის კონფლიქტთან

(დასასრული მე-2 გვ.).

ედუარდ შევარდნაძის 14 მარტის რადიოინტერვიუ

გაეროს უშიშროების საბჭოს 9 მარტის სხდომის ანგარიში

(გაგრძელება)

მაგრამ მანამდე, ნება მიბოძეთ გამოვთქვა კიდევ რამდენიმე ზოგადი მოსაზრება.

ჯერ ერთი, კონფლიქტი აფხაზეთში არ არის კონფლიქტი ეთნიკურ წინააღმდეგობათა ნიადაგზე, კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ეთნონაციონალური ელფერი მას განზრახ მიანიჭეს, რათა შეენიღბათ მისი სულისჩამდგმელების პოლიტიკური მიზნები. იგი მომწიფდა ავტონომიური რესპუბლიკის შიგნით საკუთრების, ხელისუფლებისა და მისი განხორციელების, კანონების მიღების, სახელმწიფო წყობის, ორიენტაციების არჩევის საკითხების ირგვლივ, შემდეგ კი, გარედან — იარაღით, ფინანსებით, ცოცხალი ძალით, საინფორმაციო-პროპაგანდისტული მხარდაჭერით ნასაზრდოები გამოიყენეს პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა და კლანებმა თავიანთი ანგარებითი პოლიტიკური და სხვა მიზნებით, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ პოლიტიკური და მატერიალური სარგებლის მიღების გულისთვის.

მხარეები კონფლიქტში მონოეთნიკური არ არიან. როგორც გენერალური მდივნის 1993 წლის 1 ივლისის მოხსენებაში სწორად არის ნათქვამი „აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) საქმის მდგომარეობის შესახებ“, მისი განუწყვეტელი ღონისძიებანი სამშვიდობო პროცესის დასაწყებად ხორციელდება „საქართველოს მთავრობის, აფხაზეთში ორივე მხარისა და რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით“. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ თქვენს 1993 წლის 19 ოქტომბრის 876 რეზოლუციაში, რომელიც კვლავ ადასტურებს აფხაზეთის მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ იმავე წლის 27 ივლისის შეთანხმებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით მომდევნო მოქმედების მტკიცე დაგმობას, დაგმობილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მკვლელობა.

იმათ შორის, ვინც ამ შესანიშნავი ადამიანის — ჟიული შარტავას ტანჯული სიკვდილის ჟამს მის გვერდით იმყოფებოდა, იყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ აფხაზებიც, რუსებიც, სომხებიც. თითქმის ყველამ გაიზიარა თავიანთი ხელმძღვანელისა და მეგობრის ხვედრი. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი ფაქტი როდია. ტყვეობაში სახელმწიფო მოღვაწეებს, დეპუტატებს, ჟურნალისტებს, მწერლებს, მეცნიერებს, მუშებს, მიწათმოქმედებს ხვრეტდნენ, აწამებდნენ, გაუსამართლებლად უსწორდებოდნენ, აბუჩად იგდებდნენ, სცემდნენ ეროვნების განურჩევლად, მხოლოდ ერთი ნიშნით: ვის მხარეზეა ადამიანი. ძალმომრეობა შობს ძალმომრეობას, სისასტიკე ამრავლებს სისასტიკეს. რაგინდ მძიმე იყოს ამაზე საუბარი, სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ: მკვლელობები, სახლების დაწვა, მაროდიორობის აქტები, ძარცვა-გლეჯა — ქართველთა მხრიდან კონფლიქტის მონაწილეთა სინდისზეც არის. მე არ ვუწოდებ ამას ექსცესებს, როგორც ამას გუდაუთაში სჩადიან, მაგრამ, ვუწოდებ რა თავის სახელებს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ქართველებიც და აფხაზებიც ჩვენი თანამოქალაქეები არიან, და ჩვენ არ ვყოფთ მათ უცხოებად და ჩვენიანებად.

გუდაუთის დაჯგუფებამ, ყველაზე უკიდურესი რეაქციული ძალების უპრეცედენტო საგარეო მხარდაჭერის გამოყენებით, გააჩაღა ეთნიკური წმენდა და გენოციდი. თანაც „ფართო სვრელით თიბვისას“ იგი არ არჩევდა ადამიანებს წარმომავლობის ნიშნით — არცთუ იშვიათად აფხაზები აფხაზებსაც ხოცავდნენ იმისათვის, რომ ისინი არ იზიარებდნენ რეჟიმის მითითებებს.

დევნილთა და ხიზანთა მრავალრიცხოვანი გამოკითხვები ავლენს აფხაზების მიმართ ქართველთა და ქართველების მიმართ აფხაზთა ეთნიკური ტოლერანტულობის მაღალ დონეს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი თეზისის სისწორეს: ამ კონფლიქტს არა აქვს ეთნონაციონალური ფესვები. მას სხვა ფესვები აქვს. მათ ასაზრდოებს პირწავარდნილი ნაციონალიზმის ბინძური ნიადაგი, რომელიც გადაიზრდება მოვლენად, რომელსაც არ შემიძლია სხვა რამ ვუწოდო, გარდა ფაშიზმისა. ეს უჩვეულო ფაშიზმია — პოსტკომუნისტური ეპოქის ფაშიზმი. კომუნისტური წყობილების წიაღში წარმოშობილი ეს ფაშიზმი ეძებს და პოულობს გამოსავალს გარკვეული ჯგუფებისა და კლანების გულმოდგინებით, რომლებიც პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებენ იდეოლოგიური ჩაგვრით დაკნინებული მასების ბუნებრივ ეროვნულ გრძნობას.

გულისტკივილით უნდა ვაღიარო: რეჟიმის ძალისხმევით, რომელიც ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში საქართველოში მის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მან თავი იჩინა მთლიანად ჩემს ქვეყანაში. მე მას პროვინციული ფაშიზმი დავარქვი და, ყველას გასაგონად ვთქვი ეს. მხოლოდ მანკის დიაგნოსტირების შემდეგ შეიძლება მასთან ბრძოლა. ჩვენ ბრძოლა გამოვუცხადეთ მას. ჩვენი ხალხი მიხვდა, საკუთარი თავის მიმართ, თავისი ცხოვრების საფუძვლებისა და ყაიდის მიმართ, თავისი ტრადიციული ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობის მიმართ რა საფრთხესთან აქვს მას საქმე.

ეს საფრთხე შემოფარგლული არ არის ერთი ქვეყნის საზღვრებით. აფხაზეთში იმავე კონფლიქტის მაგალითით დავრწმუნდით, რაოდენ ფართოა წითელმიხაკისფერი ინტერნაციონალის კავშირი და რაოდენ შეთანხმებული მისი მოქმედება, რომელიც ყოფილ ცენტრსა და გარეუბნებს აერთიანებს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან ფრონტად. მიზანია ტოტალიტარული რეჟიმების რესტავრაცია, ოღონდ ახლა ულტრანაციონალიზმისა და შოვინიზმის დროშებით.

ასე იყო აფხაზეთშიც, სადაც კონფლიქტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე სცადეს დაემყარებინათ უმცირესობის ეთნოდიქტატურა. დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის ძალით მოსახლეობის 18 პროცენტმა მიიღო შესაძლებლობა ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში ჰყოლოდა მეტი წარმომადგენელი, ვიდრე მთელ დანარჩენ მოსახლეობას. ამის შედეგად კენჭისყრის შედეგები ნებისმიერ საკითხზე ყოველთვის წინასწარ გადაწყვეტილი იყო უმცირესობის სასარგებლოდ, ხოლო უმრავლესობის უფლებანი ილახებოდა.

მეორე, არც კონფლიქტის დაწყებამდე, არც შემდეგ, ეჭვქვეშ არ დაგვიყენებია აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის საკითხი. ჩვენ მას არც ახლა ვაყენებთ ეჭვქვეშ. მაგრამ საქმე შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფოებრიობას გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პრინციპების ფარგლებში, ამასთან, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის, მნიშვნელოვანწილად ქართველი მოსახლეობის, ინტერესები, რომელიც აქ მცხოვრებთა თითქმის ნახევარს შეადგენს. ეთნიკური წმენდის, ძალმომრეობის, დაშინების, ადამიანის უფლებათა უპრეცედენტო მასობრივი ფეხქვეშ გათელვის მეთოდებით აფხაზეთის საზღვრებიდან მთლიანად განდევნილ ქართველ მოსახლეობას არ დაუკარგავს არც წინაპართა მიწა-წყალზე ცხოვრების უფლება, არც თავისი კანონიერი ინტერესების გარანტირებული დაცვის უფლებები.

მესამე, ჩვენს მისწრაფებას მშვიდობისადმი მოწმობს სამი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მათი განხორციელებისათვის საჭირო შესაბამის ზომათა მიღება, შეგახსენებთ, რომ პირველ შეთანხმებას რუსეთის პრეზიდენტმა და მე ხელი მოვაწერეთ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისთანავე, ერთი თვეც არ იყო გასული — 1992 წლის 3 სექტემბერს, როცა კონტროლს ვუწევდით ტერიტორიის დიდ ნაწილს: სოხუმს, გაგრას, რუსეთის მოსაზღვრე რაიონს, თვით საზღვარს მდინარე ფსოუზე. არც მაშინ, არც შემდეგ ჩვენ არ ვიყენებდით ომისა და გამარჯვების კატეგორიებს, იმედს არ ვამყარებდით პრობლემის სამხედრო გადაჭრაზე.

სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ჩვენ მივუსხედით მოლაპარაკების მაგიდას, რომელთანაც მივიწვიეთ ადამიანები, რომლებმაც გააჩაღეს ეს ომი, არსებითად — მეამბოხეები... სარგებლობდნენ რა მძლავრი ძალების მფარველობითა და მეურვეობით მათი სამხედრო და სხვა მხარდაჭერით, კონფლიქტში პირდაპირი მონაწილეობით, მათ დაიწყეს პირობების კარნახი, რომელთა სამართლებრივ საფუძვლიანობას ეჭვქვეშაც კი არ აყენებდნენ. ძნელია კანონიერებასა და სამართალზე საუბარი იმათთან, ვინც მათ არღვევს, მაგრამ ჩვენ ვაწარმოებდით დიალოგს და დავდეთ შეთანხმებანი, ოღონდ შეგვეჩერებინა ომი და სისხლისღვრა.

როგორც ცნობილია, ყველა ისინი მუხანათურად დაირღვა. განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების დარღვევას. მოქალაქეებმა, რომლებმაც დატოვეს სოხუმი და სხვა დასახლებული პუნქტი, იწამეს მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობა და დაბრუნდნენ შინ. ამასთან ქართველთა მხარემ შეთანხმების შესაბამისად მის მიერ კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიიდან გაიყვანა მთელი მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა. იმავე წლის 16 სექტემბერს აფხაზთა მხარის მოულოდნელმა თავდასხმამ უიარაღო დასახლებულ პუნქტებზე მშვიდობიან მოსახლეობას ბოროტი ნებისა და უხეში ძალმომრეობის ტყვეთა ხვედრი არგუნა. ათასობით ადამიანი დაიღუპა რაკეტებისა და ჭურვების ცეცხლით. კიდევ ათასობით — დევნილის გოლგოთას გზებზე, ათასობით ადამიანმა დაკარგა სახლ-კარი, სამშობლო, ქონება, მარჩენლები და სანაცვლოდ დევნილთა და ხიზანთა მწარე ხვედრი ერგო. აქ არ მოვყვებოდი ფართოდ ცნობილ ამბებზე საუბარს, გუდაუთის ლიდერთა ტრადიციული გეზი კონსტრუქციული მოქმედების კალაპოტით რომ წარმართულიყო, რომ არ ყოფილიყო შეთანხმებათა ჩაშლისა და მოლაპარაკების ტორპედირების იგივე ჩვეული პრაქტიკა, ახლა უკვე გაეროს ეგიდით დაწყებული ჟენევის პროცესის ფარგლებში.

არ შესრულებულა გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ ჟენევის მოლაპარაკების მესამე რაუნდის წინ ამ რაიონის დასახლებულ პუნქტებს, სადაც ჯერ კიდევ დარჩნენ ქართველები, თავს დაატყდა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ახალი ტალღა. 3 თებერვალს, საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს, დაიწყო ფართო მასშტაბის სადამსჯელო აქცია რაიონის მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ, რომელიც ათ დღეს გაგრძელდა. მოთხოვნის მიუხედავად გაეროს მეთვალყურეთა მისიის წარმომადგენლები არ დაუშვეს ამ სისხლიან მოვლენათა ადგილას. უფრო სწორად, დაუშვეს მხოლოდ ამ ეგრეთ წოდებული ოპერაციის დასრულების შემდეგ.

გალის ტრაგედია პასუხია უშიშროების საბჭოს 896 რეზოლუციაზე, რომელიც გმობს „აფხაზეთის (საქართველოს რესპუბლიკა) დემოგრაფიული შემადგენლობის შეცვლის ნებისმიერ ცდას“.

ახლა ავიღოთ პოლიტიკური სტატუსის საკითხი, ჩემი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი. უკვე არაერთგზის მითქვამს და ახლაც მზად ვარ გავიმეორო მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ აქ ჩვენთვის არ არსებობს არავითარი პრობლემა, რომ ეს საკითხი შეიძლება გადაიჭრას ყველაზე მოწინავე თანამედროვე მსოფლიო და ეროვნული სტანდარტების გათვალისწინებითა და გამოყენებით. ამ სიკეთით თანაბრად ისარგებლებს აფხაზეთის მთელი მრავალეროვანი ხალხი — ქართველები, აფხაზები, სომხები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, მაგრამ, ეტყობა, უსამართლო იქნება სტატუსის საკითხი გადაიჭრას დევნილთა და ხიზანთა — ქართველთა, აფხაზთა, სომეხთა, რუსთა, უ-

(გაგრძელება მე-8 გვ.).

აშშ. 6-9 მარტი, 1994 წელი

გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი და ედუარდ შევარდნაძე.

◆ ◆ ◆

„არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ, ვფიქრობ, უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყენების საკითხი აფხაზეთში პრაქტიკულად გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს“.

ედუარდ შევარდნაძე.

შეხვედრა ჯონ მალხაზ შალიკაშვილთან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი იყო მორალური და პოლიტიკური წარმატება იმ ქვეყნისა, რომელიც შეუქცევადად დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას

(დასასრული)

დაკავშირებით. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ მსოფლიომ იცოდეს სიმართლე, სიმართლე იცოდეს უშიშროების საბჭომ. ვფიქრობ, რომ საქართველოს პოზიცია იმდენად ნათელი და გასაგები იყო, რომ უშიშროების საბჭო დაპირისპირებულთა კამათის გარეშე წარიმართა, რაც, ალბათ, იშვიათი შემთხვევაა და საქართველოს დელეგაციამ, მისმა პოზიციამ მიიღო ერთსულოვანი მხარდაჭერა და ერთსულოვანი აღიარება, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიც არის — ტერიტორიული მთლიანობა, ერთიანობა, დევნილთა დაუყოვნებლივ დაბრუნება და როგორც ამის აუცილებელი გარანტი — სამშვიდობო ძალების შეყვანა. ყველა გამოსვლა ერთსულოვანი იყო ამ სამ ძირითად საკითხში, იგრძნობოდა გამოკვეთილი მხარდაჭერა საქართველოსი, რომელიც დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა.

ახლა, თითქოს მეორეხარისხოვნად ვთვლი, მაგრამ, სულაც არ არის მეორეხარისხოვანი: ჩვენ მივიღეთ ძალიან სერიოზული მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა, პრეზიდენტმა კლინტონმა თვითონ ჩემი თხოვნის გარეშე გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს გამოუყოფს 70 მილიონ დოლარს. ეს არის მეგობრული დახმარება და არა კრედიტი.

არ ვიცი, 8 დღის განმავლობაში შეიძლებოდა თუ არა ამაზე მეტის მიღება და გაკეთება — მატერიალურად, ფინანსურად, პოლიტიკურად, მორალურად, და, მათ შორის ამ საკითხში, რაც ყველაზე მეტად გვაწუხებს — აფხაზეთის საკითხში.

— როგორ ფიქრობთ, თუ არ მოხერხდა პოლიტიკური მოწესრიგება აფხაზეთის პრობლემისა, რის თაობაზეც დიდი ხანია საუბრობთ, რისკენაც ამდენი ხანია მიდის ქართული პოლიტიკა, რა გზა დარჩება მაშინ?

— ჩვენ მივიღეთ ძალიან დიდი მხარდაჭერა უშიშროების საბჭოში, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში. მანამდე, კი, როცა რუსეთის პრეზიდენტი იმყოფებოდა საქართველოში, ჩვენი საუბრები, ხელმოწერილი დოკუმენტები და ურთიერთვალდებულებანი მიზნად ისახავდა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას. ამჟამად, ყველაფრის შემდეგ, რაც ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში მოხდა, მხედველობაში მაქვს მშვიდობიანი მოწესრიგების ეს პლატფორმა, რომელიც შეიქმნა და რომლის შესახებაც მიღებული იქნება შესაბამისი რეზოლუცია.

უნდა ვილაპარაკოთ და ვიმოქმედოთ სწორედ ამ გენერალური გზისკენ მიმავალი ყველა ბილიკის გამოყენებაზე. უკეთეს შესაძლებლობას ვერც ვინატრებდით. ახლა ლაპარაკია ამ შესაძლებლობების გამოყენების ხელოვნებაზე, ჩვენს ენერგიულობაზე, უნარზე, რომ პრინციპული შეთანხმებები ბოლომდე მივიყვანოთ და მოხდეს ამ შეთანხმებათა რეალიზაცია. ამაზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული.

რაც შეეხება პენტაგონის დამოკიდებულებას და ა. შ. ვფიქრობ, ჩვენს სამხედრო პოტენციალზე დღეს პენტაგონს დიდი გავლენის მოხდენა არ შეუძლია და ჩვენ ეს არც გვითხოვია. არარეალურია, რომ დღეს პენტაგონისაგან მოითხოვო იარაღი ან საბრძოლო მასალის მიღება და ა. შ. ამ საკითხში ჩვენ მაინც დამოკიდებული ვრჩებით რუსეთზე, რუსეთის არმიაზე და, ვფიქრობ, რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, ყოველ შემთხვევაში, სიტყვიერი მაინც, იმის გარანტი უნდა იყოს, რომ საქართველოს არმიის ფორმირების პროცესი დაჩქარდება.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ და ასეთ მზადყოფნაში არავინ ეჭვი არ უნდა შეიტანოს. როცა ვამბობ, ჩვენი არმია ახლა ფორმირების პროცესშია-მეთქი, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ბრძოლისუუნაროა. ასე რომ, ჩვენი შეიარაღებული ძალები, მისი ყველა სახეობა მზად არის იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

ჟურნალისტის თხოვნით, სახელმწიფოს მეთაურმა ისაუბრა „ცივი ომის“ აღდგენის საფრთხის შესახებ.

— რამდენად დამაჯერებლად გაგიქარწყლათ ამერიკულმა ვიზიტმა თუ რუსეთში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებმა შეგრძნება იმისა, რომ „ცივი ომის“ საფრთხე შეიძლება კვლავ რეალობად იქცეს?

— ასეთი რეციდივის საფრთხე რეალურია. „ცივი ომის“ მკვებავი წყარო ყველაზე მეტად ამ ეტაპზე შეიძლება გახდეს კონფრონტაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, რასაკვირველია, თუკი ეს იქნება დაშვებული, ასეთი კონფრონტაციის დაუშვებლობის შესახებ ვლაპარაკობდი შეერთებულ შტატებში თითქმის ყველა დონეზე — პრეზიდენტთან დიალოგისა და მის გარემოცვასთან კონტაქტების დროს. კონგრესში, სენატში, პოლიტიკური თუ სხვა სახის მოღვაწეებთან შეხვედრების დროს.

შემდეგი მოვლენა, რომელმაც შეიძლება კვლავ უბიძგოს კაცობრიობას „ცივი ომისაკენ“, ეს არის ახლა საკმაოდ გავრცელებული აგრესიული სეპარატიზმი, რომელიც კონფლიქტებში გადადის. ამის შესახებ ორი წლის წინათ ვთქვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მაშინ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ბევრს ყურს სცდება კიდეც. დღეს მსოფლიო მართლაც დარწმუნდა, რომ აგრესიული სეპარატიზმი, რომელიც ასე ძვირად დაუჯდა საქართველოს, შეიძლება ძალიან დიდ საფრთხედ გადაიზარდოს მთელი პლანეტისათვის. ამის მაგალითია ის, რაც იუგოსლავიაში, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ხდება და ის ფეთქებადი მასალა, რომლის ამოქმედების საფრთხეც მთელ რიგ ქვეყნებში უკვე არსებობს. ვფიქრობ, რომ, თუ ეს პროცესი არ შეჩერდა და არსებული კონფლიქტები არ მოგვარდა, მაშინ ომის საფრთხე სავსებით რეალური იქნება. კმაყოფილი ვარ იმის გამო, რომ ამ თემაზე საუბრები ისეთ პირობებში მიმდინარეობდა, როცა საქართველოს, მისი ხელმძღვანელის აზრი ყველას აინტერესებდა, იმიტომ რომ, ჩვენ, როგორც იტყვიან, ამ მოვლენებში ვიხარშებით, ვტრიალებთ და შეიძლება სხვაზე მეტად მწვავედ ვგრძნობთ და ვხედავთ ამ საფრთხის მასშტაბებსა და საშიშროებას.

— დღეს საქართველოში საკმაოდ კრიზისული სიტუაციაა — კუპონის ინფლაცია გრძელდება, არ მუშაობს ტრანსპორტი და ა. შ. თქვენ გქონდათ საინტერესო შეხვედრები მსოფლიო ბანკთან, სავალუტო ფონდთან, ბიზნესმენთა წრეებთან. როგორ ფიქრობთ, თუნდაც ამ შეხვედრებიდან, ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი გეგმებიდან გამომდინარე, რამდენად ღრმა და ხანგრძლივი იქნება ჩვენი ეკონომიკური კრიზისი?

— ჩვენი ეკონომიკური კრიზისი რომ ღრმა არის, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩემთან საუბრების დროს ბანკის პრეზიდენტიცა და სავალუტო ფონდის აღმასრულებელი გენერალური მდივანიც, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში შექმნილი ვითარება ქვეყანას ისეთ პირობებში აყენებს, რომ იგი ბევრ სხვა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისაგან გამოირჩევა კიდევ უფრო მეტი სირთულეებით და სიძნელეებით, მაგრამ, ამავე დროს, ისიც იყო ნათქვამი, რომ თუ გავაგრძელებთ ამ ბოლო დროს სტაბილურობის დამკვიდრებისაკენ აღებულ კურსს, ქვეყანაში წესრიგს დავამყარებთ და ავამოძრავებთ ჩვენში არსებულ პოტენციალს, მაშინ ეს უზარმაზარი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები მზად იქნებიან, დაეხმარონ საქართველოს. თუ ეს ასე მოხდება, შესაძლებელია ცოტა უფრო ადრე გამოვიდეთ კრიზისიდან. მაგრამ ყველაფრისა გამოსავალი თავად ჩვენს თავში უნდა ვეძიოთ, ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოვუვლით ქვეყანას. პირველ რიგში, საჭიროა წესრიგი, საჭიროა გამოვიყენოთ ის პოტენციალი, რომელიც გვაქვს. უნდა მოვიყვანოთ ჩაის, ყურძნის, ხილის მოსავალი, მიწა უნდა დავამუშაოთ, მრეწველობა უნდა ამოქმედდეს, ისე როგორც ეს შესაძლებელია და მაშინ, ვფიქრობ, კრიზისიდან გამოსვლა სავსებით რეალური იქნება.

— როგორც ცნობილია, თქვენს საზღვარგარეთულ ვიზიტს მოსდევს ხოლმე საპასუხო რეაქცია საქართველოში — აფეთქება ან მკვლელობა და ა. შ. არც ამერიკაში ვიზიტი გახდა გამონაკლისი: მაშველთა კორპუსსა და კონტროლის პალატაში მოხდა აფეთქება. თქვენ როგორ განმარტავდით ამ ფაქტებს?

— მინდა ერთ საკითხს შევეხო. ჩვენი ცალკეული პარლამენტარები, როცა ტერორისტულ აქტებზეა ლაპარაკი, პარლამენტში გამოდიან და ქვებს ისვრიან სახელმწიფოს მისამართით, სახელმწიფო ტერორიზმით — ხშირად გაიგონებთ ამას. ეს რა, სამოქალაქო თავდაცვის შტაბი სახელმწიფომ ააფეთქა? ანდა, რომელი ჭკუათმყოფელი მოიფიქრებს, რომ კონტროლის პალატაში ასეთი რამ გააკეთოს? ვფიქრობ, რომ ყოველგვარი ტერორისა და ერთმანეთისადმი უნდობლობის ელემენტები უნდა გამოირიცხოს. აქ, უბრალოდ, საქმე ის გახლავთ, რომ აულაგმავია ბანდიტური, დივერსიული ჯგუფები. ამ ბოლო დროს, ბევრი ცუდი სიტყვა გვითქვამს უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროების მიმართ. მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ვერც უშიშროების სამინისტრო, ვერც შინაგან საქმეთა სისტემა კვალიფიციურ დამნაშავეთა წინააღმდეგ ვერ იბრძვიან ისე, როგორც საჭიროა და დღევანდელობას შეეფერება. რეჟიმების ის სისტემა, რომელსაც ახლა პოლიცია ახორციელებს, ძალიან კარგი საქმეა, დიდი ეფექტიც აქვს და ხალხმა ცოტა ამოისუნთქა. ეს უნდა გაგრძელდეს. მაგრამ, როცა ლაპარაკია ტერორისტულ აქტებზე, დროა, განსაკუთრებით უშიშროების სამინისტრომ, მთელმა ამ სისტემამ გვიჩვენოს თავისი პროფესიონალიზმი. სახელმწიფო, მთელი სახელმწიფო სისტემა, მათ შორის სახელმწიფოს მეთაური დაინტერესებულები არიან, რომ გაიხსნას ყველა დივერსიული თუ ტერორისტული დანაშაული და დამნაშავე დაისაჯოს. უნდა ვაიძულოთ და კიდევაც ვაიძულებთ შესაბამის ორგანოებს, რომ არცერთი ასეთი შემთხვევა გაუხსნელი არ დარჩეს. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს, როგორც ცივილიზებული, კულტურული და ნორმალური ქვეყნის ავტორიტეტი, უნდა აღდგეს. ეს არის პრესტიჟის საქმე, ვიტყოდი, ეროვნული, სახელმწიფოებრივი საქმე და იგი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

— ხვალ იწყება პარლამენტის მორიგი სამუშაო კვირა. შეიტანა თუ არა რამე კორექტივები თქვენს საპარლამენტო მუშაობის გეგმებში ამერიკულმა ვიზიტმა?

— პარლამენტი, ალბათ, დაგეგმილი თემატიკის მიხედვით იმუშავებს. არსებობს ასეთი მოსაზრებები და გეგმა. ერთს კი ვიტყოდი, ამ ვიზიტთან დაკავშირებით: შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს, როცა ბიზნესის ფინანსური წრეების წარმომადგენლებს ვხვდებოდი, მთავარი შეკითხვები კანონმდებლობას ეხებოდა. რა კანონების მიღება მოასწრო საქართველოს პარლამენტმა, რომელიც ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს, როგორი იქნება უცხოური ინვესტიციების ბედი საქართველოში! აქ ცალკეული ზოგადი კანონები არ აინტერესებთ, პირდაპირ და ითხვას მიწყობდნენ დეტალებზე. ამ მხრივ, ჩვენი პარლამენტი ძალიან სერიოზულად ჩამორჩება. ეს მისი თავმჯდომარის მიმართაც უნდა ითქვას, ტის მიმართ და საერთოდ იმ კომისიებისა, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაკომპლექტებულიც კი არ არის. ბევრი კანონი — 60-ზე მეტი კანონი ეკონომიკის სფეროდან, გამზადებულია და, როგორც იტყვიან, თაროებზეა შემოდებული. ჩვენს პარლამენტს მაინცდამაინც უყვარს კანონებზე მუშაობა. ცოტა უფრო მეტად პოლიტიკის სფეროში იჩენს აქტიურობას, ვიდრე ეკონომიკის სფეროში. ეს შენიშვნა და კრიტიკა როდია. თავისთავად პარლამენტი ყველა სფეროთი უნდა იყოს დაინტერესებული, მაგრამ, დღეს რადგან ეკონომიკური კრიზისის დაძლევა უმთავრესი ამოცანაა და ბევრი პარლამენტარი სავსებით კანონზომიერად მოითხოვს რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს რეფორმები, ავითარი რეფორმა სწრაფად განხორციელდება და რეფორმატორული კურსი ბოლომდე იქნება მიყვანილი, თუ ამისი საკანონმდებლო ბაზა არ უზრუნველვყავით. მაგალითად, კანონი მიწის შესახებ მი-ოთხი თვეა დევს. ბატები, ვერ შევთანხმდით, დავდეთ და თავი დავანებ ჩემგან მოითხოვენ, რომ მოვცე დეკრეტი, ვფიქრობ, მინა უფლება არა მაქვს. თი პრობლემაა, იმდენად ვნეული და მგრძნობიარე უნისა და ყველა მოქალაქისათვის, რომ სწორედ პარლამენტმა და განსაზღვროს ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება. რომ, ასეთი კორექტივი, რო სწორად, პარლამენტის ლი ყურადღება და საქმიანობის შემობრუნება კანონმდებლობისაკენ, განსაკუთრებით ეკონომიკის, ფინანსების სფეროს მიმართ. აუცილებლად

გაეროს უშიშროების საბჭოს 9 მარტის სხდომის ანგარიში

(გაგრძელება).

რაინელთა, ბერძენთა, ებრაელთა დაბრუნებამდე, რომლებიც აფხაზეთის მრავალეროვანი ხალხის ორ მესამედს შეადგენენ.

ვფიქრობ, ყველამ არ იცის, რომ ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთი სარგებლობდა ფართო პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ავტონომიის ყველა უფლებით, რომელიც სავსებით უზრუნველყოფდა აფხაზი ხალხის ეროვნული თავისთავადობის განვითარებას: მოქმედებდა აფხაზური სკოლების ფართო ქსელი, გახსნილი იყო აფხაზეთის უნივერსიტეტი, აფხაზური თეატრი, აფხაზურ ენაზე გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები, გამოიცემოდა წიგნები, შექმნილი იყო ეროვნული რადიო და ტელევიზია, აფხაზეთის კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედებდნენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მთავრობა, უზენაესი სასამართლო, ქართულ და რუსულ ენებთან ერთად სახელმწიფო ენას წარმოადგენდა აფხაზურიც.

მიმდინარეობდა მოლაპარაკება აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციის კიდევ უფრო გაფართოების შესახებ. მაგრამ სეპარატისტებისთვის ეს ცოტა იყო — ისინი ილტვოდნენ საქართველოსაგან სრული გამოყოფისათვის, და ამის გულისთვის დიდ სისხლისღვრასაც არ მოერიდნენ.

ამის მიუხედავად, კვლავ ვაცხადებთ მთელი პასუხისმგებლობით, რომ არაფერი არ ემუქრება არც აფხაზეთის სახელმწიფოებრიობას, არც აფხაზი ხალხის ეროვნულ თავისთავადობას, არც აფხაზეთის მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებს, რომ მზად ვართ კიდევ უფრო ფართო უფლებები მივანიჭოთ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პირობებში.

ამის თაობაზე ჩვენს წინადადებებს ვაყენებთ უშიშროების საბჭოს შვიდივე რეზოლუციის ფართო და სოლიდურ ბაზაზე, ამასთან, არ ვცილდებით გაეროს ექსპერტთა ჯგუფის მანდატის ფარგლებს. ამის მიუხედავად, გუდაუთის რეჟიმი, ფაქტობრივად, ფუშავს მოლაპარაკებას სტატუსის თაობაზე.

გუდაუთის ლიდერებმა, დათანხმდნენ რა გაეროს ეგიდით მოლაპარაკებაში მონაწილეობას, თითქოსდა თანხმობა განაცხადეს პატივი ეცენ თუნდაც უშიშროების საბჭოს მიერ მოხაზულ საქმის წარმოების პარამეტრებს, მაგრამ ლამის ყოველი შეხვედრა — და ამის მაგალითია ჟენევის მოლაპარაკების მესამე რაუნდი — პირუკუს მოწმობს.

გვებადება კითხვა, ხომ არა გვაქვს საქმე დროის გაჭიანურების პრაქტიკასთან, ჩიხური სიტუაციის შექმნისადმი მისწრაფებასთან, რომელიც საბოლოოდ შეარყევს სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების შესაძლებლობებს, და რაც ყველაზე მთავარია, გამორიცხავს ლტოლვილთა დაბრუნების შესაძლებლობას.

თუ ეს ასეა, — ხოლო სხვა დასკვნა შეუძლებელია — რა უნდა დაუპირისპიროთ ცდებს გაერო გამოიყენონ როგორც საფარი სახელმწიფოს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის — ტერიტორიის ნაწილის მოწყვეტის ფაქტის საბოლოო დამკვიდრებისათვის?

ჩემი აზრით, მხოლოდ ამგვარად უნდა ვიმოქმედოთ, რათა მშვიდობისა და მოწესრიგების მოწინააღმდეგეებს მოვუსპოთ თვით ზოგიერთი რთული საკითხით მანიპულირების შესაძლებლობა. ამისათვის, სულ ცოტა, უნდა გავხსნათ, სწორედ რომ უნდა გავხსნათ, და არა გადავჭრათ, გორდიას კვანძი: რეგიონში გაეროს სამშვიდობო ძალების შეყვანა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ მოლაპარაკებაზე პროგრესის მიღწევაა. ჩვენ ხომ უკვე არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ გუდაუთის, ასე ვთქვათ, „ძალისხმევით“ ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა შეუძლებელი ხდება.

შეუწყნარებელია სამასი ათასი დევნილი და ხიზანი ისევე როგორც თავად პოლიტიკური მოწესრიგების იდეა, გადავაქციოთ ერთი მხარისა და ადამიანთა ჯგუფის უკეთური ნების მძევლებად.

ჩვენთვის უმთავრესი საკითხია: მათი მშვიდობიანი, უსაფრთხოების, უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის სპეციალური ღონისძიებებით გარანტირებული დაბრუნება მშობლიურ საზღვრებში. უამისოდ რეგიონში ვერავითარი მშვიდობა ვერ დამყარდება. ერთი შეუძლებელია უმეოროდ, საერთოდ კი ყოველივე ეს შეუძლებელია კონფლიქტის ზონაში ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების განულაგებლად. რაც შეეხება აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს, არსებობს ჟენევის გაგების მემორანდუმის საფუძველზე გაცემული მანდატი, რომლის ფარგლებში მოქმედებს ერთი მხარე და არ სურს მოქმედება მეორეს.

ეს ერთადერთი დახშული წრე როდია, რომელიც უნდა გაირღვეს. არსებობს ორი საპირისპირო მოდელი, ორი კონცეფცია, კონფლიქტის ზონაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების გამოყენებისადმი ორი მიდგომა.

პირველი მიდგომა. აფხაზთა მხარის ყველა წინადადებას წითელ ზოლად გასდევს აზრი მდინარე ენგურზე დაპირისპირებულ მხარეთა დამორიშორების შესახებ. ჯარები აშორიშორებენ მათ ისე, რომ არ ერევიან მათს კონტროლსდაქვემდებარებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენებში. ასეთ გადაწყვეტილებას დავეთანხმებოდით, რომ არ არსებობდეს ბოლოდროინდელი უამრავი დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ ჯერ ერთი, იგი ხელს უწყობს საქართველოსაგან მისი ტერიტორიის ნაწილის მოწყვეტის ფაქტის დამკვიდრებას და აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის შეცვლას და მეორე, ეს გუდაუთის რეჟიმს გადააქცევს დაბრუნებულ დევნილთა და ხიზნების ბედიღბლის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად. რეული და ახლო წარსულის მწარე გამოცდილების გამო ისინი არ დაბრუნდებიან იქ, სადაც ვერაფერი და ვერავინ ვერ უზრუნველყოფს მათ უშიშროებას, სიცოცხლეს, მოქალაქეობრივი, პირადი, ქონებრივი უფლებების დაცვას.

გალის მოვლენები ადასტურებს ამას. ჟენევაში მესამე რაუნდის დაწყების წინ დამსჯელებმა გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს ამ რაიონის რამდენიმე სოფელი, დახოცეს ასობით ადამიანი. კიდევ 15 ათასმა კაცმა დატოვა წინაპართა მიწა-წყალი.

მეორე მიდგომა. ჩვენ არაფერი გვქონია და არც გვაქვს გასაყოფი, გარდა უფლებამოსილებისა. ჩვენთვის მშვიდობიანი მოწესრიგების მთავარი და ძირითადი პირობა დევნილთა და ხიზნების უსაფრთხო დაბრუნებაა. გალის რაიონში „ეთნიკური წმენდის“ განგრძობამ ცხადყო, რომ გუდაუთას ან არ სურს, ანდა არ ძალუძს უზრუნველყოს მათი უსაფრთხოების გარანტიები. იმასთან დაკავშირებით, რომ გუდაუთელი ლიდერები მოითხოვდნენ მათ ფილტრაციას, შეგახსენებთ თქვენ მიერ მიღებულ 1994 წლის 31 იანვრის 896 რეზოლუციას, რომლის თანახმად, „უშიშროების საბჭო ცნობს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ყველა დევნილისა და ხიზნის უფლებას წინასწარი პირობების დაუთქმელად დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს უსაფრთხო პირობებში..“ (რეზოლუცია 896 1994, პუნქტი 11).

ასეთი უსაფრთხო პირობების შექმნა პრობლემურია ანარქიის, ქაოსისა და თვითნებობის ატმოსფეროში. ამის უკონტროლო უფლება არ შეიძლება და არც უნდა მიეცეს ერთ მხარეს, რომლის უნარი იცავდეს და ასრულებდეს მის მიერვე ხელმოწერილ ვალდებულებებს, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვს იწვევს. ამიტომ, ჩვენი აზრით, მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების ერთადერთი გზა ის არის, რომ კონფლიქტის ზონაში ენგურსა და ფსოუს შორის მთელ სივრცეში განლაგდეს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

— კონფლიქტის ზონის სრულ ეტაპობრივ დემილიტარიზაციას;

— საერთაშორისო მეთვალყურეთა განლაგებას, მათ მიერ თავიანთ მოვალეობათა დაუბრკოლებლად შესრულებისათვის სათანადო პირობების შექმნას;

— აფხაზეთში მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დევნილთა და ხიზნების ნებაყოფლობით, ღირსეულად, ყოველგვარი წინასწარი პირობების დაუთქმელად დაბრუნებას.

აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების ჩვენი გეგმა ითვალისწინებს: არჩევნების გამართვას საერთაშორისო კონტროლის პირობებში და მის საფუძველზე ხელისუფლების ახალი ორგანოების შექმნას; არჩევნების მოწყობამდე — საერთაშორისო დირექტორატის შექმნას მხარეების, გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის, რუსეთის ფედერაციის, „საქართველოს მეგობართა“ ჯგუფისა და გაეროს სხვა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების მონაწილეობით; აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციათა შესასრულებლად იქმნება აფხაზეთის დროებითი შერეული ადმინისტრაცია, რომელიც იმოქმედებს საერთაშორისო დირექტორატის ხელმძღვანელობით.

გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობითა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეობით მოქმედებს სპეციალურად შექმნილი საერთაშორისო ორგანო, რომელიც დირექტორატთან და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად შეიმუშავებს და განახორციელებს აფხაზეთის ეკონომიკური აღორძინების პროგრამას. მინდა გაცნობოთ, რომ მე გაეროს ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს პროფესორ ჯორჯო მალინვერნის გადავეცი აფხაზთა მხარისათვის განკუთვნილი წინადადება თავისი წარმომადგენლები გამოგზავნოს საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად.

უშიშროების საბჭოს წევრებმა იციან, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ ჩემს წინადადებებს იზიარებს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი. დაახლოებით ერთი თვის წინათ გაეროს გადაეცა ჩვენი ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „გაეროს ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით ამასწინანდელი მოლაპარაკების დროს ცხადი გახდა, რომ კონფლიქტის ზონაში მხოლოდ სამშვიდობო ძალების განლაგება შეიძლება გახდეს პოლიტიკური პროცესის გარედან მხარდამჭერის ის ფუძემდებელი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობდა ვითარების თანდათანობით, მაგრამ განუხრელ სტაბილიზაციას“. (5/1994) 125, დანართი).

საქმე გვაქვს ფაქტებთან, როცა მოწესრიგების მოწინააღმდეგენი სიტყვით „მხარს უჭერენ“, სინამდვილეში კი ხელს უშლიან თანხმობის მიღწევას. ძნელი არ არის ვივარაუდოთ: ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა არ დაუშვან ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება.

კონფლიქტის ზონაში გაეროს ჯარების განლაგების დაყოვნება დამღუპველ გავლენას ახდენს სამასი ათასი დევნილის ხვედრზე, რომელთა სასოწარკვეთილმა მდგომარეობამ შეიძლება ბიძგი მისცეს მათ სტიქიურ მოქმედებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ყველა ეს მოსაზრება გადაწყვეტილების მიღების დროს.

ნება მიბოძეთ კვლავ შეგახსენოთ, რომ კონფლიქტი, რომლის ჩაქრობასაც ვესწრაფვით, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს იზოლირებულ, ლოკალურ მოვლენად. იგი გაღვივდა იმ წერტილში, სადაც ერთდება და ერთმანეთს კვეთს საკმაოდ ვრცელი რეგიონის ყველაზე მგრძნობიარე არტერიები. ამ არტერიებით დესტრუქციული იმპულსები აღწევს მოსაზღვრე ქვეყნებამდე, იწვევს სიტუაციის დესტაბილიზაციას რუსეთის სამხრეთში და კავკასიას, მის სხვა არანაკლებ სერიოზულ კონფლიქტებთან ერთად, მსოფლიოს კიდევ ერთ დენთის კასრად აქცევს. ეს კონფლიქტი ექცევა საყოველთაო უშიშროების აშლილობის გიგანტურ რკალში, რომელიც ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონებს მოიცავს.

თუ ზღვარს დაუდებთ ამ კონფლიქტს, ამით თქვენ მნიშვნელოვნად შეასუსტებთ ამ რკალის დამანგრეველ ძალას, გააფრთხილებთ იმათ, ვინც ისწრაფვის დემოკრატიის უნივერსალური პრინციპები დაუქვემდებაროს ულტრანაციონალიზმისა და ფაშიზმის დებულებებს. ეს იქნება საგნობრივი გაკვეთილი აგრესიული სეპარატიზმისათვის, რომელიც მსოფლიოს ჯაჭვური რეაქციით დაქუცმაცებას უქადის. თუ ამას არ იზამთ, მას ახალ ძალებს შთაბერავთ, განუმტკიცებთ საკუთარი დაუსჯელობის რწმენას, მსოფლიო გაერთიანების დაუბრკოლებლად აბუჩად აგდების, მისი ნებისა და გადაწყვეტილებების უგულებელყოფის, ქვეყნებისა და ხალხების ბედის თვითნებურად დაქუცმაცების შესაძლებლობის რწმენას.

მე გთხოვთ განიხილოთ პრობლემა გლობალური სიტუაციის კონტექსტით, სამი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის — მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის პრიზმით, რომლებსაც გაეროს გენერალურმა მდივანმა თანამედროვე კაცობრიობის ფუძემდებელი პრიორიტეტები უწოდა.

ბატონი ვორონცოვი (რუსეთის ფედერაცია): უწინარესად, მინდა მივესალმო უშიშროების საბჭოს მუშაობაში მონაწილე თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს.

აშშ. 6-9 მარტი, 1994 წელი



ედუარდ შევარდნაძის შეხვედრები ძველ მეგობრებთან ჯეიმს ბეიკერთან (ზემოთ) და მსტისლავ როსტროპოვიჩთან.

რუსეთის დელეგაციამ დიდი ყურადღებით მოისმინა საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელის გამოსვლა. ჩვენ ვიზიარებთ ამ გამოსვლაში ჩამოყალიბებულ დასკვნას, რომ საჭიროა საერთაშორისო გაერთიანებამ დაუყოვნებლივ განახორციელოს აქტიური ღონისძიებანი აფხაზეთის კონფლიქტის დაძლევაში დახმარების გასაწევად.

რუსეთის ფედერაცია ადასტურებს თავის უაღრესად სერიოზულ შეშფოთებას აფხაზეთის კონფლიქტის მოუწესრიგებლობის გამო. პოლიტიკური მოწესრიგების უმნიშვნელოვანესი საკითხებისა და ჰუმანური ხასიათის პრობლემების, უწინარესად თავიანთ კერებში ასიათასობით დევნილისა და ხიზნების დაბრუნების პრობლემის გადაუწყვეტელობა ფართო მასშტაბის სისხლისღვრის განახლების რეალურ საფრთხეს ქმნის. ცხადია, რომ შეიარაღებულ შეტაკებათა განახლება გამოიწვევს ათასობით ადამიანის დაღუპვას, სახალხო დოვლათის ნგრევას, მდგომარეობის სერიოზულ დესტაბილიზაციას საქართველოს რესპუბლიკასა და მთელ კავკასიის რეგიონში.

ამასთანავე, რუსეთის ფედერაციის მთავრობა მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სწორედ სამშვიდობო პროცესის სტიმულირებისა და მისთვის წარმატებული და საბოლოო ანგარიშით შეუქცევადი ხასიათის მინიჭებისათვის საჭიროა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების დაუყოვნებლივ განლაგება. ცხადია, რომ არ არის შესაძლებლობა საბოლოოდ გადაწყდეს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი მანამდე, სანამ მოსახლეობის ნახევარზე მეტი მის ფარგლებს გარეთ იმყოფება და ხორციელდება აქტიური ღონისძიებანი აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის შესაცვლელად.

რუსეთის ფედერაცია სავსებით იზიარებს საქართველოს მთავრობის იმ პოზიციას, რომ კონფლიქტის ზონაში მხოლოდ სამშვიდობო ძალების განლაგებამ შეიძლება ნამდვილად ეფექტიანად უზრუნველყოს ცეცხლის შეწყვეტის შენარჩუნება, აფხაზეთში დევნილთა და ხიზნების მასობრივი დაბრუნების უსაფრთხოება და მხარეების მიერ ადრე მიღწეულ მორიგებათა შესრულება, კერძოდ, მხარეთა შეიარაღებული ძალების დაშორიშორების, აგრეთვე კონფლიქტში მონაწილეობისათვის გარედან ჩამოსული ყოველგვარი ფორმირებების განიარაღებისა და გაყვანის შესახებ.

რუსეთის ფედერაცია მხარს უჭერს წინადადებას აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების დაუყოვნებლივ განლაგების შესახებ. დროის დაკარგვა ხელს უშლის კონფლიქტის მოგვარებას. საერთაშორისო გაერთიანებამ არ უნდა დაუშვას ახალი სისხლისღვრა.

ბატონი ინდერფიორტი (ამერიკის შეერთებული შტატები): ბედნიერი ვარ, ჩემი მთავრობისა და შეერთებული შტატების ხალხის სახელით მოგესალმოთ თქვენ, თავმჯდომარე შევარდნაძე, ნიუ-იორკსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. თუმცა ეს თქვენი პირველი ვიზიტია აქ, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელისა, თქვენ სრულიადაც არა ხართ უცნობი ამ ორგანოში ანდა მსოფლიო ასპარეზზე.

ედუარდ შევარდნაძის სახელი მუდამ იქნება დაკავშირებული თანამედროვე ისტორიაში ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებებთან, როგორიც არის დემოკრატიის დამყარება აღმოსავლეთ ევროპაში, ხიდების გადება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უზარმაზარ უფსკრულზე, გამალებული ბირთვული შეიარაღების ტემპის შენელება და უშიშროების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის ახალი სულისკვეთების გამარჯვება.

მოდით გავიხსენოთ აგრეთვე ის გარემოებანი, რომლებშიც ბატონმა შევარდნაძემ დატოვა მაშინ თავისი პოსტი. იგი გადადგა პრინციპულად, რითაც გაგვაფრთხილა, რომ რეაქციულმა პოლიტიკამ ჯერ კიდევ შეიძლება წამოყოს თავი ყოფილ საბჭოთა კავშირში, მაგრამ გაიმარჯვეს [illegible] ძალებმა, რომელთა [illegible] შევარდნაძე იყო.

სულ რამდენიმე წლის წინათ საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე ეხმარებოდა თავისი ქვეყნის გადაყვანას ახალ ერაში. დღეს თავმჯდომარე შევარდნაძე გვთხოვს დავეხმაროთ იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც დგება გადასვლისა და ცვლილებების ამ მშფოთვარე ჟამს მისი ქვეყნის წინაშე, რომელმაც ეს-ეს არის მოიპოვა დამოუკიდებლობა.

საქართველოსათვის, ისევე როგორც მისი ბევრი მოძმე რესპუბლიკისათვის, დამოკიდებული რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოზე გადასვლა ძნელია. საქართველო გააწამა სამოქალაქო ომმა, ეკონომიკურმა ქაოსმა და ეთნიკურმა მტრობამ. ბატონ შევარდნაძის მთავრობა თავდაუზოგავად შრომობს ამ პრობლემების გადასაჭრელად, მაგრამ მისი რესურსები ფრიად შეზღუდულია. როგორც დემოკრატიისათვის მებრძოლი, ჩემი მთავრობა მზად არის დაეხმაროს მას და მოუწოდოს იმისათვის, რომ უშიშროების საბჭომაც ყველაფერი იღონოს მის დასახმარებლად.

ყველაზე სასწრაფო ამოცანა ის არის, რომ გამოიძებნოს საქართველოს ტერიტორიაზე — აფხაზეთში სასტიკი ომის მოწესრიგების გზები, ამ კონფლიქტის შედეგად, რომელსაც დიდი ტანჯვა-ვაება მოაქვს ორივე მხარისათვის, გაჩნდა ათასობით დევნილი, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყანას. მეტწილ შემთხვევაში ამ დევნილებს იძულებით ერეკებიან სახლებიდან და მათ უხდებათ ბრძოლა სიცოცხლისათვის შორეული მთიანი რაიონების მკაცრი ზამთრის პირობებში. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დავეხმაროთ მათ უმოკლეს ვადაში და ღირსეულად დაბრუნებაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველო და დახმარების გამწევი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მტკიცედ მუშაობენ მათი ტანჯვა-ვაების შესამსუბუქებლად და რეპატრიაციისათვის მოსამზადებლად. მაგრამ მხოლოდ პოლიტიკურ შეთანხმებასა და აფხაზ ხელისუფალთა მხრივ რეალურ ვალდებულებას — დაიცვან ისინი, შეუძლია უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება.

ჩემი მთავრობა კვლავ მტკიცედ აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მივესალმებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევას აფხაზ ძალებსა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმების მიღწევის ხელშესაწყობად. ვიმედოვნებთ, რომ მხარეები შეძლებენ მიაღწიონ ისეთ მოწესრიგებას, რომელიც მოიცავს ცეცხლის შეწყვეტისა და დევნილთა დაბრუნების მტკიცე რეჟიმს. თუ ეს მოხდა, მაშინ მხარს დავუჭერთ, გარკვეული პირობების დაცვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების ოპერაციას საქართველოში და მოვუწოდებ სხვა მთავრობებს ასევე მოიქცნენ. და მე დავძენდი, რომ შეერთებული შტატები აღიარებს ამ საკითხის უდიდეს მნიშვნელობას.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ ბატონ შევარდნაძის მთავრობა მზად არის მოლაპარაკებისათვის აფხაზეთის ფართო ავტონომიის თაობაზე. იგი მზად უნდა იყოს დეტალურად განსაზღვროს, თუ როგორ განხორციელდება ეს ავტონომია. მაგრამ აფხაზმა ძალებმაც უნდა ცნონ სიტყვითაც და საქმითაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მოწესრიგების შემადგენელი ნაწილები უკვე არსებობს; ახლა საქმე ის არის, რომ მხარეებმა გააერთიანონ ისინი.

დღეს საქართველოში გადასაწყვეტია დიდმნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებსაც უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე არასტაბილურ მსოფლიოში „ცივი ომის“ შემდგომ ეპოქაში. იმას, რასაც აქ ვაკეთებთ, ყურადღებით ადევნებენ თვალს სხვა უმცირესობანი საქართველოში, აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა მშფოთვარე რაიონებში. უმოქმედობამ შეიძლება ძალმომრეობისათვის წააქეზოს ისინი, ვინც ნაწყენია, და ამით შექმნას ხელისუფლების ვაკუუმი (რომელიც, ბუნებრივია, დიდხანს ვერ დარჩება შეუვსებელი) და ხელსაყრელი პირობები წარსულ განხეთქილებათა განახლებისათვის.

საქართველოს სჭირდება აგრეთვე ჩვენი ეკონომიკური და ჰუმანური დახმარება. უამისოდ გაჭირვებამ, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება არარად აქციოს ჩვენი პოლიტიკური ძალისხმევა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ძალისხმევა. ჩემმა მთავრობამ წლეულს დღემდე გამოყო 70 მილიონი დოლარი ჰუმანური დახმარება. საქართველოს ეხმარებიან სხვა მთავრობებიც. ყველა წევრ სახელმწიფოს ვთხოვთ შეუერთდნენ ანაზრების შეტანას. ქართველი ერი საუკუნეთა მანძილზე მუდამ იჩენდა შეუპოვრობასა და სიმტკიცეს. ამ მშფოთვარე ჟამს იგი, და ჩვენ, შეიძლება დავეყრდნოთ იმ გამოცდილებას, სიბრძნესა და კომპრომისის სულისკვეთებას, რომლებსაც ედუარდ შევარდნაძე ასე უხვად იჩენს მთელი თავისი თვალსაჩინო კარიერის მანძილზე.

სერ დევიდ ჰანეი (გაერთიანებული სამეფო): ჩემი დელეგაცია უერთდება სხვებს და მიესალმება ბატონ შევარდნაძეს უშიშროების საბჭოში. ჩემი მთავრობა აღტაცებით ადევნებს თვალს ვაჟკაცობას, რომლითაც იგი მიუძღვის თავის ხალხს და ცდილობს საქართველოში მართლწესრიგი აღადგინოს. სულ 20 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ეს საბჭო თავის 763 (1992) რეზოლუციაში მიესალმა საქართველოს რესპუბლიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა რიგებში. მწვავე ხასიათისაა ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა უხდება ამ ქვეყანას მთელი ამ 20 თვის მანძილზე. ჩვენ ჯეროვან პატივს მივაგებთ ბატონ შევარდნაძესა და საქართველოს ხალხს იმ სიმტკიცისა და პატრიოტიზმისათვის, რითაც ისინი წყვეტენ ამ პრობლემებს. ჩემი მთავრობა, ბევრ სხვასთან ერთად, თავის როლს ასრულებს ამ დიდი

(დასასრული მე-4 გვ.).

გაეროს უშიშროების საბჭოს 9 მარტის სხდომის ანგარიში

(დასასრული)

გაჭირვებისა და განსაცდელის ჟამს საქართველოსათვის ჰუმანური დახმარების გაწევაში. ჩვენ, აგრეთვე, ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ხელი შევუწყოთ მას ძირეული პოლიტიკური პრობლემების გადაჭრაში როგორც გენერალური მდივნის მიერ შექმნილი „საქართველოს მეგობართა" ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა. გენერალური მდივნისათვის ჩვენი მხარდაჭერა მოწმობს, რომ დიდად ვართ შეშფოთებული ამჟამად იქ შექმნილი სიტუაციის და განსაკუთრებით ასობით ათასი ლტოლვილის მძიმე მდგომარეობისა და საბრძოლო მოქმედების განახლების საფრთხის გამო.

ჩემი მთავრობა იზიარებს გენერალური მდივნის 3 მარტის მოხსენებაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში, რომლებმაც კვლავ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ამჟამად შექმნილი სიტუაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთსავე ყურადღებას იმსახურებს, როგორც სხვა რეგიონებში შექმნილი სიტუაციები. საქართველოში მთავარი როლი უნდა შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესმა კომისარმა და გაეროს სხვა დაწესებულებებმა. უშიშროების საბჭომ თავისი რეზოლუციებით შექმნა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისია, რომელსაც დაეკისრა აფხაზეთში კონფლიქტის მხარეებთან კონტაქტების დამყარების, აგრეთვე მათ მიერ მიღწეულ შორიგებათა შესრულების ხელშეწყობის ამოცანა. გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი ძალ-ღონეს არ ზოგავენ მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმატებისათვის.

ჩემი მთავრობა გაგებით ეკიდება და დიდად აფასებს ბატონ შევარდნაძისა და საქართველოს მთავრობის დაჟინებულ მოთხოვნას და მათ მისწრაფებას, კიდევ უფრო არსებითად ჩაბან ამ პროცესში საერთაშორისო გაერთიანება მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ოპერაციის განხორციელების გზით. საბჭო კიდევ ერთხელ განიხილავს ამ საკითხს თვის დამლევამდე, როცა დაიწყებს გენერალური მდივნის მოხსენების განხილვას, რომლის წარდგენის თხოვნას შეიცავდა საბჭოს 901 რეზოლუცია (1994). მაგრამ უაღრესად საჭიროა, რომ სანამ საბჭო დაამტკიცებს მშვიდობის დაცვის ოპერაციას, მას შეექმნას არსებითი პოლიტიკური საფუძველი და მიღწეულ იქნას აშკარა პროგრესი პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში. აგრეთვე გარკვეულობა უნდა შევიტანოთ მანდატის საკითხში, რომელიც უნდა მიეცეთ მშვიდობის დაცვის ამ ძალებს და, რომლის განსაზღვრისას თავი უნდა ავარიდოთ სტატუს-კვოს მარტოოდენ დაფიქსირებას.

ამ კვირაში ნიუ-იორკში მიმდინარეობს მოლაპარაკება სწორედ ასეთი პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით. გულწრფელად ვაღიარებ, ჩემი დელეგაცია იმედგაცრუებულია იმით, რომ ამ მოლაპარაკებაზე ჯერჯერობით არ ხერხდება მეტი პროგრესის მიღწევა. მაგრამ აღვნიშნავთ, რომ გაჩნდა რაღაც შეხების წერტილები. მაგალითად, იმაში, რაც ეხება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მორიგებას და მისთვის უფრო ოფიციალური ხასიათის მიცემას. მაგრამ შემაშფოთებელია, რომ სხვა ძირითად საკითხებში უწინდებურად არ შეინიშნება გარკვეულობა. ჩემი დელეგაცია იმედოვნებს, რომ ეს მოლაპარაკება დაუყოვნებლივ გაგრძელდება ყველაფერთან ერთად იმ მიზნითაც, რომ გაირკვეს ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა განისაზღვროს მშვიდობის დაცვის რომელიც გნებავთ ოპერაციის განხორციელებამდე და დამაკმაყოფილებელი შეთანხმების დადების მიზნით, რომელიც შესაძლებელს გახდის, რათა დევნილები სწრაფად და უპირობოდ დაუბრუნდნენ თავიანთ კერას.

დასასრულ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ორი მომენტი. პირველი გახლავთ ის, რომ საერთაშორისო გაერთიანება, ჩემი აზრით, არ გამოიჩენს დიდ მოთმინებას, თუ ერთი ან მეორე მხარე ახლანდელ მოლაპარაკებაში დაბრკოლებებს შექმნის დროის მოსაგებად და თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად. მეორე მომენტი ის არის, რომ ამ პრობლემის ნებისმიერი გადაჭრა უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და უზრუნველყოფდეს აფხაზეთის ყველა მრავალეროვანი თემის ინტერესების დაცვას. ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი შეთანხმების დადება, რომელიც გაითვალისწინებს ამ პრინციპებს, ამ რეგიონში ხანგრძლივი სტაბილურობის მიღწევის ერთადერთი გზაა.

ბატონი კოვანდა (ჩეხეთის რესპუბლიკა): ჩეხეთის დელეგაციამ კმაყოფილებით მოისმინა პრეზიდენტ შევარდნაძის გამოსვლა ორი სრულიად სხვადასხვა მიზეზის გამო.

ჯერ ერთი, ჩვენ უაღრესად შეშფოთებული ვართ საქართველოში დატრიალებული მოვლენებით. ჩვენს ორ სახელმწიფოს დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ერთმანეთთან. მართლაც, ჩვენს ქვეყნებს შორის შეიძლება ზოგიერთი პარალელი გავავლოთ. მაგალითად, გეოგრაფიის თვალსაზრისით, თბილისი და პრაღა თითქმის ერთნაირი მანძილით არიან დაშორებული მოსკოვისაგან. მაგრამ არსებობს აგრეთვე ისტორიული პარალელები. დაახლოებით 70 წლის წინათ საერთაშორისო კომუნიზმის ძალებმა მოაშთეს საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფო, რომელიც ის-ის იყო განთავისუფლდა მეფის უღლისაგან. თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ იმავე ძალებმა ბოლო მოუღეს დემოკრატიას ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში, რომელიც ის-ის იყო განთავისუფლდა ნაციზმისაგან.

დღეს, „ცივი ომის" ეპოქის დამთავრების შემდეგ, ორივე ქვეყანა დაეწაფა თავისუფლებასა და დემოკრატიას. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ამ ცვლილებებში პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი როლის დავიწყება, რისთვისაც ჩვენ მას უაღრესად დიდ პატივს ვცემთ.

აშშ, 6-9 მარტი, 1994 წელი



სურათებზე: შეხვედრა პენტაგონში (ზემოთ); წინ თეთრი სახლია (ქვემოთ).

ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ ნიუ-იორკისაკენ გზად მიმავალი პრეზიდენტი შევარდნაძე პრაღაში შეჩერდა, სადაც იგი შეხვდა ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს. ამიტომ, ასევე არ არის შემთხვევითი, რომ ჩემი დელეგაცია განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მოვლენების განვითარებას. ჩვენ მზად ვართ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი სიტუაციის მოწესრიგებას, ხოლო, რაც შეეხება კონკრეტულ მოსაზრებებს საქართველოს სიტუაციისა და მისი მოწესრიგების ძიებაში უშიშროების საბჭოს შესაძლო როლის თაობაზე, ჩეხეთის დელეგაცია უფლებას იტოვებს გამოვიდეს ჩვენი მუშაობის შემდეგ ეტაპზე.

მაგრამ არის მეორე მიზეზიც იმისა, რის გამოც მოხარული ვართ, რომ მოგვეცა პრეზიდენტ შევარდნაძის გამოსვლის მოსმენის შესაძლებლობა, იგი ეხება უშიშროების საბჭოს მუშაობის სტილს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებებს ისე იღებს, რომ დაინტერესებულ მხარეებს არ აძლევს საბჭოში თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ამის გამო იქმნება აზრი, რომ საბჭო არ არის საქმარისად ტრანსპარენტული და კომუნიკაციური. ეს ძალზე შემაშფოთებელია. მაგრამ თავისი პრეზიდენტის მეშვეობით საქართველომ შეძლო არსებითი წვლილი შეეტანა საბჭოში გამართულ განხილვაში, რომელიც ეს-ეს არის იწყება. ეს იმას მეტყველებს, რომ, როცა ეს საჭიროა, შეიძლება გამოინახოს საშუალებები, რომ ორგანიზაციის წევრებმა შეძლონ დროულად შეიტანონ თავიანთი წვლილი, და თქვენ, ბატონო თავმჯდომარე, ახლა დაგვეხმარეთ, გამოგვენახა ასეთი საშუალება. ჩემი დელეგაცია იმედოვნებს, რომ ამასთან დაკავშირებით დღევანდელი სხდომა მომავლის მაუწყებელია და, რომ შემდგომში საბჭო შეძლებს გამონახოს შემოქმედებითი და ნოვატორული გზები, რომელიც შესაძლებელს გახდის მოვუსმინოთ ორგანიზაციის წევრებს, რა თვალსაზრისი აქვთ თავიანთ პრობლემებზე.

ბატონი სარდენბერგი (ბრაზილია): საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, მისმა აღმატებულებამ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დღეს დიდი პატივი დასდო უშიშროების საბჭოს თავისი აქ ყოფნით. ბრაზილიის მთავრობის სახელით მინდა გულმხურვალედ მივესალმო მას.

ეს სხდომა მიმდინარეობს იმ დროს, როცა კონფლიქტის ყოველმხრივი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის გამიზნული მოლაპარაკების უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპი დაგვიდგა. საერთაშორისო გაერთიანება მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ამ მიზნის მიღწევაში. ამასთან დაკავშირებით ჩემი დელეგაცია ჯეროვნად აფასებს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ედუარდ ბრუნერის დაუცხრომელ დიპლომატიურ ძალისხმევას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ პროგრესის მიღწევაში, რომელიც დღეს მოვიპოვეთ. ასევე მადლობელი ვართ რუსეთის ფედერაციისა იმ როლისათვის, რომელსაც იგი ასრულებს როგორც შუამავალი სამშვიდობო პროცესში.

ჩემს დელეგაციას მიაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი წარმმართველი უნდა იყოს მოლაპარაკებაზე. ჩემი დელეგაცია დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი პროცესის განვითარების დროს სრულად უნდა იყოს დაცული საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, როგორც ეს ნათქვამი იყო ამ საკითხის გამო საბჭოს მიერ ადრე მიღებულ რეზოლუციებში.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ აფხაზეთში მშვიდობის დაცვის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციის უსწრაფესი განხორციელების იდეას მხარს უჭერს ორივე მხარე, თუმცა არსებობს გარკვეული უთანხმოება მისი შესრულების ხერხებთან დაკავშირებით. მხარს ვუჭერთ ისეთი ოპერაციის განხორციელების იდეას, რომელიც ამ პოლიტიკური კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების ძირითადი ელემენტია.

დიდად შეშფოთებული ვართ იმ ცნობებით, რომ საომარი მოქმედების შედეგად საქართველოში ასობით ათასი დევნილი და ხიზანია. ამ დევნილებსა და ხიზნებს აქვთ თავიანთი მუდმივი ბინადრობის ადგილებში უსაფრთხო დაბრუნების უფლება. ჰუმანური სიტუაციის გაუარესებას ადგილზე შექმნილ ვითარებაში ტრაგიზმის ახალი ელემენტი შეაქვს, რომელსაც სასწრაფოდ უნდა მიაპყრონ ყურადღება საერთაშორისო გაერთიანებამ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უზენაესმა კომისარმა.

ბრაზილიის დელეგაცია კვლავაც ყურადღებით მიადევნებს თვალს აფხაზეთის მოვლენებს იმ იმედით, რომ მალე მოხერხდება კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევა კეთილსინდისიერი პოლიტიკური მოლაპარაკების საფუძველზე ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

ბატონი ლი ჟაოსინი (ჩინეთი): უწინარეს ყოვლისა, მინდა ჩინეთის დელეგაციის სახელით მივესალმო მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, უშიშროების საბჭოს დღევანდელ ოფიციალურ სხდომაზე და მადლობა გადავუხადო მას საქართველოს სიტუაციის შესახებ შესავალი მოხსენებისათვის. მისი გამოსვლა დაეხმარება საბჭოს წევრებს უკეთ ჩასწვდნენ საქართველოში არსებულ ახლანდელ სიტუაციას.

აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებით საქართველოში დაიწყო ჰუმანური სიტუაციის თანდათანობით გაუარესების პროცესი, რასაც მოჰყვა დევნილთა და ხიზანთა რიცხვის მკვეთრი ზრდა, უამრავი ადამიანის დაღუპვა და უზარმაზარი მატერიალური ზარალი. 1994 წლის 3 მარტის მოხსენებაში გენერალური მდივანი აღნიშნავს, რომ, თუ უახლოეს დროში არ მოხერხდა პოლიტიკური პროგრესის მიღწევა, საომარი მოქმედება შეიძლება მალე განახლდეს და გავრცელდეს კავკასიის რეგიონის სხვა ნაწილებში. ჩინეთის დელეგაცია უაღრესად შეშფოთებულია ამით.

ჩინეთის დელეგაცია მუდამ მხარს უჭერდა დავის მოწესრიგებას მშვიდობიანი მოლაპარაკების საშუალებით. მიგვაჩნია, რომ საქართველოს საკითხი ყოვლისმომცველი მოწესრიგებისათვის სამშვიდობო პროცესში საერთაშორისო გაერთიანება პატივს უნდა სცემდეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამავე დროს, გარანტირებული უნდა იყოს აფხაზეთის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტერესები.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის შუამავლობით უკვე გამართეს მოლაპარაკების სამი რაუნდი და გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს. მაგრამ ისიც აღვნიშნეთ, რომ ამ სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებულ ბევრ კითხვაზე, ჯერჯერობით, არ არის მიგნებული პასუხი. ამიტომ გამოვთქვამთ იმედს, რომ დაინტერესებული მხარეები გამოიყენებენ მათთვის მიცემულ შესაძლებლობას და შეეცდებიან მიაგნონ შესაბამის გადაწყვეტებს ახალი მიმდინარე მოლაპარაკების დროს პრობლემის არსთან დაკავშირებით. მტკიცედ მოვუწოდებთ მხარეებს დაიცვან ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, უზრუნველყონ დევნილთა და ხიზანთა უსწრაფესი დაბრუნება და შექმნან პირობები, რომელშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შესაძლებლობა ექნება კვლავაც შეასრულოს საქართველოში მასზე დაკისრებული როლი და კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს გაუწიოს დახმარება შემდგომი პროგრესის მიღწევაში საქართველოს ვითარების ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ბატონი პედაუიე (ესპანეთი): ჩემი დელეგაციის სახელით მინდა შევუერთდე წინა ორატორებს და ვთქვა, რაოდენ სასიამოვნოა ჩვენთვის დღეს აქ, საბჭოს დარბაზში პრეზიდენტ შევარდნაძის ხილვა. ესპანეთის მთავრობის სახელით მინდა მას გამოვუცხადო სოლიდარობა და მხარდაჭერა. დარწმუნებული ვართ, რომ მისი ვაჟკაცობისა და პირადი ღირსების, მისი ხელმძღვანელობის ნიჭისა და სახელმწიფო მოღვაწის საყოველთაოდ აღიარებული თვისებების მეოხებით საქართველოს რესპუბლიკა მალე მიაღწევს ნანატრ მშვიდობას და სტაბილურობას.

ადრე მიღებულ რეზოლუციებში უშიშროების საბჭო მკაფიოდ და ზუსტად აღნიშნავდა, რომ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში. მან ასევე ხაზგასმით დაადასტურა, რომ პატივი უნდა სცენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და დაუშვებელია ამ საკითხების განხილვის საგნად გადაქცევა. ესპანეთის დელეგაციას სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ საჭიროა დავიცვათ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპი, რის შესახებაც მკაფიოდ არის ნათქვამი 31 იანვრის 896 რეზოლუციაში (1994), რომელიც გვაუწყებს, რომ მხარეთა მოლაპარაკებაზე წინსვლა უნდა განხორციელდეს აუცილებლად ამ პრინციპის პატივისცემის გათვალისწინებით და ეს პრინციპი უაღრესად სერიოზულად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტისას.

ამ თვალსაზრისით შემაშფოთებლად მიგვაჩნია ის, რომ აფხაზეთის ლიდერები კვლავ აცხადებენ, ჩვენი მიზანია დამოუკიდებლობის მოპოვებაო და ის, რომ ისინი ამას აკეთებენ ყველას გასაგონად, რისთვისაც იყენებენ სოხუმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კერძოდ, იქ მოქმედ ტელე-და რადიოსადგურებს. ასევე გვაშფოთებს საქართველოში ვითარების გაუარესება და შეიარაღებული შეტაკების გააქტიურება გალის რაიონში, რომელიც იქ სწორედ იმ მომენტში მოხდა, როცა თებერვლის დამდეგს მოსკოვში მიმდინარეობდა ექსპერტთა შეხვედრა.

მიგვაჩნია, რომ საჭიროა გაორკეცდეს ძალისხმევა მოლაპარაკების გზით კონფლიქტის ისეთი მოწესრიგების მიღწევის მიზნით, რომლის დროსაც მხედველობაში იქნება მიღებული საბჭოს მიერ დამტკიცებული პრინციპები. თუ უახლოეს მომავალში ვერ მივაღწევთ პროგრესს პოლიტიკურ დარგში, შეიძლება მოხდეს საბრძოლო მოქმედებათა ესკალაცია. როგორც თავის გამოსვლაში აღნიშნა პრეზიდენტმა შევარდნაძემ და, როგორც ასევე აღნიშნა ადრე გენერალურმა მდივანმა, არსებობს კავკასიის რეგიონის სტრატეგიული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან სხვა რაიონებში კონფლიქტის გავრცელების სერიოზული საშიშროება.

ასეთ პირობებში უშიშროების საბჭომ უნდა იფიქროს საქართველოში მშვიდობის დაცვის ძალების შექმნის შესაძლებლობაზე. სამწუხაროა, რომ ასეთი ოპერაციის დასახვის პირობები ამჟამად არ არის, რაც ითქვა გენერალური მდივნის 3 მარტის მოხსენებაში. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ეს სიტუაცია უახლოეს მომავალში შეიცვლება; ასეთ შემთხვევაში ესპანეთი მზად არის, ორგანიზაციის განკარგულებაში არსებული რესურსების სიმწირისა და იმ სიძნელეების მიუხედავად, რომლებსაც აწყდება საბჭო მშვიდობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში მასზე დაკისრებული ახალი მოვალეობების შედეგად, განვიხილოთ საქართველოში მშვიდობის დაცვის ახალი ოპერაციის დამტკიცების შესაძლებლობა და მას შესაბამისი მანდატი მივანიჭოთ. ვიმედოვნებთ, რომ გენერალური მდივანი შესძლებს უახლოეს მომავალში მიაპყროს ჩვენი ყურადღება მოხსენებას, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება დადებითი რეკომენდაციები ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა შევძლოთ შევქმნათ სასიკეთო პირობები ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვისადმი კონტროლის დაწესებისა და იმ მიზნით, რომ საქართველოს რესპუბლიკა დაადგეს ქვეყანაში ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენის გზას.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ ეს კონფლიქტი უნდა მოწესრიგდეს კომპრომისის საფუძველზე. მთავრობამ, რომელსაც მეთაურობს პრეზიდენტი შევარდნაძე, უკვე განაცხადა, რომ მზად არის მოლაპარაკებაზე განიხილოს აფხაზეთისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების საკითხი. ახლა აფხაზეთის მხარის ჯერია, რომელმაც ყოველი ღონე უნდა იხმაროს ასეთი კომპრომისის მიღწევისათვის, ამასთან, ახსოვდეს, რომ საერთაშორისო გაერთიანება, უშიშროების საბჭოს სახით, უდიდესი გულისყურით ადევნებს თვალს ამ სიტუაციის განვითარებას.

ბატონი კარდენასი (არგენტინა): ჩემი დელეგაციისა და არგენტინის რესპუბლიკის ხალხის სახელით მინდა განვაცხადო, რომ კმაყოფილებას განვიცდით აქ, საბჭოს დარბაზში, პრეზიდენტ შევარდნაძის ყოფნასთან დაკავშირებით და მადლობას ვუხდით მას საქართველოს ვითარებასთან დაკავშირებით მის მიერ ახლახან გაკეთებული განცხადების გამო. ჩვენ უდიდესი პატივისცემით ვეკიდებით მის მიერ გამოთქმულ აზრებს, რომლებიც ძალზე სასარგებლო იქნება ჩვენთვის მის ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის გაანალიზებისას. გვსურს მას, მისი სახით კი საქართველოს მთელ მოსახლეობას მოვუწოდოთ განაგრძონ ძალისხმევა მყარი და მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევისათვის, რომლის დროსაც დაცული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა და, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მთელი მოსახლეობის, მათ შორის უმცირესობათა ინტეგრაციას ურთიერთპატივისცემისა და შემწყნარებლობის საფუძველზე.

კერძოდ, ჩვენ დიდად ვაფასებთ, რომ მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საჭიროა ნებისმიერ გარემოებაში დაცული იყოს საერთაშორისო ჰუმანური სამართლის ნორმები, ბოლო დროს სხვა რაიონებში ესოდენ ხშირად რომ ირღვევა. ჩვენ ასევე დიდ შეფასებას ვაძლევთ იმას, რომ მან მკაცრად დაგმო ვნებათა გაღვივების პრაქტიკა, რომლებიც წარმოშობენ კონფლიქტებს, ეს უკანასკნელნი კი მადესტაბილიზებელ ზემოქმედებას ახდენენ კაცობრიობაზე და ყველას შიშს გვინერგავენ. თუმცა, ზოგჯერ ძნელია დაიჯერო, მაგრამ ვნებათა გაღვივების ასეთი ტაქტიკის ერთადერთ შხამსაწინააღმდეგო მოქმედებას წარმოადგენს ძნელად შესახამებელი მშვიდი სიმტკიცე და მყარი მიზანსწრაფულობა, ისევე როგორც მინიმალური კონსენსუსის უზრუნველყოფა. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ასეთი შეხამება მუდამ იქნება დამახასიათებელი იმ მოქმედებისათვის, რომელიც განხორციელდება კრიზისის მიმართ, საბჭო რომ იხილავს.

თავმჯდომარე: ახლა გავაკეთებ განცხადებას, როგორც საფრანგეთის წარმომადგენელი.

ბატონო პრეზიდენტო, ჩემი მთავრობის სახელით მოგესალმებით თქვენ დღეს აქ, ნიუ-იორკში. ჩემი ქვეყნის მთავრობა მოხარულია, რომ საქართველოს ბედი თქვენს ხელშია, და ჩვენ განსაკუთრებულ კმაყოფილებას განვიცდით იმის გამო, რომ ამ პოსტზე იმყოფებით თქვენ — გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც ფართოდ არის ცნობილი მშვიდობის საქმის ერთგულებით.

უწინარეს ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემი მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებას, რომლის მიზანია შეწყვიტოს ტრაგიკული კონფლიქტი თქვენს ქვეყანაში და ამით ბოლო მოუღოს ტანჯვა-ვაებას, რომლის გადატანა უწევს თქვენს ხალხს. როგორც თქვენთვის ცნობილია, საფრანგეთმა ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ ხელი შეეწყო ჟენევაში მშვიდობიანი პროცესის წარმატებით დამთავრებისათვის. აღგითქვამთ, რომ შემდგომშიც მონაწილეობას მივიღებთ კონფლიქტის მოწესრიგების გზების ძიებაში.

ამასთან დაკავშირებით ჩემს მთავრობას სურს მკაფიოდ გამოხატოს თავისი პოზიცია შემდეგ სამ საკითხში, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ. ესენია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა; დევნილთა და ხიზანთა დაბრუნება აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკაში; მშვიდობის დაცვის ოპერაციის განხორციელების პირობები.

მოწესრიგება შეუძლებელია, თუ მიღწეული არ იქნა შეთანხმება სქემით, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას. მოლაპარაკების პროცესში უეჭველად უნდა შემუშავდეს პოლიტიკური მოწესრიგების შემსუბუქებისათვის გამიზნული კონსტიტუციური მექანიზმები. ეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. მაგრამ, ჩემი მთავრობის აზრით, ლაპარაკიც კი ზედმეტია რაიმე დათმობაზე თქვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხში საბოლოო მოწესრიგების ფარგლებში, რომელიც მიღწეულ იქნება.

დევნილთა და ხიზანთა დაბრუნების საკითხსაც ასევე უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მათი დაბრუნება განხორციელდეს რაც შეიძლება ხელშემწყობ პირობებში. ეს მარტო მწვავე ჰუმანური პრობლემა როდია, რომელიც უნდა მოწესრიგდეს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს მძიმე პირობებში ჩავარდნილი მოსახლეობის გაჭირვებას და აღდგეს მისი უფლებები; ეს აგრეთვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხია. აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკის ეთნიკური შემადგენლობის ძალმომრეობითი შეცვლა დაუშვებელია. დევნილთა და ხიზანთა დაბრუნება პოლიტიკური მოწესრიგების კიდევ ერთი წინასწარი პირობა გახლავთ.

ასევე მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ დიდ იმედებს ვამყარებთ მოლაპარაკების მიმდინარე პროცესზე. ამასთან დაკავშირებით, დიდად ვაფასებთ იმ ძალისხმევასა და ღონისძიებებს, რომელსაც მიმართავს სახელმწიფო მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოს საკითხში ელჩი ბრუნერი. ჩემი მთავრობა იმედოვნებს, რომ მოლაპარაკება დამთავრდება. იგი იმედოვნებს, რომ მიღწეული იქნება მნიშვნელოვანი პროგრესი პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე, რაც საშუალებას მისცემს უშიშროების საბჭოს მიიღოს გადაწყვეტილება თქვენს ქვეყანაში მშვიდობის დაცვის ძალების განლაგების შესახებ. როგორც კარგად არის ცნობილი, ჩემი მთავრობა არსებითად მხარს უჭერს ამ ოპერაციას. მინდა შეგახსენოთ ამასთან დაკავშირებით, რომ ასეთი ოპერაცია უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივი წესების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ მშვიდობის დაცვისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას, კერძოდ იმაში, რაც შეეხება მანდატის განსაზღვრას, ძალების შემადგენლობას, სარდლობისა და დაფინანსების უზრუნველყოფას.

ბატონო პრეზიდენტო, კვლავ მინდა გამოვთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ უშიშროების საბჭოს აქვს შესაძლებლობა მოისმინოს თქვენი გამოსვლა თქვენი ქვეყნის მომავლისათვის ასეთ კრიტიკულ ეტაპზე.

გამოთხოვება

გზად უკვდავებისკენ

ქართველმა ხალხმა უკანასკნელი პატივი მიაგო გამოჩენილ ქართველ ხელოვანს თენგიზ აბულაძეს.

ხელოვანი კინორეჟისორის და სახელმწიფო მოღვაწის სამოქალაქო პანაშვიდი 12 მარტს გაიმართა კინოს სახლის სააქტო დარბაზში. მრავალრიცხოვან მსურველს, მაესტროსთან გამოსამშვიდობებლად მოსულს ფოიეში ხვდებოდა მისი უზარმაზარი პორტრეტი და „ნატვრის ხე", რომლის ფილოსოფიური სიღრმით გაოცებამ ხელოვანს ღრმა მოაზროვნის სახელი დაუმკვიდრა.

საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიან ქართული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მისი მოღვაწეები, რომლებმაც თენგიზ აბულაძესთან ერთად ქართულ კინოხელოვნებას საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი.

უკანასკნელ საპატიო ყარაულში დგანან რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე.

სამგლოვიარო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა ვახტანგ ბო[illegible]ძემ. მრავალრიცხოვანმა გამომსვლელებმა ილაპარაკეს თენგიზ აბულაძის შემოქმედებაზე, მის პიროვნულ ღირსებაზე. შთამბეჭდავი იყო მოსკოველი კინომცოდნის, გაზეთ „იზვესტიის" მიმომხილველის ნელი იზმაილოვას გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის დღევანდელი გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ თენგიზ აბულაძის შემოქმედებას, მის დამსახურებას მსოფლიოს კინოხელოვნების წინაშე.

გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ (სიტყვა ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

შემდეგ პროცესია დავით აღმაშენებლის გამზირისაკენ, კინოსტუდიის ძველი შენობისაკენ გაემართა, სადაც ორმოცი წლის წინათ დაიწყო თენგიზ აბულაძის შემოქმედება.

აქაც სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა. სიყრმის მეგობარმა და კოლეგამ რეზო ჩხეიძემ წარმოთქვა სამგლოვიარო სიტყვა. თენგიზ აბულაძის ფილმში „მონანიება" მონაწილე მსახიობებმა თეთრი მიხაკებით შეამკეს ხელოვანის კუბო.

მიტინგის მონაწილენი დიდუბის პანთეონისაკენ გაემართნენ. ხელოვანის ნეშტი დიდუბის ტაძარში დაასვენეს, სადაც აღევლინა ლოცვა გარდაცვლილის სულის საოხად.

დიდუბის პანთეონში თენგიზ აბულაძის საფლავთან კვლავ გაგრძელდა სამგლოვიარო მიტინგი.

მიტინგი დამთავრდა. ახლობლები და მეგობრები გამოეთხოვნენ თენგიზ აბულაძეს.

მისი ცხედარი ქართულმა მიწამ მიიბარა.

მაგრამ დარჩა თენგიზ აბულაძის ხელოვნება, რომელიც კვლავ და კვლავ გაუკვალავს გზას ადამიანებს, მის მშობლიურ ერს ტაძრისაკენ.

ედუარდ შევარდნაძე



ახალი მსოფლიო ხედვისკენ გვიბიძგა...

სიტყვა, წარმოთქმული თენგიზ აბულაძესთან გამოსათხოვარ სამგლოვიარო მიტინგზე

საქართველო დღეს ეთხოვება დიდ ხელოვანსა და დიდ ქართველს.

ჩვენ უნდა გავუძლოთ კიდევ ერთ ტკივილს.

ძნელია ახლა ჩემთვის იმ სიტყვების მოძებნა, რომლებიც თავის სახელს დაარქმევდა იმ განცდას, რომელსაც ახლა ვგრძნობ, რადგან თენგიზ აბულაძე ჩემთვის მარტო დიდი ხელოვანი და გამორჩეული პიროვნება კი არა, ჩემი დიდი მეგობარი და თანამოაზრეც გახლდათ.

ან იქნებ მე ვიყავი მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი იმ დიდსა და მშვენიერ საქმეში, რომელსაც ფილმი „მონანიება" ჰქვია და რომელსაც ჩვენი საზოგადოების, ჩვენი აზროვნების, ჩვენი ყოფის ღვთის გზაზე დაყენება ჰქონდა მიზნად.

ღმერთთან მიახლოება კი მონანიებით იწყება.

ბედნიერი ვარ, რომ იგი ჩემთან მეგობრობდა და „მონანიების" თანამდგომად მთვლიდა.

მან, როგორც კაცმა და როგორც შემოქმედმა, უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემზე, ისევე, როგორც, ალბათ, ყოველ ჩვენგანზე.

სწორედ ამიტომ იქცა იგი და მისი შემოქმედება ჩვენი სულის განუყოფელ ნაწილად.

* * *

როცა ახლობელი ადამიანი გიკვდება, თავად შენში კვდება არამარტო ნაწილი საკუთარი სულისა, არამედ სამყაროს ის ნაწილიც, რომელიც აღარასოდეს დაგიბრუნდება, აღარ შეივსება, აღარ იარსებებს.

თენგიზ აბულაძის წასვლასთან ერთად თავად ჩვენს სულში ჩაწყდა რაღაც და ვეღარასოდეს ვიქნებით ისეთები, როგორიც ვიყავით მის გვერდით, მისი სიყვარულით, მისი ზრუნვით, მისი ტკივილით გარემოსილნი.

მაგრამ ჩვენ ვერც ისეთები ვიქნებით ოდესმე, როგორც „მონანიებამდე" ვიყავით, რადგან დიდმა ხელოვანმა ამ ფილმით მარტო მშვენიერებას კი არა, მაღალ სულიერებასაც გვაზიარა და, თუ გნებავთ, ახალი მსოფლიო ხედვისკენ გვიბიძგა.

„მონანიება" თენგიზ აბულაძისთვის დასკვნითი ფილმი იყო მის მრავალწლიან ძიებაში, ხოლო მილიონობით ადამიანისთვის იქნება დასაწყისიც დიდი ჩაფიქრებისა და დიდი გზისაც.

* * *

დღეს ბევრს ბჭობენ ტოტალიტარული სისტემის მსხვრევის მიზეზებზე, მსჯელობენ კონკრეტულ პოლიტიკოსებზეც, რომლებიც ახალი მოძრაობის სათავეებთან იდგნენ, მთავარი კი ხშირად ავიწყდებათ — ის ადამიანები, რომელთა აზროვნების წესმა დაამსხვრია ტოტალიტარიზმი, რომლებმაც ერთი აზროვნების წესს დაუპირისპირეს მეორე — სამართლიანი, გონივრული, ამაღლებული და წმინდა...

ასეთი ადამიანები ბევრნი არ იყვნენ...

თენგიზ აბულაძე, მსოფლიო მასშტაბის კინოხელოვანი და დიდი ქართველი მოქალაქე, ერთი გამორჩეული გახლდათ ამ მცირედთაგან, თავისი ელიტარული ხელოვნებით, თავისი განათლებით, თავისი ნატიფი გარეგნობით და საოცრად ხალხური თავისი ძირეული ფესვებით, სწორედ თავისი ხალხის საუკეთესო ტრადიციებიდან ამოზრდილი და თავისი ხალხის საუკეთესო თვისებების გამომხატველი.

მაგრამ მისი უდიდესი დამსახურება ადამიანთა წინაშე მაინც უფრო ახალი აზროვნების ჩამოყალიბებასა და დადგინებაშია და არა ძველის დამსხვრევაში.

აქ სიყვარული სძლევს სიძულვილს, სიკეთე — ბოროტებას, და მიტევება, მაინც მიტევება, იქცევა მომავალი მსოფლიოს შენების ქვაკუთხედად.

ამ მარადიული იდეებითა და მოტივებით თენგიზ აბულაძემ ახალი და განუმეორებელი სამყარო შექმნა, რადგან ფაქტობრივად ყოველთვის წინ უსწრებდა დროს, ამბობდა იმას და ისე, რაც და როგორც უნდა ეთქვა ამ მართლაც ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებულ დიდად განათლებულ და მაღალზნეობრივ პიროვნებას, თავისი ხალხის უპირველეს ჭირისუფალს.

ბატონი თენგიზის შემოქმედებას, მთელ მის ნააზრევს, ნაფიქრალს ჩვენი ერისა და ყოველი ხალხისთვის ერთ უმთავრეს დასკვნამდე მივყევართ: **არ არსებობს ჭეშმარიტად ეროვნული, რომელიც ზოგადკაცობრიული აზროვნების წესს უგულებელყოფდეს და ზოგადკაცობრიული აზრის განვითარება და ამაღლება ეროვნულ ენერგიათა უშრეტი ნაკადებით არის შეპირობებული.**

* * *

წყალნი წავლენ და წამოვლენ და ისტორიას ძალზე მცირე რამ შემორჩება დღევანდელი ქვიშისგან. სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან მცირედში იქნება მუდამ დიდი ხელოვანი თენგიზ აბულაძე, რომელმაც მარტო კი არ ასახა სინამდვილე, არამედ დიდი წვლილიც შეიტანა მის სასიკეთოდ მოქცევაში, გაადამიანურებასა და ღვთის გზაზე დაყენებაში.

* * *

როცა ჩვენს გარშემო ასეთი ადამიანები არიან, მაშინ ჭეშმარიტად ფიქრობ, რომ თავად სიცოცხლე მართლა მშვენიერია, რომ ადამიანი მართლა გვირგვინია ბუნებისა და ასეთი ხელოვანის მშობელ ერს მართლა არ უწერია გადაშენება, ჩვენ გადავრჩებით, რადგან ბატონმა თენგიზმა კიდევ ერთი ჭეშმარიტება დაგვანახა თვალნათლივ: ერები, ხალხები, სახელმწიფონი არა მათი რიცხოვნებითა და მოცულობით არიან გამორჩეული და უკვდავი, არამედ იმ წვლილით, რომლის შეტანაც მათ საკაცობრიო კულტურის საგანძურში ძალუძთ.

ონტროლზე

200 და 70 მილიონი დოლარი

მასალა, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, ამჯერად ორი მიზნით არის ჩვენთვის საინტერესო. პირველი, როგორც ცრუ ბრალდებად გამოყენებული დოკუმენტი, რომელიც პოლიტიკური სკანდალის „აგორების" მსურველთ თავად შემოუბრუნდათ ბრალდებად, და, მეორე, როგორც ნიმუში იმისა, რომ ჯერ ძალიან ადრეა მიზეზთა გამო მრავალთა დავიწყება ორგანიზატორული საქმიანობის იმ ფორმისა თუ მეთოდისა, რომელსაც კონტროლი ჰქვია.

„აყვანილია კონტროლზე" აწერია ამ დოკუმენტს. აწერია და დავიწყებულია. პირველი და უკანასკნელი შემთხვევა რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან საჭირო, ხალხისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმეების უჯრებში ჩაკეტვა (ან შეგნებულად, დაუდევრად, ან ძალა არ შესწევთ შესასრულებლად და იმიტომ) ახალი ბიუროკრატიზმის დამახასიათებელ სტილად იქცა.

როგორ ფიქრობთ, აწყენს ასეთ საქმეებს ფართო საზოგადოებრიობის კონტროლი, საქვეყნოდ და საჯაროდ გამოტანილი?

არა, რა თქმა უნდა.

ჩვენც ახე განვსაჯეთ და დღეიდან ვიწყებთ ახალ რუბრიკას — „დოკუმენტი — კონტროლზე".

ვინ და როგორ დაუმალა ხალხს დავალებული 200 მილიონი ამერიკული დოლარი, „საქართველოს რესპუბლიკის" წლევანდელი 29 იანვრის ნომერში გაეცა პასუხი ჩვენი კოლეგის, ჟურნალისტის ია ალუდაურის დასაბუთებული წერილით „ვინ გადამალა 200 მილიონი დოლარი?" და იმ დოკუმენტის პუბლიკაციით, რომელსაც ცილისწამების „არგუმენტად" იყენებდნენ ედუარდ შევარდნაძის ოპონენტები.

წლეულსვე, ჩვენი გაზეთის 1 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში სახელმწიფოს მეთაურმა კომენტატორ ნატო ონიანის შეკითხვას რომ უპასუხა, თქვა, რომ ეს ბრალდება მას რამდენადმე ხუმრობად მიაჩნია და დასძინა (უკვე ხუმრობაგაშვებით), რომ საზოგადოებრიობამ ყველაფერი უნდა იცოდეს, რასთან გვაქვს საქმე, რატომ დაუმალეს მას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძალიან სერიოზული წერილი, როგორ აღმოჩნდა ამ წერილის ასლი ბატონ თენგიზ სიგუასთან შინ, დედანი კი თითქოს დაიკარგა და სხვა. შემდეგ — სიტყვასიტყვით: „იქ იყო მეორე წერილიც... მე მოვითხოვე, რომ გამოქვეყნდეს მეორე წერილიც, ის, რომელიც ბატონ რომან გოცირიძეს გადავუგზავნე".

დღეს ვაქვეყნებთ ამ წერილს, რომელიც გამოგზავნილია მსოფლიო ბანკიდან და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველობის საერთო სექტორში მიღებულია ჯერ კიდევ 1992 წლის 26 ოქტომბერს და ბატონ ედუარდ შევარდნაძის რეზოლუციით მეორე დღესვე გადაეგზავნა ვიცე-პრემიერს რომან გოცირიძეს.

გაცნობებთ იმასაც, რომ მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მიეკვლია ყოფილი ვიცე-პრემიერის მიერ უყურადღებოდ დატოვებული ამ დოკუმენტისათვის.

მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის კომპიუტერულ სისტემაში ამ წერილის მიღება დაფიქსირებულია, პასუხის გაცემის არავითარი კვალი კი არ ჩანს.

წერილი კონტროლზე იყო აყვანილი მისი უაღრესი სერიოზულობის გამო. რას ნიშნავდა 70 მილიონი დოლარი სესხი (იხ. დოკუმენტი) ჩვენი გაჩანაგებული ეკონომიკისათვის, ბატონ რომან გოცირიძეზე უკეთ არავის უნდა სცოდნოდა. მით უფრო, გაუგებარია, რატომ დატოვა მან სახელმწიფოს მეთაურის დავალება, რბილად რომ ვთქვათ, ასე უყურადღებოდ, სხვა თუ არაფერი, ორგანიზატორული მუშაობის ელემენტარული მოთხოვნილება, ანა-ბანა არის პასუხის მომზადება და გაგზავნა. მას კი რესპუბლიკის მთელი ეკონომიკის გაძღოლა ევალებოდა, რეფორმების განხორციელებაც.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რა ახალი წახნაგებით წარმოჩნდა თითქმის წელიწადნახევრის წინათ მიღებული ეს დოკუმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის შუქზე.

იქნებ, ახლა მაინც გამოეხმაუროს ბატონი რომან გოცირიძე, ჩვენს ამ პუბლიკაციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს, შესაძლოა, უკან მიდევნებული ლამპარივით იყოს.

მომდევნო ნომერში ახალი რუბრიკით ახალ მასალას წარმოგიდგენთ. თემა: საქართველოსათვის ევროგაერთიანების გამოყოფილი კრედიტებით ნაყიდი სურსათის მოსახლეობისთვის ნორმირებულ მიყიდვაში დაფიქსირებული უხეში დარღვევები და რეაგირება მათზე.

ახლა კი — წერილი მსოფლიო ბანკიდან.

დოკუმენტი

სარეაბილიტაციო სესხის მიღებისათვის საჭირო ღონისძიებანი

მთავარი ამოცანა. სარეაბილიტაციო სესხის მთავარი ამოცანაა საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის შემდგომი შემცირების შეზღუდვა. ეს ამოცანა შეიძლება განხორციელდეს იმ პირობით, თუ რესპუბლიკა მომარაგდება უცხოური ვალუტით, რათა წარმოებისათვის საჭირო იმპორტით უზრუნველყოს ეკონომიკის საკვანძო სექტორები.

მოთხოვნები. სარეაბილიტაციო კრედიტის მთავარი მოთხოვნაა დაიდოს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის. სარეაბილიტაციო პროგრამის შესახებ შეთანხმება გულისხმობს სხვა ღონისძიებათა შორის მაკროსტაბილურობის მიღწევით თანმიმდევრულად განხორციელდეს ფინანსური, ფულად-[illegible], ადგილობრივი კრედიტების, [illegible] კომპლექსი, და ეკონომიკაში რწმენის განსამტკიცებლად საჭირო სავალუტო კურსის წესები. ამან ასევე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მაკროეკონომიკური ვითარება, რომელშიც შეიძლება გამოყენებული იყოს მსოფლიო ბანკის სახსრები.

იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა დაადგეს განვითარების სიცოცხლისუნარიან გზას, მაკროეკონომიკური ცვლილებები საჭიროა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა აგრეთვე სტრუქტურული გარდაქმნის [illegible]სათვის გამიზნული ღონისძიებანი და, შესაბამისად, [illegible] ეფექტიანი ეკონომიკა. მსოფლიო ბანკის სარეაბილიტაციო სესხი გულისხმობს საქართველოს მთავრობის სტრუქტურული გარდაქმნის ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული პროგრამის შემუშავებისათვის მზადყოფნას ამ მიზნის მიღწევაში. ასეთი პროგრამა მოიცავს საზოგადოებრივი [illegible]ლობის, საზოგადოებრივი [illegible]სების, ფულადი პოლიტიკის, საგარეო პოლიტიკის, შრომის ბაზრის, აგრეთვე ფინანსური სექტორის რეფორმებს, რათა მთავრობას შესაძლებლობა [illegible] განავითაროს კერძო სექტორი, პრივატიზაცია, სახელმწიფო საწარმოთა რეფორმები, [illegible] უსაფრთხოების, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის ქსელი.

საქართველოს რეფორმის პროგრამა და უახლოესი 12-18 თვის მოქმედების გეგმა უნდა შეთანხმდეს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის. პროგრამა უნდა ჩამოყალიბდეს ძირითადი დებულებების შესახებ და განცხადებაში სტრუქტურული რეფორმის შესახებ (ეს უკანასკნელი უნდა გაფორმდეს წერილის სახით საქართველოს მთავრობისაგან მსოფლიო ბანკის პრეზიდენტისადმი). მსოფლიო ბანკმა წარადგინა ეს დოკუმენტები (დებულებები და განცხადებანი) და აპირებს დაეხმაროს მთავრობას მათს გაფორმებაში.

ვადები. ეკონომიკური მემორანდუმის განხილვის დროს მთავრობა და მსოფლიო ბანკი განიხილავენ საქართველოს სტრუქტურული რეფორმის პროგრამას, კერძოდ, მოქმედების გეგმას. როგორც კი სტაბილიზაციის პროგრამა მიღწეული იქნება მსოფლიო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკს შეუძლია სწრაფად დაიწყოს მუშაობა სარეაბილიტაციო სესხის მისაცემად.

იმპორტი. სარეაბილიტაციო სესხი დააფინანსებს კრიტიკულად საჭირო იმპორტს. მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა უნდა განსაზღვრონ ამ იმპორტის სახეობანი კრედიტის მომზადების დროს. უფრო მალე, ეს იქნება პრიორიტეტული წლიური კრიტიკულ საწარმოთა პროცესებისა და [illegible]ტალებზე; ეს იმპორტი არ უნდა იყოს გამოყენებული ახალ მსხვილ საწარმოთა სიმძლავრეთა შესაქმნელად. იმპორტი შეიძლება გაიცეს [illegible] სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის ([illegible] ტექნიკისათვის), ტრანსპორტის, ენერგეტიკის სექტორისათვის, აგრეთვე, თესლისა და სასუქების სახით.

სესხის ოდენობა და პირობები. სარეაბილიტაციო სესხის ოდენობა განისაზღვრება 50-70 მილიონი ამერიკული დოლარით, ფინანსური საჭიროების განსაზღვრისა და სხვა რესურსების არსებობის მიხედვით. კრედიტის პირობები დამოკიდებულია ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს შემოსავლის შეფასებაზე. უფრო მალე, საქართველო კრედიტს მიიღებს 17 წლით, განთავისუფლდება გადასახადებისაგან 4 წლის მანძილზე. ინტერესის პროცენტი შეიცვლება ყოველ 6 თვეში. ამჟამად მსოფლიო ბანკის სესხის პროცენტი წლიურად დაახლოებით 7,6 პროცენტს შეადგენს.

ბიუჯეტის მნიშვნელობა. ზემოაღნიშნული სესხი მოხმარდება ეკონომიკისათვის უცხოური ვალუტის მისაწვდომობის შემსუბუქებას; იგი გათვალისწინებული არ არის იმ იმპორტიორების საწარმოებისა და სექტორების საბიუჯეტო დოტაციების უზრუნველსაყოფად, რომლებიც სარგებლობენ იმპორტით. ამრიგად, ცალკე დათქმულ შემთხვევათა გარდა, იმპორტიორებმა მხარემ, რომელიც მსოფლიო ბანკის ფონდებს იყენებს, უნდა შეიძინოს უცხოური ვალუტა მანეთით, ვალუტის გაცვლის საბაზრო კურსის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა თვითონ ახორციელებს საქონლის იმპორტს, ხარჯები შეტანილი უნდა იქნეს მთავრობის ბიუჯეტში.

უცხოური ვალუტის გაყიდვის შედეგად მიღებული ფონდები შეიძლება გადავიდეს მთავრობის ბიუჯეტში დაფინანსების სახით, იმ შემთხვევაში, თუ ეს დათქმულია მსოფლიო სავალუტო ფონდთან დაფინანსების პროგრამაში.

შესყიდვები და ა. შ. იმპორტი უნდა იქნეს შესყიდული, განაწილებული, და დაანგარიშებული მსოფლიო ბანკის პროცედურების შესაბამისად. სესხი განაწილდება საქონლის ნამდვილი იმპორტის მიხედვით, და თანხებს პირდაპირ გადაუხდიან პროდუქციის მიმწოდებლებს, მოწოდების მოწმობის მიღების შემდეგ. მსოფლიო ბანკი აპირებს იმუშაოს მთავრობის წარმომადგენლებთან შესაბამის ღონისძიებათა დაცვისა და მთავრობის მიერ მათი განხორციელებისათვის.

1992 წლის 19 ოქტომბერი.



The World Bank
INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT
INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION
MULTILATERAL INVESTMENT GUARANTEE AGENCY

1818 H Street, N.W.
Washington, D.C. 20433
U.S.A.

Cable Address: INTBAFRAD
Cable Address: INDEVAS

TELEFAX TRANSMITTAL SHEET

COUNTRY DEPARTMENT III
COUNTRY OPERATIONS DIVISION III
EUROPE & CENTRAL ASIA

DATE: October 19, 1992
NUMBER OF PAGES: 3
TO: Mr. Joseph Taiskarishvili
FAX NUMBER: 41 1 602 9605 ext 117
SUBJECT: Georgia - Rehabilitation Loan
FROM: Chris Hall, EC3C3
FAX NUMBER: (202) 477-3378
TELEPHONE: (202) 473-4418

MESSAGE

Mr. Taiskarishvili.

სურათზე: მსოფლიო ბანკიდან გამოგზავნილი წერილის თავფურცელი ბატონ ედუარდ შევარდნაძის რეზოლუციით.

მეცნიერთა აზრი

პირველი მარტის სხდომაზე პარლამენტმა, როგორც გვახსოვს, განიხილა საკითხი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებასთან შეერთების შესახებ". ეს — ოფიციალური სახელდებით. შინაარსობლივად თუ ვიტყვით, განხილული იყო თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის საკითხი და კენჭისყრის შედეგად პირველი მარტიდან იგი დსთ-ს (თუ გნებავთ, დასთას) წევრად ითვლება. არ ვიცი, შევა თუ არა ეს დღე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, როგორც ისტორიული, მაგრამ პარლამენტის იმდღევანდელი სხდომა რომ ისტორიული, მეტიც, ეპატაჟებით „დამშვენებული" გამოვიდა, ეჭვგარეშეა.

ძნელად იფიქრებდი, რომ პარლამენტის ადრინდელი სესიების მოსმენითა თუ ცქერით უკვე მკვიდრად „დაყენებული" მძიმე და უსიამო შთაბეჭდილება შეიძლებოდა კიდევ უფრო დამძიმებულიყო; არადა სწორედ ასე მოხდა. როგორ უნდა იწამოს რიგითმა მოქალაქემ იმ პარლამენტის მიერ დადგენილი წესებისა, რომლის შექრებებზე ამდენი უწესობა ხდება; როგორ დაიცავს რიგით მოქალაქეს ის პარლამენტი, რომელსაც ზოგიერთი პარლამენტარისაგან თავის დამცველი მექანიზმისათვის ვერ მიუგნია; და იყო მავანი და მავანი დეპუტატის პოლიტიკური თუ ყოფითი ზულიგნობა, იყო საკუთარი „გამბედაობით" კეკლუცობა (აკი გაიპარა რადიოეთერში ვილაცაზე ნათქვამი — თავისივე სიბრიყვით ტკბებაო), იყო დიდის გინებით მოახლოებული დიდის დღის „აღნიშვნა"... გასაკვირია, ზოგიერთ მოღვაწეს ერთადერთ პოლიტიკურ კოზირად რუსეთისა და რუსების სიძულვილი რომ მოუმარჯვებია აქამდე და უკეთესი იდეა ვერაფერი მოუნახავს. ეს ხომ „გვაიარეთ"! მგონი, საჭირო ხდება, პოლიტზულიგნის („პოლიტზულიგანკის") და პოლიტბანკროტის ტერმინები თუ სტატუსები შემოვიღოთ და „დამსახურებულ" პარლამენტარებს ვუბოძოთ....

„საქართველოს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა!"

— როგორ შეხვდით ჩვენი პარლამენტის მიერ დსთ-ში გაერთიანების ფიქსირებას და ხომ არ გნებავთ, შესაბამისი სხდომის თაობაზე გამოთქვათ აზრი? — ამ შეკითხვით მივმართეთ რამდენიმე მეცნიერს.

გურამ თევზაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი:

— გონიერულ პოლიტიკას ტყუილი და ამორალური ზრახვები ვერასდროს ეგუება. არ უნდა ვეგონოს, რომ სხვაზე ჭკვიანები ვართ და იმ სხვას მოვატყუებთ, ვერაფერს მიგვიხვდება. პირიქით, ბოლო წლებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი განზრახვის შედეგად თავად ვრჩებით მოტყუებული და სხვანი ჩვენზე უფრო წინდახედულად, ჭკვიანურად იქცევიან. აუცილებელი იყო ამიტომაც პარლამენტში რატიფიკაციის საკითხის დასმა, თუნდაც ის არ გასულიყო: რუსეთი დარწმუნებული იქნებოდა სახელმწიფოს მეთაურის კეთილ სურვილში, იმაში, რომ იგი არ იტყუება. ედუარდ შევარდნაძე რომ აშშ-ში ურატიფიკაციოდ წაბრძანებულიყო, რუსეთი იფიქრებდა — რაკი ასე წავიდა, მას ჩემთან კავშირი არ უნდაო. პარლამენტში რომ რატიფიკაციის საკითხი არ გასულიყო, ეს შეასუსტებდა ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტს და მოწინააღმდეგეები არ დაიზარებდნენ შორს მიმავალი დასკვნების გაკეთებას; გარდა ამისა, საქართველოს საკმაოდ შეერყეოდა სახელი როგორც სახელმწიფოს, რომელიც პერმანენტულად იცვლის მთავრობებს ხელშესახები შედეგის გარეშე და ეს კი მრავალ უცხოელს უკარგავს პარტნიორობის სურვილს.

პარლამენტში რატიფიცირება მე მაინც იმის დადასტურებად მიმაჩნია, რომ იქაური ხელმძღვანელობა ფლობს სიტუაციას და თვით პარლამენტსაც, საბოლოო ანგარიშით, შეუძლია თავისი ფუნქციის შესრულება. ეს იმედს გვაძლევს, რომ იგი წინასწარ დათხოვნილი არ იქნება და ვებ ბოლომდე მიიყვანს საქმიანობა, რაც სასურველად მეჩვენება, წინააღმდეგ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აზრისა. ახალი არჩევნები საოცრად ძვირი ჯდება და უფსკრულის პირას სიარულს ჩამოჰგავს; არა იმ თვალსაზრისით, ცუდ პარლამენტს აირჩევენ თუ კარგს, ეს ხალხის ნებაა და ამას წინ ვერავინ დაუდგება, არამედ იმიტომ, რომ შეიძლება ვერც ჩატარდეს: უდავოდ ამოქმედდებიან ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან დესტაბილიზაციის ესკალაციით. მე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი გახლდით და ვხედავდი, რა დიდ ძალისხმევად უჯდებოდათ კომისიის წევრებსა და უპირველესად, თავმჯდომარეს, აწ განსვენებულ აკადემიკოს მერაბ ალექსიძეს, სხვადასხვა პარტიებისა და მიმართულებების წარმომადგენელთა მიერ არჩევნების ჩასაშლელად შექმნილი ხელოვნური სიძნელეების გადალახვა.

ჩვეულებრივ ამბობენ, რომ რაც ხალხია, ის არის მისი არჩეული პარლამენტი, ან რაც ქვეყანაა, ის არის მთავრობა და ეს სწორია; ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ პარლამენტსა და მთავრობას ირჩევენ გარკვეული დროის განმავლობაში და ამ პერიოდში თავისი განვითარების მიმართულება და ტემპი აქვს ხალხს, თავისი განვითარების მიმართულება და ტემპი — პარლამენტსა და მთავრობას; თუ ეს მომენტები ერთმანეთს არ დაემთხვა, წარმოიშობა დაპირისპირება ხალხსა და მის მიერვე არჩეულ პარლამენტს შორის, ხალხსა და მთავრობას შორის. მე მეჩვენება, რომ ჩვენი საზოგადოება უფრო სწორი გზით ვითარდება და უფრო სწრაფად სწავლობს ჭკუას, ვიდრე ჩვენი პარლამენტი; ამიტომაც უპრიანი იქნება, თუ პარლამენტი ისწავლის ხალხისაგან, ესე იგი ყურს დაუგდებს მის სამართლიან მოთხოვნებს. მე მინდა ამისი იმედი მქონდეს.

თვით რატიფიკაციას, რუსეთთან კავშირს რაც შეეხება ეს არ უნდა განვიხილოთ დროისა და საერთაშორისო სიტუაციის გარეშე; როცა თბილისში არის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის, ირანის და სხვა სახელმწიფოთა საელჩოები და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია რუსეთის საელჩო, როცა ჩვენ მეგობრობის ხელშეკრულება გვაქვს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან, ასეთივე პაქტი რუსეთთან არასგზით არ შეიძლება საზიანო იყოს საქართველოს ინტერესებისათვის; პირიქით, ის შესაძლებლობას მოგვცემს 200-წლიანი იძულებითი კავშირები შედარებით ნაკლები დანაკარგებით დავძლიოთ, მათში რაც კარგი იყო, გავაძლიეროთ და შევუფარდოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან ჩვენს ინტერესებს.

ისიც სათქმელია, რომ ჩვენი საზოგადოება, მისი კულტურა და მისი მეცნიერება, მთლიანობაში აღებული, როგორც ბევრი რამისათვის არ აღმოჩნდა მზად, ასევე არ არის მზად მოწინავე ევროპულ ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობებისათვის. საბედნიეროდ, გვყავს არაერთი ჩინებული, თანამედროვე დონის მეცნიერი, მეწარმე, ბიზნესმენი, რომელთაც ჰქონდა და დღესაც აქვს ასეთი ურთიერთობა უცხოეთთან, მაგრამ ისინი მაინც გამონაკლისნი არიან. ასეთ პირობებში რუსეთთან და დსთ-ს სხვა სახელმწიფოებთან ტრადიციული, შეჩვეული კავშირების უარყოფა თუ უგულებელყოფა, რასაკვირველია, გონივრული არ იქნებოდა.

ორიოდე სიტყვა იმ სხდომის თაობაზე: პარლამენტში სულ უფრო და უფრო ხშირად ირღვევა კამათის ეთიკური ნორმები, შეიმჩნევა ასეთი „კანონზომიერება": ზოგიერთი პარლამენტარის უზრდელობის ხარისხი მისი პარტიის გაკოტრების ხარისხის პირდაპირ პროპორციულია...

პროფესორი ჯემალ სანიკიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე:

— თუ ვილაპარაკებთ ჩემს შინაგან განწყობილებაზე (გნებავთ, მას ემოციური ვუწოდოთ), დსთ-ში ყოფნის პერსპექტივა არასოდეს მიხიბლავდა, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული: რაც ამჟამად ხდება, გარდაუვალი რეალობით არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, თანამეგობრობაში შესვლას ვუჭერ მხარს. მე დღესაც მშურს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა, ახლა თავისუფლების მეტი ხარისხი რომ აქვთ. ისიც რეალობა გახლავთ (ჩვენთვის საწყენი), რომ მათ ეს მოიპოვეს (და დაიმსახურეს კიდეაც) ჩვენზე მეტი ერთიანობითა და შინაგანი მოწესრიგებულობით. სამწუხაროა, რომ დღეს, დსთ-ში შესვლა-არშესვლის საკითხზე კამათისას, თანამეგობრობაში გაერთიანების მოწინააღმდეგეებად უფრო ხშირად სწორედ ის ადამიანები გვევლინებიან, რომლებმაც თავისი პოზიციითა და ქმედებითაც, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, საქართველო ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობამდე მიიყვანეს. ისეთებიც ხომ ვიცით, ვინც გაფაციცებით ელოდებოდა სხდომის დაცემას იმიტომ, რომ ამას არსებული ხელისუფლების გადადგომისა და მაგანის მოსვლის იმედს უკავშირებდა. თითქოს პარადოქსი უნდა იყოს, რომ მათ შორის აღმოჩნდნენ ხანეთის მკვიდრნიც.

პარლამენტის დღის უკვე საკმაოდ გახმაურებულ სხდომას რაც შეეხება (თანამეგობრობაში შესვლის გადაწყვეტილების რატიფიკაციასთან დაკავშირებულს ვგულისხმობ), ვფიქრობ ის ბევრს ვერ მიანიჭებდა სიამოვნებას. როგორი მაგალითებიც უნდა მოვიშველიოთ ცივილიზებული ქვეყნების პარლამენტური ცხოვრების პრაქტიკიდან, მომხდარის გამართლებად არ გამოდგება. ეგებ ცხარე კამათის ატმოსფეროში ემოციებმა რაღაც მომენტში დაგძლიოს კიდეც, მაგრამ სხდომის დასაწყისიდან დამთავრებამდე გამომწვევი და, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული საქციელი ვერავითარი საპარლამენტო სპეციფიკის ფარგლებში ვერ თავსდება. მკითხველს არ ეგონოს, თითქოს ზემოაღნიშნული პოზიციის გამოხატვით მე და ბევრი ჩემი თანამოაზრე ახლანდელი ხელისუფლების კურსს ვაიდეალებდეთ, ასე სულაც არ არის. გვამჩნევს(?), მაგალითად, ის, რომ დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლება არასაკმარისად რეფორმატორულია. ამაში, გარდა ობიექტურისა, სუბიექტურ ფაქტორებსაც ვხედავ. დაუშვებელი ისაა, რომ ყველაფერს წინასწარაკვიატებული აზრითა თუ განწყობით მიუდგე.

პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგე:

— დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (ვსარგებლებ შემთხვევით და მხარს დავუჭერ აბრევიატურას „დასთა") შესვლა, ჩემი შეხედულებით, უნდა შეფასდეს, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში განცდილი დიდი მარცხი, რომელიც მხოლოდ ჩვენს მტრებს მოგვრის სიხარულსა თუ სიამოვნებას; მაგრამ ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ და სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ. ჰქონდა თუ არა საქართველოს ამჟამად სხვა გამოსავალი? ჩემი ღრმა რწმენით — არა, აღარ ჰქონდა! ქვეყანა უმძიმეს კრიზისშია, ხალხი იღუპება, მეტის ატანა უკვე შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში, თუ რეალური სამოქმედო პროგრამა არა გვაქვს დასახული და ხსნის გზას ვერ გვიჩვენებთ, უამისოდ პატრიოტული ლოზუნგების სროლა და ლანძღვა-გინება, რაც პარლამენტის სხდომაზე ვნახეთ ოპოზიციონერთა მხრივ, მხოლოდ უზნეობაა და მეტი არაფერი.

იმ ფაქტმა მაინც უნდა დაგვაფიქროს და გვაბიძგოს სწორი გადაწყვეტილებისაკენ, თუ ვის არ სურს ჩვენი შესვლა დასთაში; რატომ ვიქცევით ბრჟეზინსკი-ხასბულატოვ-ჟირინოვსკის გულის გასახარად?!

დროა შეწყდეს ეს უაზრო კონფრონტაცია და ახლა მაინც ვაღიაროთ, რომ ჩვენ ყველამ, წინა ხელისუფლების თუ ახლანდელის მომხრეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც, ერთმანეთთან დაპირისპირებით, ჯიბრით, შეურიგებლობით მივიყვანეთ ჩვენი ქვეყანა დაღუპვის პირამდე. ახლა მაინც შევჩერდეთ, დავფიქრდეთ, რათა ვიხსნათ ჩვენი ერი ფიზიკური განადგურების საფრთხისაგან, ეს ხსნის გზა კი ამჟამად დასთაზე გადის.

სხვათა შორის, ისევე, როგორც საპარლამენტო უმრავლესობა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც ამ აზრის გახლავთ და ოპოზიციურმა პარტიებმა სათანადო ანგარიში უნდა გაუწიონ აღნიშნულ გარემოებას, არ შეეცადონ უკმაყოფილოთა აყოლიებით და დესტაბილიზაციის პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებას. თუ არა და ჩვენი საშველი მართლაც აღარ იქნება...

ესაუბრა **თამაზ ებანოიძე.**

თვალსაზრისი: მე ასე ვხედავ

თავის დროზე გადახდის ერთადერთ საშუალებად გამოცხადებული დროებითი ეროვნული ფულის ნიშანი — კუპონი ამ არასრული ერთი წლის თავზე უაზრობად იქცა. იგი მთლიანად უარყო სახაქონლო და მომსახურების ბაზარმა, სადაც განუყოფლად ბატონობს რუსული „რუბლი" და უცხოეთის ვალუტა, უპირატესად ამერიკული დოლარი. დიახ, კუპონი თითქმის დაბადებისთანავე გარდაიცვალა.

ახლა ხშირად ლაპარაკობენ კუპონის განმტკიცებაზე ან სულაც რუსული „რუბლის" ზონაში შესვლაზეც კი. არადა, თავისთავად ეს პრობლემა მეორადია.

დაბადებისთანავე გარდაცვლილი კუპონი

კუპონის განმტკიცების პრობლემა განუყოფელია საერთოდ ეკონომიკის გაჯანსაღების პრობლემისაგან, ნაწილია უფრო დიდი და მასშტაბიანი პრობლემისა. არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შეუცვლელად მხოლოდ კუპონის განმტკიცებაზე ლაპარაკი არაპროფესიონალების ოცნებაა, მეორად საკითხზე ყურადღების გადატანის ხერხია, განგრენიან კიდურზე თითის მკურნალობის ტოლფასია.

პარალელური ფულის ერთეულის შემოღება თამაშის ყველა წესის დაცვით საბოლოოდ დაასამარებს კუპონს. „გადახდის ერთადერთი საშუალების" ფორმალური სტატუსიც თუ წავართვით, უცხო ვალუტის გვერდით კუპონი სავსებით უაზრობა გახდება. ამიტომ, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მთლიანად „რუბლის" ზონაში შესვლის ავკარგიანობაზე, რასაც ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკური ასპექტები აქვს. გავიხსენოთ ვ. ჩერნომირდინი: უმცირესი, რაც „რუბლის" ზონაში შესვლას მოჰყვება, ეს პირველ რიგში, ეკონომიკური სუვერენიტეტის გარკვეული შეზღუდვა და ეკონომიკური რეფორმის ღონისძიებათა მკაცრი კოორდინაციაა (ტელევიზიით გაკეთებული განცხადება).

ამრიგად, „რუბლის" ზონაში შესვლის ზოგადი მოთხოვნები ცნობილია: „რუბლის" ემისიას და მისი დაცვის ღონისძიებებს (მიმოქცევაზე კონტროლს) ჩვენს ქვეყანაში მთლიანად განახორციელებს „რუბლის" სამშობლო უცხო ქვეყანა — რუსეთის ფედერაცია. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი თითქმის მთლიანად დაექვემდებარება რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკს, აღსდგება ზოგიერთი ძველი და შეიქმნება რიგი ახალი ინსტიტუტი და ურთიერთობანი. ყველაფერი ეს ძველად „ერთიანი სახელმწიფოს" ეგიდით ხორციელდებოდა და იმდენად იყო მოსათმენი, რამდენადაც თვით სსრ კავშირის ერთიანი ქოლგის ქვეშ ყოფნა. დღეს კი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის პირობებში, მოსახლეობის უმრავლესობისთვის ასეთი ნაბიჯი გაუგებარი იქნება.

უცხო სახელმწიფოს ინსტიტუტების მიერ „რუბლის" ემისიის კონტროლს დღევანდელ საქართველოში, ალბათ, რუსეთის საჯარისო და მაკონტროლებელი ორგანოები წესრიგის დამყარებით დაიწყებენ. სავსებით ბუნებრივი იქნება, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში ასეთი მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა-დამყარება შემდგომ უფრო განვითარდება და სხვა სფეროებშიც მოიკიდებს ფეხს. ამას კი საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მთავრობას უნიათობაში ჩაუთვლის, რომელმაც უცხო ძალების გამოყენებით გადაწყვიტა ქვეყნის საშინაო-ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) პრობლემები. საბოლოო ანგარიშით კი ეროვნული ძალები, ალბათ, საქართველოს ხელახალი განთავისუფლებისათვის დაიწყებენ ბრძოლას. ასეთი სცენარი გასათვალისწინებელია. ეკონომიკა უპოლიტიკოდ არ არსებობს.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ, რადგან დოლარის, ფრანკისა და სხვა უცხო სავალუტო ზონებში მრავალი სახელმწიფოა ნებაყოფლობით გაერთიანებული, ამიტომ „რუბლის" ზონაში საქართველოს შესვლა (დაბრუნება?) შესაძლებელია ყოველგვარი გართულებისა და ტრაგედიის გარეშე.

მართლაც, არსებობს ამერიკული დოლარისა და ფრანგული ფრანკის (ისევე, როგორც მარკის, გირვანქა სტერლინგის, დინარის და ა. შ.), ზონები, რომლებშიც მრავალი სახელმწიფო შედის (მაგალითად, დოლარისა და ფრანკის ზონებში — თითოეულში ოცდაათზე მეტი), თუმცა, მათი უდიდესი ნაწილი შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ამასწინანდელი კოლონიაა ან დღევანდელი სატელიტი.

მაგრამ ასეთი ანალოგია ჩვენთვის ვერაფერი ნუგეშია. ეს ზონები ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური ისტორიული პროცესის პროდუქტია, ერთიან ინტერესებს და სოციალურ-ეკონომიკურ წყობას ექვემდებარება.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში კი ეროვნული ვალუტის პრობლემას უპირველესი პოლიტიკური ასპექტი აქვს, გულისკენ მიმავალი გზა ყოველთვის (უკაცრავად) კუჭზე არ გადის.

ამიტომ, ყველა შემთხვევაში, პირველ რიგში, თუ გვინდა, კუპონს ვუშველოთ, ჯერ მთლიანად ქვეყანას და მის დაქცეულ ეკონომიკას უნდა ვუმკურნალოთ.

ამას კი ძალა სჭირდება, სახელმწიფო ხელისუფლების ძალა! ჩვენი აზრით, დღის აუცილებლობაა, შემდეგი პირველი რიგის ღონისძიებათა განხორციელება:

1. დღევანდელ ექსტრემალურ სიტუაციაში საპარლამენტო ინსტიტუტი აშკარად აფერხებს სარეფორმო ღონისძიებების უსწრაფესად მიღებას და მისი განხორციელების არაორდინარული გზების დასახვას. ამიტომ, პარლამენტი დროებით, ალბათ, სულ ცოტა, ექვსი თვით მაინც უნდა დავითხოვოთ.. ქვეყნის დამოუკიდებლად და უპირობოდ მართვის პრეროგატივა უნდა გადაეცეს უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურს, ან მისი ხელმძღვანელობით — რაიმე სახის უფლებამოსილ მცირერიცხოვან დროებით სტრუქტურას (სახელმწიფო საბჭოს, ხსნის კომიტეტს და ა. შ., დაე, სახელებს მნიშვნელობა არ აქვს). რადგან ხალხმა ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი იცის, ბოლომდე უნდა შევისწავლოთ იმ პარლამენტარების საქმიანობა, რომელთა თაობაზე შესაბამის სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებს მამხილებელი ფაქტები აქვთ, რათა ღირსები პარლამენტიდან გააძევონ და დასაჯონ. კანონის უზენაესობა პარლამენტარის იმუნიტეტზე მაღლა უნდა იდგეს.

2. უნდა მოხდეს დღევანდელი სამთავრობო სტრუქტურების ძირეული (არსებითი) რეორგანიზაცია საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ამოცანების შესაბამისად. დღევანდელი აშკარად მრავალრიცხოვანი სამთავრობო სტრუქტურები შესაძლებელია განახევრდეს. სამთავრობო სტრუქტურების ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი მოდელის ერთ-ერთი ვარიანტი ითვალისწინებს დღეს არსებული 52 ერთეულის (სამთავრობო მართვის ორგანოს) ნაცვლად 31-ს, ანუ 48 პროცენტით ნაკლებს, მათ შორის სამინისტროებს 17-ის ნაცვლად 11-ს, დეპარტამენტებს — 18-ის ნაცვლად 5-ს და ა. შ. ამასთან, რაოდენობრივ შემცირებასთან ერთად, ეს სტრუქტურები ღრმა თვისებრივ გარდაქმნასაც განიცდიან, რაც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ამოცანებს გარდამავალი პერიოდის მექანიზმის გათვალისწინებით.

3. უპირობოდ და უგამონაკლისოდ უნდა აიკრძალოს უნებართვო იარაღის ტარება. ნებართვა უნდა მიეცეთ მხოლოდ საჯარისო (სამხედრო), სამართალდამცავი და ზოგიერთი მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებს (რაოდენ სიმპტომურია პარლამენტის მიერ იარაღის ტარების თაობაზე კანონპროექტის გაჭიანურებული „განხილვა").

4. ყველა არასაჯარისო შეიარაღებული ფორმირება, შინაგან საქმეთა და სადაზვერვო უწყებების გარდა, უპირობოდ უნდა შეუერთდეს ეროვნულ ჯარს და დაკანონდეს ერთი, უალტერნატივო სამხედრო უწყება — თავდაცვის სამინისტრო.

5. დაუნდობელი, სისტემური (არა კამპანიური) ბრძოლა გამოეცხადოს ყაჩაღურ დაჯგუფებებს, ორგანიზებულ მაფიას და ლობიზმს. თუ სახელმწიფოს ძალა არ ეყო მათ დასათრგუნავად, ქვეყანა ძალზე უფრო მეტად ჩაიძირება ქაოსში. უნდა გამოაშკარავდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში მათი მფარველი ძალები. არ უნდა მოვერიდოთ მავანთა ავტორიტეტს და „დამსახურებას".

6. ყველა საზოგადოებრივ სტრუქტურას (პარტიებს, კავშირებს და ა. შ.), კანონით აეკრძალოს შეიარაღება და შეიარაღებული დაცვის შენახვა, საწევრო შენატანების (ცალკეულ შემთხვევაში — შემოწირულობათა) გარდა სხვა სახსრების ფლობა, მაგალითად, კომერციული საქმიანობისაგან.

დისკუსია: როგორ ვუშველოთ საქართველოს?

ამ ღონისძიებათა მეტნაკლები კომპლექსურობით და სისტემური განხორციელების კვალობაზე უნდა განხორციელდეს შემდეგი **მეორე რიგის** ღონისძიებანი:

1. ქვეყნის ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთ და კანონიერ საშუალებად განმეორებით და მტკიცედ (არა ყოყმანით და ბოდიშით, როგორც თავიდან მოხდა) გამოცხადდეს კუპონი. ნამდვილი ეროვნული ვალუტის შემოღებისთვის ჯერ მზად არა ვართ. კუპონის დაკანონების რეალური უზრუნველყოფის გარანტიას შექმნის პირველი რიგის ღონისძიებების განხორციელებით ქვეყნად შექმნილი სტაბილური და მშვიდობიანი გარემო.

კუპონით მოხდეს შრომის ანაზღაურება და სტიმულირება ნებისმიერი დონის ყველა სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში, მათ შორის ყველა სახის ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სამართალდამცავი და მაკონტროლებელი სფეროების უწყებებსა და მათ სისტემებში. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები უნდა ვიყოთ არა სანახევროდ, არამედ მთლიანად.

2. კუპონის ემისია და მისი მიმოქცევის მექანიზმი დაექვემდებაროს მკაცრ სახელმწიფოებრივ კონტროლს (ისე კი არა, კახეთში ღვინის დამამზადებლებისათვის გასაცემი მილიარდობით კუპონი თბილისის ბირჟებსა და ვალუტის გადასაცვლელ ჯიხურებში რომ აღმოჩნდა, დამნაშავეები კი დღესაც „უცნობები" არიან). შეიქმნას კუპონის კონვერტირების მკაცრად კოორდინირებული და რეგისტრირებული ქსელი, სადაც ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს დაუბრკოლებლად შეეძლება კუპონის გადაცვლა მათთვის სასურველ უცხო ფულის ერთეულზე და პირიქით. ასეთი ქსელი უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფო სისტემისა, სადაც ეროვნული და უცხოური ფულის ნიშნების მიღებისა და გაცემის პროცესი მკაცრ აღრიცხვას დაექვემდებარება.

სახელმწიფო კრედიტების არადანიშნულებით გამოყენებისთვის რეალური (!) პასუხისმგებლობა დაეკისროს ყველა უშუალო დამნაშავეს, მიმღებსა და გამცემს, რანგის მიუხედავად. კომერციული სფეროს წარმომადგენელი იქნება ის, სახელმწიფო სისტემის, პარტიებისა თუ სხვა სტრუქტურისა.

3. სახელმწიფო ხელისუფლებამ გადაჭრით უნდა იბრუნოს პირი პროფესიონალიზმისაკენ. ქვეყნის ხსნა ყველას ვალია, მაგრამ ამ შრომასა თუ ბრძოლაში ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი.. ხელმოცარულმა ბიოლოგმა, ექიმმა, მათემატიკოსმა და ხელოვანმა დღეს ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში გადმოინაცვლა და პოპულისტურ აგიტაციას იწყებს პრივატიზაციისა თუ ეროვნული თვითშეგნების თაობაზე.

4. საბაზრო ურთიერთობანი ჩვენი ეკონომიკის უალტერნატივო პერსპექტივაა. ქვეყნის ძველებურად მართვის აღდგენის ყოველგვარი პირდაპირი ან ირიბი ცდა მხოლოდ გაართულებს საერთო ეკონომიკურ სიტუაციას და, როგორც ანაქრონიზმი, საბოლოო ანგარიშით მარცხით დამთავრდება.

მაგრამ თავისუფალ სამეწარმეო (საბაზრო) ურთიერთობებს, ამ სადღეისო, უპირატესად — სახვალიო ცხოვრების ერთადერთ წესს გონივრული და დინჯი შენება სჭირდება. აუცილებელია გარდამავალი ეკონომიკის მექანიზმის შემუშავება, სადაც სახელმწიფოებრივ რეგულირებას მართვადი როლი მიენიჭება, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

ქვეყნის ეკონომიკის მართვაში მოვიდნენ ახალი ძალები, რომლებმაც გარდამავალი ეკონომიკის რეალიების გაუთვალისწინებლად გონივრული და მტკიცე სამთავრობო ნების უქონლად, შტამპებისა და პოპულისტური სატელევიზიო ინტერვიუების გზით დაიწყეს „გარდაქმნები", საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მტკივნეული და ურთიერთშეუწონასწორებელი სქემების დანერგვა. ამით ეკონომიკა კიდევ უფრო მოიშალა. დადასტურდა ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის მართვა არც მხოლოდ სახელმძღვანელოებით შეიძლება და არც უცხოეთის იმ გამოცდილების პირდაპირი გადმოღებით, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი განვითარების პირობებში საუკუნოვანი ძიებისა და შენების ისტორიული შედეგია. მისი დღევანდელი დახვეწილი სოციალურ-ეკონომიკური მოდელი მხოლოდ დიდი აისბერგის წვერია და პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკისთვის მისი მორგების ყველა ცდა მარცხით დამთავრდება.

ან როგორ შეიძლება წარმატებით მოქმედებდეს კერძო საკუთრების პრინციპებზე აგებული საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტი ქვეყანაში (ე. ი. ჩვენთან), სადაც ეკონომიკის სამ მეოთხედზე მეტი ჯერ კიდევ საერთო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებაა. პოლიტიკური გარდაქმნა სწრაფად ხორციელდება, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი მენტალიტეტისა — წლობით ჭიანურდება. სწორედ ამისთვის იყო საჭირო გარდამავალი ეკონომიკის მექანიზმის შემუშავება.

სწრაფი პოლიტიკური ცვლილებების მსგავსად ეკონომიკის ასევე სწრაფად გარდაქმნის ცდამ დღევანდელი ქაოსი შექმნა. ეს ისტორიული გაკვეთილია, რომელიც არავის გამოადგება, თუ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში სოციალიზმი ჩვენით დამთავრდა.

„არცა შთაასხიან ღვინოი ახალი თხიერთა ძუელთა, რაითა არა განსჴდენ თხიერნი და ღვინოი დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღვინოი ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხიან" (მათე, 9,17).

5. უნდა შევისწავლოთ ქალაქად და სოფლად სახელმწიფო ქონების უკანონო პრივატიზების ყველა ფაქტი. აღვკვეთოთ ვითომ კანონიერების ფორმალურად დაცვის საბაბით უკანონოდ პრივატიზების ფაქტების დაკანონების პრაქტიკა (თუ მცდელობა), რომელმაც სახელმწიფოს არაერთი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი ჩამოაცილა (თუნდაც ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნები). რაოდენ აბსურდული და უსუსურია ზოგიერთი მაღალი ჩინის მქონეთა განცხადებანი, რომ ფარულ (ან ნაძალადევ) პრივატიზებაში მათ ბრალი არ მიუძღვით და „თუ ასეთი ფაქტები არის, ის გამოძიებას ექვემდებარება" (?). ვინ უნდა გამოიძიოს და ვისი წარდგინებით?

კუპონის მიმოქცევას მჭიდრო შეხების წერტილები აქვს პრივატიზებული ობიექტების ღირებულების გადახდასთან (თუ ის კუპონებით მოხდა), აგრეთვე საპრივატიზებო ჩეკების (ვაუჩერების), როგორც ფასიანი ქაღალდების, მიმოქცევასთან. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, მყიდველის სურვილით, შესაძლებელია დავუშვათ უცხო ვალუტის გამოყენება. მაგრამ სასურველია უცხო ვალუტის კონვერტირებით უპირატესობა მიეცეს კუპონებს, როგორც ძირითად საგადამხდელო საშუალებას.

მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელ ვითარებაში, სახელმწიფო ქონების გასხვისება კუპონებზე წმინდა წყლის ეკონომიკური ნონსენსია.

• • •

ჩვენ თეზისური ხასიათის წერილს იმით დავასრულებთ, რომ ეკონომიკისა და კუპონის მოწესრიგებას მტკიცე სამთავრობო ნება სჭირდება. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დამკვიდრებული მაფია და ყაჩაღური ბანდები უნდა ამოიძირკვოს; ხალხს შეექმნას შრომისა და არსებობის ნორმალური პირობები; ბიზნესს გზა გაეხსნას; ქვეყანაში რეალურად დაიწყოს ინდიკატური გეგმითა და კრიზისის დაძლევის პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა განხორციელება. და თუ ამაში სახელმწიფო ხელისუფლება ხალხს გვერდით არ ამოუდგება არა ხვალ, ზეგ, არამედ, დღესვე, ახლავე, მაშინ საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა საეჭვო გახდება, მისი ხვალინდელი იერსახე კი — გამოუცნობი.

სახელმწიფო ხელისუფლებამ, საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებმა, ყველამ თავის თავში უნდა გამონახოს ძალა თვითგანწმენდისათვის. პლატონი მეგობრად არ უნდა დარჩეს, თუ ჭეშმარიტებას უპირისპირდება, მით უფრო, თუ ეს ჭეშმარიტება ქართველი ერის ხსნის ამოცანაა!

ამირან გაბისონია,
საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური რეფორმებისა და ინსტიტუციური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

კონფერენცია ზუგდიდში

12 მარტს, ზუგდიდში გაიმართა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია, რომელმაც განიხილა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წესდებისა და პროგრამის პროექტები, დასახა ქალაქში შექმნილი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესების ამოცანები. კონფერენციაზე აირჩიეს აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პირველი ყრილობის დელეგატები — 25 კაცი.

მოქალაქეთა კავშირის ზუგდიდის ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ედიშერ ჩარგაზიამ, რომელმაც მოქალაქეთა კავშირს აღუთქვა, რომ არ მოაკლდება მხარდაჭერა და განაცხადა, რომ აქტიურად იმონაწილებს ამ კავშირის მუშაობაში.

თამაზ როგავა.

სარედაქციო ფოსტიდან

•

ნუ დავუშვებთ საბედისწერო შეცდომას!

ჩვენი ცხოვრების დღევანდელ უკიდურესად გართულებულ ვითარებაში, დაუდევრობითა თუ უპასუხისმგებლობით კიდევ ახალი პრობლემების შექმნა არამც თუ მომაკვდინებელი შეცდომა, არამედ ქვეყნის ღალატის ტოლფასია.

ასეთი მომაკვდინებელი პრობლემაა გოდერძის უღელტეხილზე გვირაბისა და გზატკეცილის გაყვანა. არ ჩამოვთვლით ჩვენს უხვ და საბედისწერო შეცდომებს, რომელთა შორის როკის გვირაბი ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია ერის წინაშე. თუ რა ტრაგედია მოჰყვა ამ წინდაუხედავ ნაბიჯს, ყველასათვის ცხადზე უცხადესია. ეს ტრაგედია დღესაც ძალაშია. როკის გვირაბი არაფერი იქნება იმასთან შედარებით, რაც გოდერძის გვირაბის გათხრას მოჰყვება.

გოდერძის უღელტეხილის გვირაბი და გზატკეცილი გაანადგურებს გარემოს და განაპირობებს ეკოლოგიურ კატასტროფას, უფრო სავალალო კი ის არის, რომ ამ გვირაბით გზა გაეხსნება და მის გარშემო დასახლდება გრიგორიანული აღმსარებლობის ხალხი, რომელთა შეჭრა აჭარის მაჰმადიანური მოსახლეობის სამყაროში გამოიწვევს ახალ „ყარაბაღს" და ამ დიდ ეთნოკონფლიქტში ძალაუნებურად დანარჩენ საქართველოსაც ჩაითრევს. ეს კონფლიქტი კი იმდენად მასშტაბური და ძალმოსილი იქნება, რომ მასთან აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტი შეიძლება თამაშად გამოჩნდეს.

ამის შესახებ გაზეთითა და დაწვრილებით შეიძლებოდა მსჯელობა, მაგრამ ნუთუ ეს საჭიროა, ნუთუ იმდენად ბეცები და უპასუხისმგებლონი ვართ, რომ ვერ ვითვალისწინებთ მოსალოდნელ შედეგებს? მწერალი ფრიდონ ხალვაში „საქართველოს რესპუბლიკის" 1993 წლის 16 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ ინტერვიუში ქადაგებს, გრიგორიანებს იმდენად დიდი და ძლიერი დიასპორა აქვთ, რომ მთელ ხარჯებს ისინი გაიღებენო. ეს მართლაც უპასუხისმგებლობა, ან სრული სიბეცეა! აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხალვაში, წინწკლებში ჩასმით „შორსმჭვრეტელ" პოლიტიკოსებს უწოდებს იმათ, ვინც არ არის აღტაცებული ამ მომაკვდინებელი იდეით. თუ ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე, რესპუბლიკის ან ავტონომიური რესპუბლიკის მესვეურთა თანადგომით წყდება, კიდევ უფრო დასაფიქრებელია, მაგრამ თუ ეს მხოლოდ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, გულსატკენია, რომ მწერალთა შორისაც აღმოჩნდა კაცი, ვისი ფიქრის საგანიც არ არის ეროვნული სატკივარი. ნუთუ მან არ იცის, რომ გრიგორიანული აღმსარებლობის კაცი შენთვის არ გაიხარჯება და თუ კაპიკი გაიღო, მილიონებს მოიგებს შენი ბუნების გაჩანაგებითა და შენთან ეთნოკრიზისის გამოწვევით. სამხრეთ საქართველოში ჩვენს წინააღმდეგ გრიგორიანელთა მოქმედების დიდი ისტორიული გამოცდილება გვაქვს და თუ საჭირო გახდება, უამრავი ფაქტის გამომზეურება შეგვიძლია. თუმცა, ალბათ, ეს ყოველივე გასახსენებელი და სამსჯელო არ უნდა იყოს ჩვენი ისტორიის ზერელე მცოდნეთათვისაც კი.

კვლავაც აღვნიშნავთ, რომ გოდერძის უღელტეხილისა და გზატკეცილის გაყვანა თავისი ტრაგიკული შედეგებით ბევრად აღემატება როკის გვირაბის გამოუსწორებელ შეცდომას და მთელი ერი ისევე აღსდგება, როგორც აღსდგა ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანის პრობლემის დროს.

გვეყო ინტერნაციონალისტობით თამაში!

მწერალი
რევაზ ჯაფარიძე,
პროფესორები:
რევაზ ბარამიძე,
ზურაბ კიკნაძე,
ლევან სანიკიძე,
ზურაბ ცქიტიშვილი,
გივი ჯამბურია,
დურმიშხან ცინცაძე.

განუკითხაობა

ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილია იმ მცდარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამბავი, რომელსაც პრეზიდენტყოფილის ავადმოსაგონარი მმართველობის წლებში დაედო სათავე და კვლავაც აგრძელებს ძლევამოსილ სვლას. ქვეყნის ეკონომიკის ამ დამანგრეველ მოვლენას უკანასკნელად გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს რესპუბლიკის პროკურატურამ, კონტროლის პალატამ, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებმა. მათ არაერთ შემაშფოთებელ ფაქტს მოჰფინეს ნათელი. ჩვენ მას დღეს მკითხველს ვთავაზობთ და მომავალშიც შევთავაზებთ საერთო განსჯისათვის. დაე, ყველამ იცოდეს ვინ ურევს ხელს ბინძურ, მავნებელ საქმეებში, ვინ ლამობს აქციოს ქვეყანა პარტახად.

ღატაკი ქვეყანა და გაძარცვული ბანკები

დამნაშავეთა სამეული ერთბაშად ჩამოყალიბდა. მასში შევიდნენ ქ. გორის კოოპერატივ „დიდების" თავმჯდომარე დ. ქინქლაძე, თბილისის ფირმა „ბაგები-92"-ის მთავარი ბუღალტერი ე. სულაშვილი, გორელი გაურკვეველი საქმიანობის ზ. ლევიაშვილი. 1992 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მათ ყალბი საკრედიტო ავიზოების, საგადასახადო დავალებებისა და ვადაგადასული ლიმიტირებული ჩეკების გამოყენებით ბინსოცბანკის გარდაბნის განყოფილებაში მცირე საწარმო „რკინა-ბეტონის" ანგარიშზე უკანონოდ ჩარიცხეს 101 მილიონი მანეთი. თუმცა მისი გატაცება ვერ მოახერხეს, დანაშაული გამოვლინდა, თანხას ყადაღა დაედო.

სამეულის ფანტაზია უფრო შორს წავიდა, კომერციული ბანკის შექმნა გადაწყვიტეს და ქვეყნის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დ. დვალიშვილის და ქართველ მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის მოადგილის გ. არველაძის მხარდაჭერა ჰპოვეს. თუმცა „არგობანკს" (ასე მონათლეს ეს კომერციული ბანკი) საწესდებო ფონდით განსაზღვრული თანხა და საჭირო შენობის ფართობი არ გააჩნდა. პირველმა უყოყმანოდ გაატარა იგი რეგისტრაციაში, ხოლო არველაძის წერილის საფუძველზე ნახევარი წლის ვადით მილიარდი მანეთის კრედიტი გამოუყო, თითქოს, როგორც მაშველთა კორპუსის სტრუქტურაში შემავალს, ცხადია, შემდგომში ყველაფერი იმ სცენარით წარიმართა, როგორც ჩაფიქრებული იყო: „არგობანკმა" თანხები სხვადასხვა ფირმებსა და კოოპერატივებს ჩაურიცხა. სანაცვლოდ ამერიკული დოლარი მიიღეს და გაინაწილეს. ქინქლაძე და სულაშვილი ჩადენილი დანაშაულისათვის დაპატიმრებული არიან, ლევიაშვილმა მოსკოვს მიაშურა და იძებნება.

თბილისის კორპორაცია „თრიალეთის" გენერალური დირექტორი ირაკლი შავლიაშვილი დროჟამის შესაფერისად ქვეყანაზე მზრუნველი კაცის მანტიით შემოსა და 1992 წელს რესპუბლიკის მთავრობას გულამაჩუყებული წერილით მიმართა: ორი მილიარდი მანეთი მომეცით სესხად მას შემდეგ, როცა ბათუმის ნავსადგურს შაქრით დატვირთულ გემს მოვაყენებო. წერილზე გაჩნდა მაშინდელი ვიცე-პრემიერის ბ. კოღუაშვილის რეზოლუცია, რითაც სათანადო პირებს ავალებს სესხის მიღებაზე საგარანტიო წერილის გაცემას. მკვეხარა და ფარისევლური წერილით შავლიაშვილმა მთავრობის მეთაურის რეზოლუციასაც კი მიაღწია, რომლითაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს დემურ დვალიშვილს ავალებს დააჩქაროს სათანადო დოკუმენტის გაფორმება, რათა ოპერაციაც დაჩქარდეს. დემურ დვალიშვილი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მორჩილი შემსრულებელი აღმოჩნდა. იჩქარა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ნ. ფიფიამაც, რომელმაც არ გაითვალისწინა, რომ კრედიტი ბათუმის პორტში შაქრის შემოტანის შემდეგ უნდა გაეცა; „ინდუსტრია-ბანკის" გამგეობის თავმჯდომარეს ზ. გენძეხაძეს დაავალა გაეცა „თრიალეთისათვის" ორი მილიარდი მანეთის სესხი. შავლიაშვილიც ჩასაფრებული იყო და 1 მილიარდ 980 მილიონი მანეთი იმავე დღეს მოსკოვში გადარიცხა, სადაც კონვენტირებულ იქნა და 4 541 863 ამერიკული დოლარი ვარშავის „ამერბანკის" პოლონეთის განყოფილებაში აღმოჩნდა. დღემდე უცნობია, რა ბედი ეწია ამ თანხას, არსებობს თუ არა რეალური პირობები მისი სახელმწიფოსათვის დასაბრუნებლად.

შავლიაშვილი არ ისვენებდა და ობობასავით ახალი თაღლითური მანიპულაციების ფართო ქსელებს ხლართავდა. ხელშეკრულებები გააფორმა თბილისის ფირმებთან: „გური", „მედასი", „ლაშა", „ბანი და კომპანია", რითაც ამ ფირმებმა „თრიალეთს" 2 მილიარდ 618 მილიონი მანეთი ჩაურიცხეს. ცხადია, ფირმებს ეს თანხები მიღებული ჰქონდათ სახელმწიფო კრედიტების სახით. ყველა შემთხვევაში კრედიტები გაცემულია რესპუბლიკაში კვების პროდუქტების შემოტანის მიზნით, ერთმა ეკონომისტმა სწორედ ამიტომ მწარედ თქვა: საქართველოს ბანკებს სურსათ-სანოვაგის შემოსატანად რაც სესხები აქვთ გაცემული, იმ თანხებით მართლაც რომ შემოეტანათ სარჩო რამდენიმე წლის მანძილზე გვეყოფოდაო. საქმეში ჩახედულნი იმასაც ამბობენ, ეს საქმე კერძო პირებისთვის არ უნდა გადაელოცნათ, მასზე მონოპოლიას სახელმწიფო უნდა ფლობდესო. ბევრი იმასაც ამბობს, სახელმწიფო ბანკები ფირმებსა და კოოპერატივებზე კრედიტებს არ უნდა გამოყოფდნენ, ეს კომერციულ ბანკებს უნდა დაეკისროსო. მართლაც საყურადღებო წინადადებებია. ისიც აღსანიშნავია, რომ ბანკირები ამით კარგად ითბობენ ხელს და გამდიდრდნენ.

მკითხველი, ალბათ, დაინტერესდება რა ბედი ეწია ი. შავლიაშვილს. ირაკლი შავლიაშვილი და მასთან დაკავშირებული პირები: ფირმების „მედასის", „პეტრას" პრეზიდენტები ზაალ გოდაძე და აკაკი ბერძენიშვილი, ჩაიგდეს თუ არა ხელში მილიარდები, რესპუბლიკას გაეცალნენ და მიიმალნენ. უშიშროების სამინისტროს ეთხოვა დახმარება მათი ადგილსამყოფელის დასადგენად.

საქართველოს ეროვნული ბანკიდან თანხები წლების მანძილზე გაცვეთილი, პრიმიტიული ხერხებით გაედინებოდა — ვითომდა კვების პროდუქტების შესაძენად. რაკი არავითარი კონტროლი არ იყო დაწესებული მის დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე, მაქინატორებს გზა გაეხსნათ და ადვილად აქცევდნენ კრედიტს ვალუტად. ამრიგად, მდიდრდებიან ერთეულები, ღატაკდებიან ათასები და ათიათასები. ფირმა „იკას" პრეზიდენტი ი. იაშვილიც იოლად გამდიდრებულთა შორის არის. ეროვნულმა ბანკმა მის სახელზე 500 მილიონი კუპონი გამოყო. თავის მხრივ ეს თანხა ფირმა „002/1-ს" ჩაურიცხა, საიდანაც უნდა მიეღო სურსათი და სამრეწველო საქონელი. ფაქტიურად მიიღო ის, რისთვისაც გაისარჯა — ამერიკული დოლარი.

სავალუტო ბუმში „საქეთერზეთმშენპროექტის" სამმართველოს უფროსი ა. ადეიშვილიც ჩაერთო. მან რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ყოფილ თავმჯდომარეთ. სიგუას და ყოფილ ვიცე-პრემიერს რ. გოცირიძეს მიმართა თხოვნით — გამოეყოთ 1 მილიარდ 200 მილიონი მანეთი სესხი. მას მიმართვაში აღარ ჩაუწერია გაბანალებული ტერმინი „კვების პროდუქტების შემოსატანად", უფრო „ორიგინალურ" ხერხს მიმართა, საწვავის შემოტანის იდეით დაინტერესა, ამავე დროს შეპირდა, ფირმა „იმედის" მიერ მოტყუებულ და დაზარალებულ მოქალაქეებს დავეხმარებიო". ამით ანკესზე წამოაგო უბირნი. რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა უყოყმანოდ აღასრულა რ. გოცირიძის რეზოლუცია და სახელმწიფო კომერციულ „აგრომრეწვბანკს" ნება დართო აღნიშნული სამმართველოსათვის მიეცა სესხად მოთხოვნილი თანხა. ადეიშვილი კვლავაც შეინიღბა. 88 მილიონი მანეთი მართლაც გადაუხადა დაზარალებულ მოქალაქეებს, დანარჩენი თანხა პირადი მიზნებისათვის განკარგა, რასაც გამოძიება დაადგინა.

სწორედ ეროვნული ბანკის წაჩალისებით მოხდა თაღლითობის განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ფაქტები. მისი შემოქმედი ფირმა „საბურთალო-93"-ის პრეზიდენტი გ. ლომიძე გახლავთ, რომელსაც ამით გინესის წიგნშიც შეუძლია დაიმკვიდროს ადგილი.

ახლა უფრო კონკრეტულად: გ. ლომიძემ დაწერა მინდობილობა და ეროვნული ბანკის საანგარიშსწორებო ცენტრიდან ხელზე წაიღო 10 მილიონი კუპონის გადარიცხვის საბუთები ბორჯომის „ბინსოცბანკის" განყოფილებაში, რომელშიც მას ანგარიში ჰქონდა გახსნილი. 10 მილიონ კუპონს წინ დაუსვა ციფრი 8 და გამოვიდა კოლოსალური თანხა — 810 მილიონი კუპონი. ბორჯომელმა დოყლაპიებმა „ვერ შეამჩნიეს" ეს ჩამატება (ასეთ დოკუმენტებში სიტყვიერადაც ხომ იწერება ფულადი თანხა) და თანხა უკლებლივ უბოძეს. თაღლითმა წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე 800 მილიონი კავკასიის ბირჟის საბროკერო ფირმა „ფორვარდის" ანგარიშზე გადარიცხა. მიზანი ამჯერადაც მეტად „კეთილი" იყო: დამშეული ხალხისათვის სურსათ-სანოვაგის შემოტანა, თუმცა ეს აზრადაც არ მოსვლია ე. წ. პრეზიდენტს. შურითა და სიხარბით აღვსილმა გ. ლომიძემ 11 300 დოლარი ჩაიჯიბა. თავის მხრივ ფირმა „ფორვარდმა" მორიგი თაღლითური კორიანტელი დააყენა, კავკასიის ბირჟის სამ საბროკერო ფირმასთან განახორციელა 800 მილიონი მანეთის მორიგი უსაქონლო ოპერაცია, რითაც სახელმწიფოს დიდი ზიანი მიაყენა.

თუმცა, ამით არ დასრულებულა გ. ლომიძის თაღლითური „ოდისეა", ეროვნული ბანკიდან ამჯერად 19 მილიონი კუპონის სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადარიცხვის საბუთები დაიხელთა. ამ ციფრს წინ ნაცადი მეთოდით 7 მიაწერა. ბორჯომის „აგრობანკში" კვლავაც აღმოჩნდნენ „გულუბრყვილონი" და ახლა 719 მილიონი კუპონი უბოძეს, ლომიძის მოთხოვნით ფირმა „სამების" ანგარიშზე 700 მილიონი კუპონი ჩაირიცხა, რა თქმა უნდა, ვითომ პროდუქტების შესაძენად. მერე ამ ფირმასა და ფირმა „საბურთალო-93"-ს შორის გარიგებული უსაფუძვლო ოპერაციის შედეგად 10 ათასი დოლარი ჩაიჯიბა, 19 მილიონი კუპონი კი დანიშნულებისამებრ გაანაწილა სამ ფირმაზე. ამრიგად, ლომიძემ ადვილად ჩაიგდო ხელში 1,5 მილიარდი კუპონი.

ერთი შენიშვნა: მოკვლევით დადგინდა, რომ პასპორტის ბლანკი, რომლითაც გ. ლომიძე მოქმედებდა, სხვებთან ერთად 1993 წლის დასაწყისში გატაცებულია თბილისის ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორტო მაგიდიდან, რაზეც ცალკეა აღძრული სისხლის სამართლის საქმე. ზემოთ აღნიშნული ფირმები კი თავიანთ საფინანსო საქმიანობას ეწეოდნენ საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის გარეშე. მათ მოქმედებას არავინ აკონტროლებდა, სწორედ ამით მოიპოვეს მათ ფართო სარბიელი.

ახლა ფირმა „ანდრიასა" და მისი პრეზიდენტის ვ. კვეთელიძის „საქმენი საგმირონი" ვნახოთ. ეს ფირმა თბილისის ვაკის რაიონში მდებარეობს. მისმა მესვეურმა ადვილად გაჩარხა საქმე და თბილისის „სამეფო ბანკიდან" 1,5 მილიარდი მანეთი აიღო სესხად. თურმე მასაც „კეთილი მიზნები" ამოქმედებდა — დამშეული მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების შემოტანა. კვეთელიძემ ეს თანხები ასე გაანაწილა: მესამედი სხვადასხვა ფირმებზე გადარიცხა, რათა შემდეგ მიეთვისებინა. ფაქტობრივად, მანაც, პროდუქტის ნაცვლად, 37 500 დოლარი ჩაიჯიბა. დარჩენილი ერთი მილიარდი ფირმა „მერიკას" გადაურიცხა „კომერციული მიზნებისათვის". ფაქტობრივად საკუთარი ქვენაგრძნობა დაიკმაყოფილა, რასაც იოლად შეეწირა ქვეყნისა და ხალხის ინტერესები.

ეროვნული ბანკის ანტიეროვნულ პოლიტიკაზე დაუსრულებლივ შეიძლება საუბარი. გამონაკლისი არც სხვა ბანკებია. მათ შორის რაიონულებიც. შულავერის მატყლის ფაბრიკამ მარნეულის „აგრობანკიდან" 2 მილიარდ 750 მილიონი კუპონი მიიღო სესხად. მთელი ეს თანხა (ვითომ მატყლის დასამზადებლად) თბილისის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კრისტალ-ლკგ"-ს გადაურიცხა, რომელმაც თავის მხრივ ფირმა „კაპიტალ-პლუსის" ანგარიშზე ჩარიცხა „კვების პროდუქტების შესაძენად". კაპიტალ-პლუსის" გენერალურმა დირექტორმა ა. ლისენკომ იგი დაამატა სხვა თანხებს და 1,5 მილიარდზე მეტი კუპონი კავკასიის ბირჟის 7 საბროკერო ფირმას გადაურიცხა ისევ „სურსათის შესაძენად". ფაქტობრივად მიიღო 27 432 ამერიკული დოლარი და მიითვისა. აქედან 11 ათასამდე დოლარი უსაქონლო ოპერაციის შედეგად ძმები ტატიშვილების ფირმამ „მუხრანის ველმა" გადასცა „დამზადებული ხორცის" საფასურად", ფაქტობრივად, კილოგრამი ხორციც არავის დაუმზადებია.

სხვა დანაშაულებთან ერთად, ტატიშვილებისთვის ამგვარი უსაქონლო ოპერაციები ერთეული როდია. ფირმა „უტას" პრეზიდენტმა გ. გალიდავამ და ბუღალტერმა კ. ჩაჩუამ ამ დამნაშავე ჯგუფთან კავშირი კავკასიის ბირჟის ბროკერის გ. გოგსაძის მეშვეობით დაამყარეს. ბანკიდან სესხად აღებული 500 მილიონი კუპონიდან 380 მილიონი ჩაურიცხეს ვითომ ხორცის შესასყიდლად, რის ნაცვლად, 7 500 ამერიკულ დოლარს დაეუფლნენ. ამჟამად ტატიშვილების პარპაში დამთავრდა, ისინი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან. ასეთივე ბედი გაიზიარეს მათთან კავშირში მყოფმა სხვა დამნაშავე პირებმაც.

ფულის შოვნის თაღლითურ ოპერაციებში ჩინებულად გაიწაფა თელავის საქველმოქმედო კორპორაცია „კგ"-ის პრეზიდენტი გ. დოლიძე. მან ყალბი საგადასახადო დავალებებისა და სალიმიტო ჩეკების გამოყენებით „აგრომრეწვბანკის" თელავის, სიღნაღისა და ლაგოდეხის განყოფილებებში მოახერხა 2 მილიარდზე მეტი მანეთის ჩარიცხვა, რომელიც შემდეგ სხვადასხვა ფირმებსა და კორპორაციებს გადაურიცხა ვითომ ღვინო-მასალების შესაძენად, მაგრამ კოკა წყალზე გატყდა, დანაშაულზე წაასწრეს და საწადელი ვერ აღისრულა, დოლარებს ვერ დაეუფლა. ოზურგეთის კოოპერატივ „უნივერსალის" თავმჯდომარემ ვ. ბილიხოძემ ყალბი სალიმიტო ჩეკების გამოყენებით მოკლე დროში ბანკიდან 450 მილიონი მანეთი დაიტაცა,

დიდი ოდენობით კრედიტების არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ საგამოძიებო ორგანოებში მასალები შემოვიდა აგრეთვე ფირმების „ქვათახევის", „გიგის", „აჩიკო და კამპანიისა" და სხვათა შესახებ. მოწმდება სხვა კომერციული სტრუქტურებიც.

ამ ფაქტების გაცნობის შემდეგ მკითხველი აშკარად დარწმუნდება, თუ რატომ ჩავარდა ჩვენი ქვეყანა ესოდენ განსაცდელში, რატომ დაცარიელდა ხაზინა. ისმება კითხვები: რით სარგებლობდნენ ეროვნული ბანკი და სხვა ბანკები კრედიტების გაცემის დროს, ევალებოდათ თუ არა გაცემული კრედიტების მიზნობრივი ხარჯვის კონტროლი და არის თუ არა რესპუბლიკაში მექანიზმი ასეთი კონტროლის უზრუნველსაყოფად? დაბოლოს, რა როლი ენიჭებოდა და ენიჭება ამ საქმეში რესპუბლიკის მთავრობასა და ფინანსთა სამინისტროს, ეს კითხვები ერთნაირად აღელვებთ ქვეყნის სვებედით დაინტერესებულ ადამიანებს. შავლიაშვილები, ტატიშვილები, ლომიძეები, ქინქლაძეები, ადეიშვილები, მათი მსგავსი ხარბები და მათ ზურგს უკან მდგომი ადამიანები აქცევენ ქვეყანას.

დავით ბიწაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომლობა მყარდება

ადატვირთული და ნაყოფიერი იყო ჩვენი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში, განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა გიორგი კვესიტაძემ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პატივისცემამ და პოპულარობამ დელეგაციის ყველა წევრზე იმოქმედა. გულთბილი იყო შეხვედრები სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელებთან და ბიზნესმენებთან. თუმცა იცოდნენ, თუ რაოდენ არასტაბილურია ვითარება საქართველოში, ისინი მაინც გაგებით მოეკიდნენ წინადადებებს საქმიანი კონტაქტების, ინვესტიციების შესახებ.

კონტაქტები

მინისტრი განსაკუთრებით შეეხო საუბარს ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ბატონ მაიკლ ესპისთან. მან განაცხადა, რომ მზად არიან ითანამშრომლონ ჩვენთან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვადასხვა დარგებში, მეცნიერების სფეროში, ერთობლივ საწარმოთა შექმნაში. ჩვენ გვაქვს პოტენციალი, რომელიც აინტერესებს ამერიკელებს, თქვა გ. კვესიტაძემ. ეს, მაგალითად, არის იმერული ყველისა და სულგუნის წარმოების ტექნოლოგია. საქართველოში არის ბუნებრივი მთის ფუტკარი, კარგად არის ცნობილი ჩვენი უნიკალური ჯიშების ყურძენი. კალიფორნიაში, კერძოდ, ფართოდ არის გავრცელებული რქაწითელის ჯიში, რომელიც საქართველოდან არის შეტანილი. იგი უხვ მოსავალს იძლევა. შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენი არაყი „ტარხუნაც“.

მაიკლ ესპი, თქვა დასასრულ გიორგი კვესიტაძემ, უახლოეს ხანში აპირებს ეწვიოს საქართველოს და ადგილზე გაეცნოს ჩვენს მიერ შეთავაზებულ თანამშრომლობის პროგრამას.

პარტიებსა და მოძრაობებში

გადამწყვეტ ნაბიჯებზეა დამოკიდებული საქართველოს გადარჩენა და აფხაზეთის დაბრუნება

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობამ მიიღო მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძისადმი. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

— გვჯერა რა პირადად თქვენი, ბატონო ედუარდ, მოქალაქეთა კავშირის საქართველოს ორგანიზაციისა, რომელმაც ამ უმძიმეს პასუხისმგებლობა იკისრა ქვეყნის ბედისთვის, რომლისგანაც განუყოფელია ჩვენი აწმყო და მომავალი, ჩვენი კავშირის ველი ყრილობის წინ გვინდა გაგიზიაროთ მოსაზრებანი აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად შექმნილ ურთულეს პრობლემებსა და მათი მოწესრიგების გზებზე...

ვწერთ ამ მიმართვას წუხილით, სამშობლოს, ჩვენი ხალხის, ჩვენი ოჯახების, შვილებისა და შვილიშვილებისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობითა და მათდამი თქვენი ყურადღების დიდი იმედით...

ველით პირადად თქვენი და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ოპერატიულ რეაგირებასა და გადამწყვეტ ქმედებას. ამასვე ელოდება ათობით და ასობით ათასი გაწამებული, მაგრამ სულით გაუტეხავი ადამიანი აფხაზეთიდან, სამშობლოს მომავლით დაინტერესებული და მასზე ზრუნვით შთაგონებული მთელი მშრომელი ხალხი.

თქვენი და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის, სხვა პროგრესული პოლიტიკური ძალების გადამწყვეტ ნაბიჯებზეა დამოკიდებული საქართველოს გადარჩენა, აფხაზეთის დაბრუნება და გვჯერა, რომ ეს უპირველესი და უკეთილშობილესი ამოცანები აუცილებლად განხორციელდება.

გარწმუნებთ, ბატონო ედუარდ, რომ კავშირის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია, მთელი ჩვენი ძალები ამ ამოცანების მიღწევას და მათ შესრულებას ხმარდება და კვლავაც მოხმარდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ

საქართველო

GEORGIA

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაარსების 100 წლისთავის გამო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1993 წლის 25 ოქტომბერს მიიღო რეზოლუცია „სპორტისა და ოლიმპიური იდეალის საერთაშორისო წლისა“ და „ოლიმპიური ზავის წესის“ შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, 1994 წელი საქართველოს რესპუბლიკაში გამოცხადდა სპორტისა და ოლიმპიური იდეალების საერთაშორისო წლად.

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტსა და სპორტის დეპარტამენტს დაევალათ საქართველოში ოლიმპიურ წელიწადთან დაკავშირებით შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი „ოლიმპიური ზავის წესის“ შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1993 წლის 25 ოქტომბრის რეზოლუციის განსახორციელებლად.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან შეთანხმებით, დანიშნავს სპეციალურ თანამშრომელს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ურთიერთობათა დარგში;

1994 წლის ივნისში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური წელიწადისადმი მიძღვნილი ეროვნული სპორტული თამაშები.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი, განათლების სამინისტრო და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ერთობლივად შეიმუშავებენ სპეციალურ პროგრამას საქართველოს რესპუბლიკაში 23 ივნისის, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური წელიწადისადმი მიძღვნილი ახალგაზრდულ-სპორტული დღესასწაულის, თარიღის აღსანიშნავად. გამოიცემა საქართველოს რესპუბლიკაში ოლიმპიური წელიწადისადმი მიძღვნილი სპეციალური საფოსტო მარკები და სამახსოვრო მონეტები, შეიქმნება სამთავრობო საკოორდინაციო კომიტეტი საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი განვითარების მიზნით.

სათქმელი უნდა ითქვას

მხოლოდ ერის ერთიანობის ინტერესებისათვის

ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში, ჩვენი პრესის ფურცლებზე სისტემატურად ჩნდება მასალები, რომლებშიც დიდი გულისტკივილით აღწერილია სამეგრელოს რაიონებში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიები, როგორი სისასტიკით არბევდნენ ცალკეულ ოჯახებს იქ ჩასული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების, ზოგჯერ კი ოფიციალური სამხედრო შენაერთების შემადგენლობაში შემთხვევით, ანგარებით მოხვედრილი ყაჩაღები...

ამასთან, ზოგიერთ პუბლიკაციაში „სამეგრელოს რეგიონს“ — საქართველოს ძირძველ, უმშვენიერეს კუთხეს, ირონიული ქირქილით მრავალ საძრახის საქმეს მიაწერენ. რაც მთავარია, ადანაშაულებენ აფხაზეთის დაკარგვაში, ერის გახლეჩაში.

სამეგრელოს გამკილავთა სიბრმავე რომ არა, მათ ადვილად შეეძლოთ დაენახათ, რომ აფხაზეთში ჩვენი დამარცხებისა და ერის გახლეჩის მიზეზები სამეგრელოში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ პოლიტიკური კატაკლიზმების იმ მორევში, რომელმაც წალეკა საქართველო, პოლიტიკურ ჯგუფთა მცდელობაში, საკუთარი ხელისუფლების რეანიმაცია რომ მოინდომეს მაინცდამაინც საქართველოს ამ კუთხეში.

ზოგიერთი ბრალს სდებს ამ რეგიონის მოსახლეობას სეპარატისტული ტენდენციების მომძლავრებაში, კვლავ იხსენებენ „აშორდიასა“ და „მაფალუს“ დიდი ხნის წინათ დაგმობილ და დავიწყებულ ისტორიას. მიზანი მარტივია: „დასაბუთება“ იმისა, ვითომც სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის სეპარატისტული მისწრაფება ახალი მოვლენა არ არის.

მრავალთაგან — ერთი ფაქტი. ამ დღეებში ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „სამეგრელოში მზადდება რეგიონული მასშტაბის გადატრიალება“, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის თანაშემწის, მოძრაობა „ახალი თაობის“ გამგეობის წევრის ბაჩუკ ქარდავას მიერ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დახურულ სხდომაზე და ამავე პარტიის სამეგრელოს ბიუროს კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვების ძირითადი მომენტები. წერილის ავტორი ამტკიცებს, ვითომც, სამეგრელოში გადატრიალებისთვის მზადების შტაბი მინისტრთა კაბინეტში არის და, მის შემადგენლობაში შედიან ამ კაბინეტის წევრები პრემიერ-მინისტრის მეთაურობით.

ავტორი წერს აგრეთვე, რომ მას აქვს ზუსტი მონაცემები, იმის შესახებ, რომ ზუგდიდელი (ე. ი. მისი რაიონის) ავანტიურისტების ზურგს უკან დგანან თბილისელი მსხვილი პოლიტიკური ფიგურები.

გამოდის, რომ კერძო დეტექტივი უფრო „ძლიერი“ აღმოჩნდა, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს პროფესიონალი თანამშრომლები, რომლებმაც, თურმე, „ვერ გახსნეს“ სამეგრელოში რეგიონული გადატრიალებისთვის მზადების ფაქტი და ამ გადატრიალების ხელმძღვანელი შტაბის მუშაობის „მზაკვრული გეგმები“.

მაგრამ, ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, „დეტექტივს“ მხედველობიდან გამორჩა ერთი დეტალი, კერძოდ, დაუდგენელი დარჩა, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო მზადება და განხორციელებულიყო ეს გადატრიალება. მით უმეტეს, მან თავისი დასკვნები გადატრიალებისთვის მზადების შესახებ საკმაო ხნის წინათ მოახსენა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობას და ამ პარტიის სამეგრელოს რეგიონის ბიუროს კონფერენციას.

აქვე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ორივე ამ თავყრილობაზე არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც პასუხს გასცემდა ამ ცილისწამებას. ხაზგასმით მინდა ვთქვა ისიც, რომ ამ პარტიის ლიდერს გიორგი ჭანტურიას მე უაღრესად პატივს ვცემ, მაგრამ საკითხავია, როგორ მიიღებს სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობა მათი მისამართით გამოთქმულ ბრალდებას?

და კიდევ: ბატონ ოთარ ფაცაციას წინააღმდეგ ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული რამდენიმე წერილი ამ კონტექსტით ხომ არ უნდა განვიხილოთ?

სამეგრელოს მიმართ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების მცდელობა ახალი მოვლენა არ არის.

ცნობილია, 50-იან წლებში „მეგრული ნაციონალიზმის“ სახელით შეთითხნილი „საქმე“, როცა ბევრი ღირსეული პიროვნება არაადამიანურად აწამეს, გადაასახლეს.

„მეგრული ნაციონალიზმის“ შესახებ მაშინ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დოკუმენტის მთავარი „ბრალდება“ ის იყო, ვითომც, სამეგრელო მოითხოვდა საქართველოსგან ჩამოშორებას და თურქეთთან შეერთებას. ამ ბინძურ ცილისწამებას განიხილავდნენ კრებებზე უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, გამოჰქონდათ დადგენილებები, გმობდნენ „მეგრულ ნაციონალიზმს“ და მოითხოვდნენ გახურებული შანთით მის ამოწვას.

იმ პერიოდშივე „მეგრული ნაციონალიზმის“ სათანადო დასაბუთების მიზნით, წარმოიშვა ვერსია მეგრელების არაქართველური წარმოშობის შესახებ. პატივი ამ ვერსიის „დასაბუთებისა“ წილად ხვდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მაშინდელ დირექტორს, სპეციალობით ფილოლოგს, რომელმაც წარმატებით „შეასრულა“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის ა. მგელაძის დავალება.

„მეგრული ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის ანარეკლი იყო ისიც, რომ 50-60-იან წლებში მეგრული წარმოშობის ბევრი ცნობილი მოღვაწე ჩამოაცილეს საზოგადოებრივ მოღვაწეობას, არ გააჭაჭანეს სახელმწიფოს მმართველობაში.

კარგა ხნის მანძილზე იმათ, ვისაც არ ეზარებოდა, როგორც მოესურვებოდა, შეეძლო დაემცირებინა მეგრული წარმოშობის ცალკეული მოღვაწეები. სამწუხაროა, რომ ამის რეციდივები დღესაც არის.

ამ და მსგავს ფაქტებს, მათ ნეგატიურ გავლენას სამეგრელოს რეგიონში მცხოვრებთა ფსიქიკაზე, პოზიციაზე, სერიოზული ანალიზი სჭირდება. იქნებ, ასეთმა ანალიზმა პასუხი გასცეს დღეს ბოლომდე პასუხგაუცემელ ბევრ კითხვას, მათ შორის, — სულ ახლახან, სამეგრელოს მოვლენების სახელით ცნობილ ისტორიულ მონაკვეთში, როცა საქართველოს ბედი წყდებოდა, მეგრული მოსახლეობის ერთი ნაწილის პასიურობა ხომ არ იყო ადეკვატური რეაქცია ანტიმეგრული კამპანიისა? იქნებ სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ზვიადიზმის ბაცილის სამეგრელოში გავრცელების მიზეზიც?

რაკი სამეგრელოში ამ ბოლო თვეებში დატრიალებული ტრაგედიის ფაქტები საყოველთაოდ არის ცნობილი და თვით სახელმწიფოს მეთაურმა საგანგებო მიმართვაც კი გაუგზავნა მოსახლეობას, არ უნდა გვეშინოდეს კიდევ ერთხელ ვთქვათ, სიმართლე პარლამენტის, სახელმწიფოს დონეზე, ყველას გასაგონად.

რესპუბლიკის პარლამენტმა, რომლის რიგებში ბევრია ღირსეული პიროვნება, ამ საკითხისადმი წაყრუება არ უკადრება.

ვფიქრობ, კარგი იქნება, პარლამენტმა მიიღოს სამეგრელოს მოსახლეობისადმი თანაგრძნობის დოკუმენტი, სადაც, დაგმობილი იქნება ტრაგედიის მომწყობთა და მონაწილეთა ბინძური საქმეები.

ასეთ ბრძნულ პოლიტიკურ ნაბიჯს ორი დიდი საქმის გაკეთება შეუძლია.

პირველი. რამდენადმე მაინც ხელი შეუწყოს გატანჯული და სასოწარკვეთილებამდე მისული სამეგრელოს მოსახლეობისათვის მიყენებული მძიმე ჭრილობების შეხორცებას, დაძაბული ვითარების განეიტრალებას, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში სამეგრელოს მოსახლეობის საყოველთაო მონაწილეობას.

მეორე, დაარწმუნებს ყველას, რომ [illegible] თითქოს აფხაზეთში ჩვენი დამარცხების, ქართველი ერის გახლეჩის მიზეზი სამეგრელოა.

ამასთან, დოკუმენტში ნათქვამი უნდა იყოს, რომ აფხაზ ექსტრემისტებთან ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები, რომ მათთან ერთად იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ ფოთელი, სენაკელი, აბაშელი, ხობელი, ზუგდიდელი, ჩხოროწყუელი, მარტვილელი, წალენჯიხელი, მოხალისეები. ობიექტურობის ინტერესები იმასაც მოითხოვს, რომ დოკუმენტში ნაჩვენები იყოს სამეგრელოს რაიონებში მოქმედი ყაჩაღთა ბანდების ანტიეროვნული საქმეები, რომელთა რიგებში ადგილობრივებთან ერთად ბლომად მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულნიც. ბანდიტთა და ყაჩაღთა შიში რომ არა, სამეგრელოს შეეძლო გაცილებით მეტი წვლილის შეტანა აფხაზ ექსტრემისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ, სწორედ ამ ბანდების ბინძური საქმეებისათვის ათმაგად დაისაჯა სამეგრელო.

ამგვარი უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნის საკითხში მერყეობა, ჩემი აზრით, დაუშვებელია.

ნუ მივმართავთ საშიშროებისაგან თავის დაღწევის სირაქლემასეულ, ნაკლებად საიმედო ხერხს.

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ სამეგრელოს მოსახლეობას არასოდეს შეშინებია მსხვერპლის გაღებისა სამშობლოს ღირსების, მისი სუვერენული უფლებების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

ამიტომ, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, საჭიროა სამეგრელოს მიმართ აღდგეს სიყვარულით, სიკეთით, გულწრფელობით აღსავსე ურთიერთობა.

გრიგოლ ჟვანია.

P.S. იმედი მაქვს, რომ წერილის გამოქვეყნებას კუთხურობის გამოვლინებად არ ჩამითვლით... წერილის ტონი, ალბათ, შეუდარებლად მკაცრი და დამგმობი იქნებოდა, ანალოგიური ტრაგედია (ღმერთმა გვაშოროს) რომ დატრიალებულიყო კახეთში, იმერეთში, ქართლში, გურიაში, რაჭაში...

გ. ჟ.

თუ გული გულობს

გადარჩენის გზებს ეძიებენ

ბოლო თვეების მანძილზე პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის ტალღამ არაერთხელ გადაუარა ზუგდიდის ექსპერიმენტულ ჩაის საწნეხ კომბინატს, მაგრამ მან ოდნავადაც ვერ შეარყია მისი კოლექტივის ერთიანობა. აქ ერთი დღითაც არ შეწყვეტილა მუშაობა. ვერც საბაზრო ეკონომიკის წნეხმა მოლუნა წელში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი დღესაც გამართულად მუშაობს. მართალია, ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ დიდი ცვლილებები შეიტანა საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრებაში, ბევრგან, იძულებით, უკანაც კი გადადგეს ნაბიჯები, მაგრამ ჩაის საწნეხი კომბინატი მაინც ტრადიციის ბოლომდე ერთგული დარჩა. უცვლელად შეინარჩუნა გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტი. მისი ძირითადი ასორტიმენტი კი მწვანე აგურა და დაფასოებული შავი ბაიხის ჩაი იყო. მას ყოველთვის ბევრი მომხმარებელი ჰყავდა ყოფილ საბჭოთა კავშირშიცა და საზღვარგარეთაც, დიდი მოგება მოჰქონდა საწარმოს კოლექტივისთვის.

ახლაც დღითიდღე იზრდება მოთხოვნები მწვანე აგურა ჩაიზე. სულ უფრო მატულობს დაკვეთები დაღესტნიდან, ბურიატეთიდან, კრასნოიარსკიდან თუ ყაზახსტანიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადრე მწვანე აგურა ჩაის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელი მონღოლეთის რესპუბლიკა იყო, მაგრამ 1991 წლიდან კომბინატმა მას პროდუქციის მიწოდება შეუწყვიტა, რადგან მომხმარებელმა სავალუტო ანგარიშსწორება შეწყვიტა (მონღოლეთს კომბინატისთვის გადასახდელი აქვს 750 ათასი დოლარი ვადაგადაცილებული ვალი). ეკონომიკური ურთიერთობის გარკვევის მიზნით მოსკოვში მონღოლეთის რესპუბლიკის საელჩოში იმყოფებოდა კომბინატის ხელმძღვანელობა, სადაც პრინციპულად განიხილეს საკითხი დავალიანების დაფარვის თაობაზე. გაფორმდა სპეციალური ოქმი, რომელშიც ჩაიწერა, რომ მონღოლეთის რესპუბლიკა წლევანდელ პირველ კვარტალში მთლიანად დაფარავს დავალიანებას.

ბუნებრივია, ამის შემდეგ ისევ განახლდება ეკონომიკური კავშირები და მონღოლეთი კვლავაც მიიღებს კომბინატში დამზადებულ პროდუქციას. არსებული ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად კომბინატის კოლექტივმა მაინც უყურადღებოდ არ დატოვა მომხმარებელთა დაკვეთები და შარშან 700 ტონაზე მეტი მწვანე აგურა ჩაი მიაწოდა მომხმარებელს, თუმცა მოთხოვნა გაცილებით მეტი იყო. მთელი დატვირთვით ვერ იმუშავეს, რადგან არ ჰქონდათ საკმაო ნედლეული, ალბათ, დროა ითქვას სიმართლე იმის შესახებ, რომ ზუგდიდის ექსპერიმენტულ ჩაის საწნეხ კომბინატს დიდი ხანია დასავლეთ საქართველოს რეგიონის ჩაის ფაბრიკები აღარ აწვდიან საჭირო ნედლეულს. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი მაინც, ჩვენი აზრით, მართვის სწორი მექანიზმის უქონლობაა.

ნედლეულის პრობლემის გადაწყვეტის გზაც გამოინახა. კომბინატის თავკაცის ნუგზარ გულუას ინიციატივით გამოიძებნა სათანადო ფულადი რესურსები და ადგილზე დაიწყო ლაო ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც მალე ჩადგება მწყობრში.

ამჟამად მიმდინარეობს მანქანა-დანადგარების დამონტაჟება და სხვადასხვა ტექნოლოგიური ხაზების გამართვა. კომბინატის დირექცია უკვე შეუდგა ლაო ჩაის დამამზადებელ ორგანიზაციებთან ოფიციალური ხელშეკრულებების გაფორმებას.

ახლა, როცა, საბაზრო ეკონომიკის პირობების თანახმად, კომბინატის ხვალინდელი დღე მთლიანად პროდუქციის ხარისხზეა დამოკიდებული, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება ექცევა ახალი ტექნოლოგიური ხაზების დანერგვას. კომბინატის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ინდოეთის ერთ-ერთ ჩაის ფირმასთან ერთობლივად დაამონტაჟოს გრანულირებული ჩაის ხაზები.

ნებისმიერი შრომითი კოლექტივის საქმიანობის განმსაზღვრელი ხომ სამეურნეო მაჩვენებელია: ჩაის საწნეხი კომბინატის საერთო მოგების თანხამ შარშან 1 მილიარდ 562 მილიონი კუპონი შეადგინა.

ისიც აღსანიშნავია, რომ მოგების დიდი ნაწილი მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაცვას ხმარდება. ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებისთვის თვეში 1,7 მილიონი კუპონი იხარჯება. როგორც ვხედავთ, საბაზრო ეკონომიკის პრობლემებს ზუგდიდის ჩაის საწნეხი კომბინატის მესვეურები ჯანსაღ ეკონომიკურ აზროვნებას უპირისპირებენ და შედეგებიც კარგი აქვთ.

ოდიკ ქუხილავა,
„ხრ.“ საკ. კორ.

შ. პ. ს. „თედა“ გთავაზობთ:

— იურიდიულ მომსახურეობას: კონსულტაციებს, კლიენტის ინტერესების დაცვას არბიტრაჟსა და სასამართლოში, ნებისმიერი სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნისათვის საბუთების სრული კომპლექტის, ბეჭდისა და შტამპის უმოკლეს ვადაში დამზადებას, ბინების, საბაღე და კერძო ნაკვეთების შეძენასა და გაყიდვას, მათ გასაფორმებლად საჭირო საბუთების მომზადებასა და სხვა იურიდიულ საქმიანობას;

— საფინანსო-საბუღალტრო მომსახურებას: კონსულტაციებს საგადასახადო და სხვა ეკონომიკურ საკითხებში, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კერძო სტრუქტურებისათვის საჭირო საფინანსო საბუღალტრო საბუთების მომზადება.

ჩვენი მისამართია: ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №12
(ყოფილი პავლოვის ქუჩა, ტრანსპორტის სამინისტროს გვერდით),
„ავტოტრანსტექნიკის“ საწარმოო ტექნიკური გაერთიანების შენობაში,
მე-2 სართული, ოთახი №228. ტელ: 37-38-55.

გარანტირებული კვების აგრეგატი
კომპი — UPS 1. 1

ინახავს და ინარჩუნებს ინფორმაციას პერსონალურ კომპიუტერში ელექტროქსელში ძაბვის ვარდნის, სიხშირის დაცემის ან ქსელის გათიშვის დროსაც კი.

ტექნიკური მახასიათებლები:
- სიმძლავრე 200W ;
- შემავალი ძაბვა – 220+20/-50V , 50Hz 10;
- გამომავალი ძაბვა 220 5V , 50Hz 0,1;
- გამომავალი ძაბვის ფორმა – სინუსოიდური;
- მუშა რეჟიმი – ON-LINE
- ქსელის გათიშვისას მომხმარებლის კვების დრო მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში – 10 წთ.
- დაკომპლექტებულია ჰერმეტიული არამომსახურებადი ნიკელ-კადმიუმის აკუმულატორი ბატარეით.

ხელსაწყოს მეშვეობით თქვენი შრომა გახდება ნაყოფიერი, დაიცავს თქვენს კომპიუტერს და მასში შეტანილ ინფორმაციას დაზიანებისაგან, საშუალება გექნებათ მუშაობა დაამთავროთ ელექტროქსელის გათიშვის დროსაც.

საგარანტიო მომსახურება ერთი წელიწადია.
ფასი შეთანხმებით, გადახდის ფორმა – ნებისმიერი.
ტელ: 23-71-38, 23-71-39.

Georgia Enterprise, Inc.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის უმაღლესმა სკოლამ

ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრაციაში გაატარა დამოუკიდებელი კორპორაცია

„ჯორჯია ინტერპრაისი“,

რომლის მიზანია საქართველოს საქმიან წრეებსა და ბიზნესმენებს, შუაკაცის ჩაურევლად შეუქმნას დამოუკიდებელი ბიზნესი: მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, ფინანსების, კულტურისა და სპორტის დაინტერესებულ მიმართულებებში.
საშუალება გექნებათ გაეცნოთ ნიუ-იორკელ, ვაშინგტონელ, ვირჯინიელ, პენსილვანიელ, ტენესელ და ატლანტელ ბიზნესმენებს, იქაურ ღირსშესანიშნაობებს, გააფორმოთ პირდაპირი ხელშეკრულებები ბროკერის ჩაურევლად!

თქვენი ბიზნესი — თქვენს ხელშია!

განცხადებები მიიღება 30 მარტამდე.
ცნობებისათვის: თბილისის უნივერსიტეტი, მაღლივი კორპუსი, ოთახი 1103, საერთაშორისო ბიზნესის უმაღლესი სკოლა.
კორპორაცია „ჯორჯია ინტერპრაისი“.
ტელ: 30-01-07, 30-40-73, დღისით.
37-02-26, 34-84-94, საღამოს.

კომერციული ბანკი



მოსახლეობისაგან მიიღებს ანაბრებს, როგორც კუპონებით, ასევე ამერიკულ დოლარებით. ანაბრის მინიმალური ვადა 6 თვეა.

1. სავალუტო ანაბარზე დარიცხვა წლიური დივიდენდი 120 პროცენტის ოდენობით, სამი თვის შემდეგ პირველი გაცემის უფლებით.

2. კუპონის ანაბარზე 6 თვის ვადით წლიური 360, 9 თვის ვადით – 420, 12 თვის ვადით 480 პროცენტი, სამი თვის შემდეგ პირველი გაცემის უფლებით.

ბანკი მიიღებს დეპოზიტებს იურიდიული პირებისაგან თვეში 30 პროცენტის დარიცხვით.

ბანკი გასცემს კრედიტებს იურიდიულ და კერძო პირებზე მყარი გარანტიით.

ბანკის მისამართია:
თბილისი, ჭავჭავაძის 45, მეტრო „დელისთან“.
ტელ: 39-54-97, 39-52-39.

საშუამავლო კომერციული ფირმა
«რენესანსი»
დაგეხმარებათ, ინტერიერის კომფორტულად მოწყობაში. იმპორტული ავეჯის, რადიო-ტელეაპარატურის და სხვა საჭირო ნივთების შეძენა-გაყიდვაში.
ფირმა ეფექტური და უსაფრთხო მომსახურეობის გარანტს იძლევა.
ჩვენი მისამართია: ხულხან-სახას ქ. №4
ტელ: 93-52-63, 93-64-79, 93-51-69.

ამა წლის აპრილში ბიზნეს-ცენტრი „საქართველო“ თბილისში ხსნის უმაღლესი კატეგორიის კაზინოს. ვინც ფლობს ან სურს დაეუფლოს კრუპიეს პროფესიას მოგვმართოს მისამართზე.
თბილისი, მელიქიშვილის 12,
სასტუმრო „საქართველო“,
ტელ: 98-96-77, 22-13-20, 22-13-32.
იკითხეთ კაზინოს მენეჯერი

ცხადდება კონკურსი!
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი აცხადებს ღია კონკურსს შემნახველი ბანკის ემბლემის შექმნაზე.
კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ა. წ. 25 მარტამდე მისამართით:
უზნაძის ქ. 37, (ყოფილი კამოს ქ.)
ტელ: 95-60-85.
სააგენტო „გალარეკლამა“

კომპიუტერული სკოლა შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას.
დაგეხმარებით კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვასა და შეძენაში.
ფალიაშვილის 42 (57-ე სკოლა, 12-17 სთ. ტელ: 29-11-78).

იყიდება რეზინის ჩექმები
ორგანიზაცია გთავაზობთ მოსკოვის წარმოების უმაღლესი ხარისხის რეზინის ჩექმებს და სხვადასხვა სახის რეზინის ფეხსაცმელს.
ფასი სახელშეკრულებო.
გადახდის ფორმა – ნებისმიერი.
ტელ: 23-04-04, 39-29-14.

ინფორმაცია

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. წუხელ, 18 მარტს, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა ღია დისკუსია თემაზე: „ეკონომიკა, კერძო ბიზნესი, კანონი". კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა გარდა, დისკუსიაში მონაწილეობდნენ ვიცე-პრემიერები ავთანდილ მარგიანი და ზურაბ კერვალიშვილი, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლები.

შეხვედრაზე დომინირებდა კერძო ბიზნესის განვითარების პრობლემები, ბიზნესმენთა დაუცველობისა და სამეწარმეო კანონმდებლობის არასრულყოფილების საკითხები. მეწარმეთა აზრით, საჭიროა მინისტრთა კაბინეტში ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორის ხელშემწყობი ჯგუფის შექმნა, ინვესტიციების გამოყენების მექანიზმის შემუშავება და საინვესტიციო ბანკის დაარსება. მეწარმეები სახელმწიფოსაგან ითხოვენ კანონის დაცვას კერძო მეწარმეობის შესახებ.

თბილისი. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ვაჭრობისა და მომსახურების წამყვანმა სახელმწიფო მრჩეველმა ანზორ ბაბუხადიამ მინისტრთა კაბინეტში კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ საჭიროა კუპონის პარალელურად კანონით იქნას დაშვებული რუსული მანეთის ბრუნვა. მისი აზრით, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს პროდუქციის სიუხვესა და კუპონის გამყარებას.

ამასთან დაკავშირებით, ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანმა აღნიშნა, რომ ეს მრჩევლის კერძო აზრია და არა მთავრობის პოზიცია.

თბილისი. რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების ინიციატივით, დაწესდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მესანგრეთა ხსოვნის დღე — 14 მარტი, რომელიც გუშინ პირველად აღინიშნა.

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკში გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებაზე აფხაზთა მხარის დელეგაციის ხელმძღვანელმა სოკრატ ჯინჯოლიამ განაცხადა, რომ მრავალ საკითხზე წარმოშობილი უთანხმოების მიუხედავად, მოლაპარაკება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ხელშესახები შედეგები არ იქნება მიღწეული.

თბილისი. გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კულტურის კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესაძლო შეცვლის საკითხი. გამომსვლელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ახალი სიმბოლიკის შემოღებას, თუმცა, კომისიის გადაწყვეტილებით, ამ საკითხზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულ პარლამენტართა 78 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს სახელმწიფო დროშის შეცვლას.

თბილისი. როგორც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯემალ მიქელაძემ განაცხადა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან თათბირზე გადაწყდა, რომ თუ პარლამენტი არ მიიღებს კანონს იარაღის შესახებ, კანონი გამოვა დეკრეტის სახით.

თბილისი. ქუთაისის მერის თემურ შაშიაშვილის გაანგარიშებით, საქართველოს რესპუბლიკაში ყოველი უმუშევარი რეალურად 6 მილიონ კუპონზე ნაკლებ ხელფასს არ იღებს, ქვეყანას 1,2 დოლარი უჯდება 1 კგ. პური, რომელსაც მოქალაქე იძლევა 500 კუპონად, ე. ი. თვეში საშუალოდ მოქალაქეს სახელმწიფო 6 მლნ. კუპონს აჩუქებს.

როგორც შაშიაშვილმა განაცხადა, ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა [illegible] ქუთაისის ცენტრში მდებარე ოროთახიანი ბინის ფასად, ანუ — 7 მლნ. რუსულ მანეთად იყიდება.

მეტი სიფრთხილე მძღოლებს

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, თბილისში მეტროპოლიტენის სადგურ ისნის ქვედა ვესტიბიულში ისან-ვარკეთილის გადასარბენზე დაუდგენელი პირი ბაქნიდან ლიანდაგზე გადავარდა.

სამწუხაროდ, იგი ადგილზე დაიღუპა.

გარექართველთა ღვაწლი

მრავალწლიანი შრომა შთამბეჭდავი შედეგით

1992 წლის მიწურულს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში ინგლისურ ენაზე გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერის პროფესორ ვახტანგ ჯობაძის ვრცელი ნაშრომი — „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში", რომელშიც შეჯამებულია ამჟამად თურქეთის ფარგლებში მოქცეულ ძველ ქართულ პროვინციებში ავტორის მიერ თითქმის ოცი წლის მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები. წიგნი საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებმა სულ ახლახან მიიღეს და ჩვენი გამოხმაურებაც პირველ შთაბეჭდილებებს ემყარება. უეჭველია, რომ მომავალში იგი უფრო საფუძვლიანი განხილვის საგანი გახდება.

ვახტანგ ჯობაძეს კარგად იცნობს ქართველი სამეცნიერო საზოგადოებრიობა. თვალსაჩინო მედიევისტი მკვლევარი, რომელიც ხელოვნების ისტორიით ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრების პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში დაინტერესდა, 1950-იანი წლებიდან ნაყოფიერად მოღვაწეობდა აშშ-ში. უკანასკნელ ხანებში იგი განაგებდა ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს კალიფორნიის უნივერსიტეტში. მისი ინტერესების სფერო ძალიან ფართოა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან საქართველოს გარეთ მდებარე ქართული კულტურის ძეგლების შესწავლაში. საყოველთაო აღიარება მოუტანა მკვლევარს ჩრდილოეთ სირიის ქართული მონასტრებისადმი მიძღვნილმა ორმა ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ, რომლებშიც თავმოყრილი და გაანალიზებულია უმდიდრესი მასალა.

„თურქეთის საქართველოს" ძეგლების კვლევა ვ. ჯობაძემ 1965 წელს დაიწყო — პერიოდში, როცა ქართველ მეცნიერებს ამ მხარეში მოხვედრა გვალითაც არ შეეძლოთ და აქაურ სიძველეთა უშუალოდ ადგილზე შესწავლა მთლიანად დასავლელ სწავლულთა ძალისხმევით მიმდინარეობდა. ვ. ჯობაძე იყო პირველი მათ შორის, ვინც ამ მუშაობას მიზანდასახული, სისტემური ხასიათი მისცა და 1983 წლამდე, მიუხედავად მრავალგვარი სიძნელეებისა, რეგულარულად აწყობდა ექსპედიციებს. მან უზარმაზარი შრომა გასწია როგორც ახალი მასალის გამოვლენის, ისე მისი მეცნიერული დამუშავების თვალსაზრისით.

ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, ტაო-კლარჯეთის მონასტრების ხუროთმოძღვრების შესწავლას ისახავს მიზნად, თუმცა მასში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ტაძრების კედლებზე შემონახულ ქანდაკებებსა და მოხატულობებსაც. ფართოდ არის წარმოდგენილი ეპიგრაფიკული მასალაც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მეტად არსებითი ინფორმაციის შემცველი წარწერა თავად ვ. ჯობაძემ აღმოაჩინა და პირველმა შეისწავლა, მის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების წყალობით სამეცნიერო ლიტერატურაში შემოდის დათარიღებულ და არქიტექტურულად დახასიათებულ ძეგლთა დიდი ჯგუფი, რომელიც მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას IX-X საუკუნეთა ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებაზე.

ვრცლად იხილავს ავტორი კლარჯეთის უმთავრეს მონასტრებს — ოპიზას, ხანძთას, დოლისყანას, ენი-რაბათს. ამასთან, სათანადო ყურადღება ექცევა როგორც მთავარ ტაძრებს, ისე სატრაპეზოებს, სამრეკლოებს და სხვა სამონასტრო ნაგებობებს. ვ. ჯობაძე ერთნაირი გულისყურით ეკიდება როგორც წმინდა არქიტექტურული საკითხების შესწავლას, ისე ნარატიული მონაცემების დეტალურ გარჩევას, საჭიროების შემთხვევაში ვრცლად ჩერდება სპეციალურ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ხუროთმოძღვრებასთან.

ნაშრომის პირველ ნაწილში გამოთქმულ უამრავ საყურადღებო, ზოგჯერ სრულიად ახალ მოსაზრებათაგან აღვნიშნავთ რამდენიმეს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვეჩვენება. ოპიზის მონასტრის დაარსებას ვ. ჯობაძე VIII საუკუნის შუახანებს აკუთვნებს, ეკლესიის აღდგენას — IX საუკუნის 70-80-იან წლებს, ხოლო საბოლოო საფუძვლიან განახლებას და სატრაპეზოს აგებას X საუკუნის 50-იან წლებს.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეძღვნება ტაო-კლარჯეთის ხელოვნების უმაღლესი აყვავების ხანის — X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის I ნახევრის ძეგლებს — ოშკის, ხახულის, პარხლის, ოთხთა ეკლესიის, იშხნისა და ტბეთის ტაძრებსა და სხვა სამონასტრო ნაგებობებს. ეს ძეგლები ყოველთვის იპყრობდა ხელოვნების ისტორიკოსთა გამორჩეულ ყურადღებას, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ მათს შესწავლაში არავის შეუტანია ისეთი თვალსაჩინო წვლილი, როგორც ვახტანგ ჯობაძეს.

განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობს მკვლევარი ოშკს — ტაო-კლარჯეთის ყველაზე დიდსა და მხატვრულად სრულყოფილ ნაგებობას. იგი დაწვრილებით ეხება ტაძრის რთულ სივრცობრივ-მოცულობით სტრუქტურას, დეკორის სისტემას, ორნამენტულ სახეებს, მრავალრიცხოვან ქანდაკებებს, კედლის მხატვრობის ნაშთებსა და წარწერებს.

მეტად მნიშვნელოვანია ვ. ჯობაძის დაკვირვებანი ოთხთა ეკლესიაზე. იგი აღნიშნავს გადაკეთების კვალს შენობის კედლებზე და ასკვნის, რომ 961-965 წლებს შორის აგებული ეკლესია ცოტა მოგვიანებით აუმაღლებიათ. ტაძრის საკურთხეველში შემონახულ მოხატულობას მკვლევარი მშენებლობის პირველი პერიოდის თანადროულად მიიჩნევს.

ტბეთისა და, განსაკუთრებით, იშხნისადმი მიძღვნილ თავებში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჩუქურთმათა და სხვა შემამკობელ ელემენტთა დეტალური განხილვა. არქიტექტურული ორნამენტი უკანასკნელ ხანებამდე ტაო-კლარჯეთის ხელოვნების ყველაზე სუსტად შესწავლილ სფეროს წარმოადგენდა და ვ. ჯობაძის მონოგრაფია მთლიანად ამ მხრივ ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია.

ტექსტს ერთვის მდიდარი საილუსტრაციო მასალა — ნაგებობათა გეგმები, ჭრილები, ორნამენტულ სახეთა ნახატები, წარწერების მონახაზები და, რაც განსაკუთრებით ღირებულია, ასობით მაღალხარისხოვანი ფოტოსურათი, რომელთა უდიდესი ნაწილი ავტორის მიერ არის გადაღებული. ასეთი სისრულით ტაო-კლარჯეთის ხელოვნება აქამდე არც ერთ გამოცემაში არ ყოფილა ასახული.

ვახტანგ ჯობაძის მონოგრაფია „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში" მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი მეცნიერებისათვის. ის თვისობრივად ახალი ეტაპია ტაო-კლარჯეთის ხელოვნების შესწავლაში და მყარ საფუძველს უქმნის მომავალ მკვლევარებს. ჩვენთვის, ვახტანგ ჯობაძის კოლეგებისათვის საქართველოში, დიდად სასიხარულოა, რომ მშობლიური კულტურის თავდადებული მოღვაწის მრავალწლიანი შრომა ესოდენ შთამბეჭდავი შედეგით დაგვირგვინდა. ვფიქრობთ, აუცილებელია წიგნი ითარგმნოს და გამოიცეს ქართულ ენაზეც, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ქართველ სპეციალისტთა ფართო წრისათვის.

ნოდარ ჯანბერიძე,
რუსუდან მეფისაშვილი,
დავით ხოშტარია.

ხსოვნა

მიხეილ რჩეულიშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ რჩეულიშვილი. დაიბადა 1907 წლის 9 დეკემბერს, თელავის მაზრის სოფელ ვაზისუბანში. საშუალო განათლება მიიღო თელავის სამოქალაქო გიმნაზიაში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1958 წლიდან საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში. ამავე ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით დაარსდა გენეტიკის განყოფილება. 1976 წელს მისი თაოსნობით დაარსდა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ბიოლოგიური საფუძვლების ლაბორატორია. მ. რჩეულიშვილმა გამოიკვლია და დაამუშავა მომთაბარე მეცხოველეობის (მეცხვარეობის) რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის ორიგინალური სისტემები. საქართველოში პირველმა დაიწყო მომთაბარე მეხორცული მეცხვარეობისა და ექსტრემალურ პირობებში ზებუსთან შეჯვარებით მეხორცული მეძროხეობის განვითარების საკითხების შესწავლა, აგრეთვე ადგილობრივი ცხვრის გენოფონდის გამოკვლევა და ენდემურ სახ.-სამ. ცხოველთა გენოფონდის დაცვისა და გამოყენების პრობლემების დამუშავება. ბატონი მიხეილი 1975-79 წლებში საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა საზოგადოების პრეზიდენტია. 1976 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. აქვს მთავრობის ჯილდოები.

მიხეილ რჩეულიშვილი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ყოველთვის ერის სამსახურში დგანან.

მას ქართველი კაცის ბუნების, მისი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის უდიდესი რწმენა ჰქონდა, დღევანდელ წინააღმდეგობით სავსე ცხოვრებას ის აღიქვამდა იმ გზად, რომლის შემდეგაც ერის ჭეშმარიტი ცხოვრება იწყება.

ის იყო ივანე ჯავახიშვილის ღირსეული დისწული, მყარ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი ძველი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელი, პატრიარქალური ოჯახის წმინდა ტრადიციათა დამცველი, რაშიც ხედავდა ქართული სახელმწიფოებრიობის ძირს. სწორედ ამ თვისებიდან გამომდინარეობდა მისი მზრუნველი, მეცენატური დამოკიდებულება თავისი მოწაფეებისადმი, შვილისადმი — ცნობილი ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილისა და მისი მეგობრებისადმი, რომლებთანაც ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. ამ მხრივ იგი იყო ილია ჭავჭავაძისეული ეროვნული თვითშეგნების ერთგულესი მიმდევარი და განმხორციელებელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო; საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტი.

პოლემიკა

ოჰ, კორიდონ, კორიდონ, რა სიგიჟეს შეუპყრიხარ!

კოკასა შიგან...

...პატივმოყვარეობის გრძნობამ დაგიბინდათ თვალის ჩინი და დაგიხშოთ ყურნი...

... ამბიციებით დაბრმავებულს, შურისძიებას აყოლილს.... გსურთ რისხვა ჩვენზე გადმოანთხიოთ...

...ვისაც ერეოდით — ქლეტდით, ვისაც ვერა — კუდს უქიცინებდით...

...თქვენში, ამხანაგო ედუარდ, ასე გამძაფრებულია შურისძიებისა და დაუნდობლობის გრძნობა... ცოფდებით, როცა ვინმე გეწინააღმდეგებათ...

...კარიერის კიბეზე ასასვლელად არაფერს არ თაკილობდით და ყველაფერს კადრულობდით... საოცარი ლიქნით იქცეოდით და ყველა მათ ნება-სურვილს ყურმოჭრილ მონასავით ასრულებდით...

...პატივმოყვარეობის ჭიაშეჩენილმა...

...თვითგანდიდებით დაავადებულმა.

...პირმოთნეობით გონებადაბინდულმა...

...სისხლმოწყურებულმა...

...მონური ფსიქოლოგიის მარწუხებში მოქცეულმა...

...თქვენი სისასტიკე და დაუნდობლობა საქვეყნოდაა ცნობილი...

...რა ბინძური და ყოვლად უკანონო მეთოდებით ბლანდავდით ინტრიგის ბადეებს?!

...სულში ღვარძლი ჩაიგუბეთ...

...თავისი ვერაგი ბუნების გამო ის ყოველთვის ამჯობინებს სხვათა ხელით ნარ-ეკლის გლეჯას...

მართლაც საოცარია ქართული ზმნა და ზედსართავი სახელი. ერთი შეხედეთ, გვერდი-გვერდ მოხვედრილი, სულამღვრეულობით ჭიაშეჩენილი, სისხლმოწყურებული შეურაცხყოფითა და ცილისწამებით გატენილი, ბინძური და ვერაგი სიტყვები რა გესლსა და ბალღამს ანთხევენ. მუხრანისა არ იყოს, ყოველივე ამას სხვა არაფერი — კადრება უნდა!

და ვინ კადრულობს ამას?

საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი ელიზბარ ჯაველიძე სახელმწიფოს მეთაურისადმი მიძღვნილ თავის „ეპისტოლეში", რომელიც გაზეთ „სარანგში" დაიბეჭდა.

ვინც შემომედავება, რომ განათლების მინისტრობაზე აქცენტის დასმა არაკორექტულიაო, რადგან ბატონ ელიზბარს იმ დროს ეკავა ეს პოსტი, როცა „ღია წერილებით" გუნდაობა, პარანოიდალური ისტერიკა, დედის გინება და, უბრალოდ, ბილწსიტყვაობა ნორმად იყო ქცეულიო, გავახსენებ: მანამდე იგი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გაზეთის რედაქტორი გახლდათ და მთელ ლიტერატურულ საქართველოს ჭკუას ასწავლიდა. აი, ამ კაცმა იკადრა უკადრებელი.

არ ვიცი, რა აქვს გუნებაში სახელმწიფოს მეთაურს. ერთი რამ კი ცხადია, იგი ე. ჯაველიძეს ვერ გასცემს პასუხს სამი მიზეზის გამო: პირველი, ჯაველიძისა და შევარდნაძის საერო საქეთებელი ქანრობრივად მკვეთრად განსხვავებულია; მეორე, ისინი აშკარად სხვადასხვა წონით კატეგორიებში გამოდიან და, მესამე: არა მგონია პოლიტიკოს შევარდნაძეს ჰქონდეს იმნაირი ლექსიკური მარაგი, როგორიც ლიტერატორ ჯაველიძის აქ მოტანილ ამონარიდშია.

მე, როგორც პარლამენტის პრესცენტრის მთავარ სპეციალისტს, თანამდებობრივად მევალება გამოვექომაგო პარლამენტის თავმჯდომარეს. მაგრამ ეს წერილი ამ მიზნით არ იწერება. მკითხველი ამაში დარწმუნდება, როცა სტრიქონებს ბოლომდე ჩაიკითხავს.

კი, მაგრამ, ბნელა?

თავდაპირველად ვთქვათ — „ღია წერილში" წამოყენებული ბრალდებების 98 პროცენტს შევარდნაძემ მანამდე გასცა პასუხი, სანამ მას ამომრჩეველთა 98 პროცენტი მისცემდა ხმას. ამიტომ მიმაჩნია, ეს ბრალდებები არ ახალია, ძველია, პასუხგაცემულია.

ხოლო ბრალდებების ორიოდე პროცენტს, შევეცდები ვუპასუხო.

ე. ჯაველიძის წუხილი უპირველესად ეხება იმ „გაზეთის" დახურვას, რომელსაც „საქართველოს სამრეკლო" ერქვა.

დღეს საქართველოში გამოდის მკვეთრად ოპოზიციური გაზეთები, — „შვიდი დღე", „მიმომხილველი", „დრონი", „რეზონანსი", „ივერია-ექსპრესი", „ახალი თაობა", „ნოვაია გაზეტა", რომლებშიც ნახავთ ირონიასაც, სარკაზმსაც, ხელისუფლების მიმართ პილპილმოყრილ კრიტიკასაც, მაგრამ მათი დახურვა არავის უფიქრია. იმიტომ, რომ მათი ავტორები ჩვენს არეულ დროში მაქსიმალური გულწრფელობით ეძიებენ ჭეშმარიტებას; იმიტომ, რომ ეს გაზეთები აკმაყოფილებენ პრესისათვის წაყენებულ ყველა მოთხოვნას; იმიტომ, რომ მათში იბეჭდება ანალიზური სტატიები, ნარკვევები, კორესპონდენციები, ოპერატიული ინფორმაციები, ფელეტონები; იმიტომ, რომ ისინი პირუთვნელად აშუქებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ პრობლემებს, აშუქებენ მეცნიერებას, კულტურას, ხელოვნებას, სპორტს, ერთი სიტყვით, ასახავენ დღევანდელ ცხოვრებას.

ნუთუ თქვენ, ბატონო ელიზბარ, ძველ მეგაზეთეს, „პატივმოყვარეობის გრძნობამ ისე დაგიბინდათ თვალის ჩინი და დაგიხშოთ ყურნი", რომ თქვენი „გაზეთიც" გაზეთი გგონიათ! ისე კი, რა თქმა უნდა, კრიტერიუმებს გააჩნია, თუ მიგაჩნიათ, რომ ბოლშევიკური „ისკრა" და „ბორბა" გაზეთები იყო, მაშინ „საქართველოს სამრეკლო" ჟურნალი ყოფილა.

ჩემი, როგორც ჟურნალისტის კრიტერიუმით კი, „სამრეკლო", „სპექტრი", ამჟამად „სარანგი" არ შეიცავს გაზეთისთვის დამახასიათებელ არცერთ ნიშანს. ეს ჩვეულებრივი ლეგალური პროკლამაციებია, მეტი არაფერი. ამის დადასტურებას არ სჭირდება მაინცდამაინც ტარჭრელი კოვზები. საკმარისია, თქვენსავე სტრიქონებს აჰხედოთ მაღლა.

კიდევ უფრო რომ დავაკონკრეტოთ, „სამრეკლო" იყო ბალზაკის ასაკის ულვაშიანი ბერწი ქალების ორგანო, რომელიც მაზოხისტური სიჟიუტით ითხოვდა გაუპატიურებას, რევანშს, სამოქალაქო არეულობას, ძმათაკვლას. ამ ორგანომ გააბრიყვა საწყალი ქობალიები, ხელში იარაღი მიაჩეჩა და თბილისის აღების იმედიც კი ჩაუსახა. ასე რომ, „სამრეკლოს", ისევე როგორც „სპექტრს", მრავალი ქართველის სისხლში აქვს ხელები გასვრილი.

ვიცი ერთი თქვენი „რკინისებური არგუმენტი", რომელსაც „ვერსად ვერ გავექცევი". მაშ, რატომ იყო, რომ მავანი და მავანი სანთლით ეძებდა, უკაცრავად პასუხია, გაზეთებს და მზად იყო მათ ნომინალურ ღირებულებაზე მეტიც კი გადაეხადა, ოღონდ, ემოვა. მართლაც და რატომ? რატომ და, ლიბიდო გვერდზე იყოს, ჩვენი დღევანდელი ფსიქოენერგეტიკული (მაპატიეთ ამ სიგრძე სიტყვისთვის) ბუნების გამო.

ერთი წამით წარმოიდგინეთ, — კინოს სახლთან რომ ვინმემ დაიყვიროს, ოპერაში ანანიაშვილი ცეკვავს, ზოოპარკში კი სტრიპტიზს აჩვენებენო, როგორ ფიქრობთ, ყველა ოპერას მიაწყდება?

რატომღაც მეჩვენება, რომ იმ ხალხის უმეტესობა, რომელიც ზოოპარკს აირჩევდა, იყო კიდეც „სამრეკლოს" მრევლი.

საამაყო

მართლაც აქვს

თქვენ, ბატონო ელიზბარ, კანონიერად შეგიძლიათ იამაყოთ იმით, რომ კრემლის აღიარებული აგენტების — შულცის, ბეიკერის, ქრისტოფერის, რეიგანის, ბუშის, კლინტონის, ტეტჩერის, კოლის, გენშერისაგან კარდინალურად განსხვავებული აზრები და წარმოდგენები გაქვთ. მაგრამ ამის გარდა, თუ გაქვთ კიდევ რაიმე, ვთქვათ, საქართველოს გადარჩენის კონცეფციის მაგვარი, ან, საერთოდ, რა გაგიკეთებიათ ჩვენი პაწია სამშობლოსათვის, გვითხარით, თქვენსა მზესა, ნუ დაგვიმალავთ.

ახლა კი სერიოზულად მინდა დავსვა ის მთავარი კითხვა, რის გამოც ეს წერილი დაიწერა.

გავა დრო. შევარდნაძეს შეცვლის სხვა ხელისუფალი. ის სხვა არ მოეწონება რომელიღაც ჯაველიძეს ან რომელიღაც აბაიშვილს. რა ვქნათ ახლა, ბატონებო, დავამკვიდროთ სახელმწიფოს პირველი კაცის მიმართ ლანძღვის, გინების, ბილწსიტყვაობის ჯაველიძისეული „ეპისტოლარული ჟანრი?".

არა მგონია, ამან სახელი შეგვმატოს!

პეტმარ აბაიშვილი.

მინაწერი: ბატონო ელიზბარ! მოდით, ჩვენი წინდაუხედაობით ნუ გავანერვიულებთ იმ ხალხს, ვისაც გულით სურს და ჯერ კიდევ შეუძლია ქვეყნის გადარჩენა. თუ მაინცდამაინც ხელები გექავებათ, აგერ ვარ მე, — თქვენზე არც მეტი და არც ნაკლები. ვიშაიროთ და ვიშაიროთ. ხალხსაც გავამხიარულებთ ნაცარქექიაობით და იქნებ ჰონორარსაც გამოვკრათ ხელი, რაც ცოტათი მაინც შეამსუბუქებს ჩვენს ტანჯულ ყოფას.

პ. ა.

შოთა ნათაძე

ქართველ ტექნიკური ინტელიგენციის მოღვაწეთა რიგებს გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი შოთა მათეს ძე ნათაძე.

პროფესიით არქიტექტორ-მშენებელმა, მეორე მსოფლიო ომის პირველი დღიდანვე ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და 1946 წლამდე მონაწილეობდა ფრონტებზე გერმანელ ფაშისტთა და იაპონელ მილიტარისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

დემობილიზაციის შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა „საქშახტპროექტში", შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის არქიტექტურის საქმეთა განყოფილებაში, მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ.

1958 წელს შ. ნათაძე დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1966 წლიდან კი სამმართველოს უფროსად.

ცხოვრების უკანასკნელი წლები საქართველოს წარსულის მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვა-აღდგენის საქმეს შეალია; მუშაობდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროს არქიტექტორ-რესტავრატორად, პროექტების ექსპერტიზისა და კომპლექტაციის განყოფილების უფროსად.

შ. ნათაძე თავისი მოღვაწეობით უპირველესად სამშობლოს სახელისა და ღირსების სამსახურში იდგა; ასევე დაამახსოვრდებათ იმათ, ვინც მის ცხოვრებასა და საქმიანობას ახლოს იცნობდა.

საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 86 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების სამეცნიერო-კვლევითი სექტორის დირექციის მრჩეველი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიხეილ დიმიტრის ძე რჩეულიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აპარატის მთავარი სპეციალისტის თენგიზ ზუკაკიშვილის დედა

მარიამ ალექსანდრეს ასული ზუკაკიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კავკასიონის" (ყოფილი ტრესტ კავკასელექტროქსელმშენის მე-8 მექანიზებული კოლონა) კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტრესტ კავკასელექტროქსელმშენის № 1 მექანიზებული კოლონის უფროსი

თემურ ვახტანგის ძე კახაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო უთანაგრძნობს უზენაესი სასამართლოს წევრს ჯემალ ცისკარაშვილს დედის

მარიამ დავითის ასულ ტუხაშვილი-ცისკარაშვილის

გარდაცვალების გამო.

რაც დავიწყებით არ იბინდება

გამოგვე-ხმაურეთ!

ზესტაფონის მკვიდრი მიხეილ გლუშჩენკო წლების მანძილზე ცხოვრობს და მოღვაწეობს უკრაინის ქალაქ ზაპოროჟიეში. მან მეორე მსოფლიო ომში დაღუპული არაერთი ქართველი ჯარისკაცისა და ოფიცრის საფლავს მიაკვლია უკრაინის, მოლდოვის, რუმინეთის ტერიტორიებზე და ამის შესახებ ამცნო მათ ოჯახებს საქართველოში.

ამ დღეებში მკვლევარმა-ჟურნალისტმა კიდევ ერთი ქართველი მეომრის მიხეილ ალექსის ძე ცაბაძის საფლავი აღმოაჩინა და გულითადი ბარათიც აახლა მის ნათესავებს.

მიხეილ ცაბაძე, დაბადებული 1906 წელს, ზესტაფონის რაიონში გმირის სიკვდილით დაეცა მეორე მსოფლიო ომში 1943 წლის 26 ოქტომბერს. დასაფლავებულია ბელოზერსკის რაიონის სოფელ პატარა ბელოზერკაში. მისი მეუღლე და ოჯახის სხვა წევრები ცხოვრობენ ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში.

თუ რაიმე დამატებითი ცნობები მოგეპოვებათ ნამდარი მამულიშვილის შესახებ, გთხოვთ აცნობოთ მკვლევარ-ჟურნალისტს და გაზეთ „ზესტაფონის მოამბის" რედაქციას.

ირაკლი ხვედელიძე,
პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი.



ბაკურიანი, თოვლი, ნოსტალგია...

ა. კალიძის ფოტო.

როგბი

საგზურები განაწილდა

ახლახანს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა გოგონათა და ჭაბუკთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი რესპუბლიკური ტურნირი. ორკვირიანი დაძაბული პაექრობის შემდეგ თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში საქართველოს სახელით საერთაშორისო სარბიელზე თამაშის უფლება მოიპოვეს:

გოგონათა შორის:

10 წ. ნათია ფხაკაძემ და თამარ ჩალაბაშვილმა,

12 წ. ანა მათნაძემ და სოფიკო გვეტაძემ,

14 წ. რუსუდან გოლეთიანმა და ნინო წიტაიშვილმა,

16 წ. ნათია ალხაზიშვილმა და სოფიკო [illegible],

20 წ. ნატო ქაჟვერაძემ და ინგა ხურციძემ.

ჭაბუკთა შორის

10 წ. გიორგი ფარესიშვილმა და ლევან ჯუღელმა,

12 წ. ვალერი გაფრინდაშვილმა და ნიკა შავთველაძემ,

14 წ. გიორგი ბახტაძემ და ვახტანგ ჩიქოვანმა,

16 წ. სერგო მოვსესიანმა და თამაზ გელაშვილმა,

20 წ. გიორგი ბახტაძემ და გიორგი ყაჭიეშვილმა.

თანატოლთა შორის უძლიერესნი მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზებენ, ხოლო მეორე პრიზიორებს კონტინენტის ჩემპიონატზე გამოსვლა ელით.

18 წლამდე ასაკის სპორტსმენებმა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურები გაითამაშეს. გოგონათა შორის ეს საპატიო მისია წილად ხვდა მირანდა ხორავას, ჭაბუკებში კი გიორგი ყაჭიეშვილს.

ზაზა მახარაძე.

მეოთხედფინალში ითამაშებენ

შაბათს რესპუბლიკის სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური მატჩები. გთავაზობთ მათ შედეგებს: თბილისის „შევარდენი-1906" — ქიათურის „მაღაროელი" — 5:2 (პირველი შეხვედრა — 0:0), ლანჩხუთის „გურია" — ყვარლის „დურუჯი" — 4:1 (0:1), წყალტუბოს „სამგურალი" — დუშეთის „არაგვი" — 5:2 (1:0), ფოთის „კოლხეთი-1913" — გორის „დილა" — 6:0 (1:1), რუსთავის „მეტალურგი" — ხაშურის „იბერია" — 4:1 (2:4), „სამტრედია" — „ბათუმი" — 1:0 (1:4).

მეოთხედფინალიდან დისახელებულ წყვილებში გამარჯვებულებს შეუერთდებიან თბილისის კლუბები „დინამო" და „თეთრი არწივი". ამ ეტაპის თამაშები გაიმართება 25 მარტს და 6 აპრილს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ გამართულმა ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრამ მეტოქენი ასე დააწყვილა: „დინამო" — „სამგურალი", „შევარდენი-1906" — „კოლხეთი-1913", „გურია" — „ბათუმი" და „მეტალურგი" — „თეთრი არწივი".

ყურადღება!

22 მარტს, სამშაბათს, 13 საათზე, საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, პოლიტოლოგიური ასოციაცია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" და ჟურნალი „პოლიტიკა" აწყობენ მრგვალ მაგიდას თემაზე: „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მდგომარეობა და პერსპექტივები".

ღონისძიება ჩატარდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში (V სართულზე). — საკონტაქტო ტელეფონი: 93-24-93, 99-05-90.

საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილ